ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძეგლის მეგობარი

3
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF HISTORICAL AND CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1987



გელათი, ინტერიერი.

Гелати, интерьер.

სერია „მატერიალური კულტურის ძეგლები“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძეგლის მეგობარი

3 (1987)

კრებული სამოცდამეჩვიდმეტე

გამოდის 1964 წლიდან

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ანდრია აფაქიძე, გივი ბარათაშვილი, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/მგ მდივანი), პარმენ ზაქარაია, მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, გივი პაპალაშვილი, ალექსი რობაქიძე, თენგიზ ფერაძე, ვახტანგ ცინცაძე.

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი
რედაქტორი — ლევან მატარაძე
**Редактор серии — ИРАКЛИЙ ЦИЦИШВИЛИ**
Редактор — ЛЕВАН МАТАРАДЗЕ

გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შინაარსი

ქეთევან ჯაფარიძე, მერაბ ბუჩუკური — „მაცხვარიშის“ მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ . . . . . . . . . 5
მანანა მგალობლიშვილი, გიორგი მარჯანიშვილი — ზოგი რამ „მარშლიანთ“ სასახლის შესახებ . . . . . . . . . 12
ნანა მამაიაშვილი — ციხე-ქალაქი ჭერემი . . . . . . . . . 22
ბაადურ მჭედლიშვილი — წუნდა . . . . . . . . . 26
ირინე მირიჯანაშვილი — სოფელ დუმეილას „ღვთისმშობლის“ ეკლესია . . . . . . 30
არკადი თოფურია — ბერიჯვარის სტელა . . . . . . . . . 33
ალექსი ბოხოჩაძე, ამირან ზანგური — ძველი ქანდის სამაროვანი . . . . . . 40
ნიკოლოზ ჩუბინიშვილი — ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების შესწავლისათვის . . . . . . . . . 45
ვიტალი ვინოგრადოვი, ჯაბრაილ ჩახკიევი — ქართულ შთაბეჭდილებათა მატერიალური კვალი ჩაჩნეთში . . . . . . . . . 49
სიმონ ჯაფარიძე — უნიკალური ბუნების ძეგლები . . . . . . . . 52
ოთარ ქიზიყელაშვილი — ზოგიერთი ცნობები ბიჭვინთის კონცხისა და ფიჭვის კორომის შესახებ . . . . . . . . . 60
მაღლენა მირიანაშვილი, ქეთევან მუშკუდიანი — რუსთაველის თეატრის შენობა 65
ომარ ხუბულაშვილი — ბუდაპეშტის გამოფენაზე . . . . . . . . 69
შალვა ლუკავა — ვიზრუნოთ კულტურის ძეგლებისათვის . . . . . . . . 70
კვალი ნათელი (ამაგდარის გახსენება) . . . . . . . 72
ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე . . . . . . . . . 73—79

## СОДЕРЖАНИЕ

К. ДЖАПАРИДЗЕ, М. БУЧУКУРИ — О реставрации и консервации росписи «Мацхвариши» . . . . . . . . . 5
М. МГАЛОБЛИШВИЛИ, Г. МАРДЖАНИШВИЛИ — Некоторые сведения о дворце в Гарикула . . . . . . . . . 12
Н. МАМАИАШВИЛИ — Город Череми . . . . . . . . . 22
Б. МЧЕДЛИШВИЛИ — Цунда . . . . . . . . . 26
И. МИРИДЖАНАШВИЛИ — Церковь «св. Богородицы» в сел. Думенла 30
А. ТОПУРИА — Бериджварская стела . . . . . . . . 33
А. БОХОЧАДЗЕ, А. ЗАНГУРИ — Некрополь с. Дзвели Канда . . 40
Н. ЧУБИНИШВИЛИ — К изучению могильников центральной Колхиды эпохи раннего железа . . . . . . . . . 45
В. ВИНОГРАДОВ, Д. ЧАХКИЕВ — Материальный след грузинских впечатлений в Чечне . . . . . . . . . 49
С. ДЖАПАРИДЗЕ — Уникальные памятники природы . . . . . 52
О. КИЗИКЕЛАШВИЛИ — Некоторые данные о мысе Пицунда и ее сосновой роще . . . . . . . . . 60
М. МИРИАНАШВИЛИ, К. МУШКУДИАНИ — Здание театра им. Ш. Руставели . . . . . . . . . 65
О. ХУБУЛАШВИЛИ — На Будапештской выставке . . . . . 69
Ш. ЛУКАВА — Памятникам культуры больше внимания . . . . 70
Памяти Ш. Харандзе . . . . . . . . . 72
Аннотации на русском и английском языках . . . . . 73—79



„იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციის კალკა-რეკონსტრუქცია შესრულებული რესტავრატორ მ. ბუჩუკურის მიერ.

«Вход в Иерусалим». Калька-реконструкция исп. М. Бучукури.

ქეთევან ჯაფარიძე, მერაბ ბუჩუკური.

## „მაცხვარიშის“ მოხატულობის კონსერვაცია-რესტავრაციის შესახებ

XII ს-ის ქართული ფრესკული ხელოვნების თვალსაჩინო ძეგლის ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშის ე. წ. „მაცხოვრის“ სახელობის ეკლესიის მხატვრობა, რომელიც მთლიანად ფარავს ამ დარბაზული ეკლესიის ინტერიერის კედლებს, კამარას, საბჯენ თაღებს, პილასტრებს და სარკმლებს, ტრადიციული „ვედრების“ რეგისტრებად განაწილებული ქრისტოლოგიური სიუჟეტების შემცველი კომპოზიციებით, წმ. დედათა, წმ. მეომართა, საერო პირთა ჯგუფური გამოსახულებებით, უხვი ორნამენტებით და მრავლად შემორჩენილი ასომთავრული წარწერებით, ყურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით, არამედ ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში იმ იშვიათად გამოვლენილი შემთხვევით, როდესაც მხატვარი მოიხსენიებს თავის ვინაობას და გვაწვდის მოხატულობის თარიღს.[1]

ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ თაღის ზედა სამკუთხა არეში ვკითხულობთ: „მოიხატა საყდარი ესე მეფობასა დემეტრესა წელსა: იე: ჴელითა მიქაელ მაღლაკელისათა“.

საუკუნეების განმავლობაში მოხატულობა ჭვარტლით იყო დაფარული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში „მაცხვარიშის“ მხატვრობით დაინტერესებული მკვლევარები პ. ს. უვაროვა, ხოლო შემდეგ ე. თაყაიშვილი მოხატულობის ღირსებათა აღნიშვნასთან, ხაზგასმით მიუთითებენ მის ძლიერ შეჭვარტლულობას, თუმცა მიქაელს მოხატვისთანავე უზრუნია და მოკრძალებულად წაუწერია ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ თაღის მარცხენა სამკუთხა არეში: „ვინცა ამას ეკლესიასა... ან მამასახლისი იყოს, კვამლისაგან შეიკრძალეთ ხატული, რომელ ფერი არ დააკლოს“, მაინც მხატვრობა ტაძარში ცეცხლისნთების ტრადიციას ვერ გადაურჩა და

სავალალოდ დაზიანდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია დაინტერესებულ პირთათვის ჭვარტლის საფარის ქვეშ გაეჭვრიტათ და შეეცნოთ მოხატულობის ღირსება.

როგორც ქართული ფრესკული ხელოვნების დაუღალავი მკვლევარი თინათინ ვირსალაძე მიუთითებს, 1931 წ. საქართველოს მუზეუმის ექსპედიციის მიერ „მაცხვარიშში" გადაღებულ იქნა რამდენიმე კომპოზიციის ფოტო. ეპიგრაფიკული მასალა შეისწავლა პ. ინგოროყვამ.

1946 წელს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ სვანეთის სხვა ძეგლებთან ერთად გამოიკვლია „მაცხვარიშის" ეკლესია. აქვე დაისვა მისი მოხატულობის სპეციფიკური შესწავლის და ფიქსაციის საკითხი. რაც 1947 წელს შესრულდა. ექსპედიციის წევრების მიერ მოხატულობა სრულად იქნა აღწერილი და ფოტოგრაფირებული, ასევე შესრულდა ორი პირი ტ. შევიაკოვას მიერ და ორი ფერადი ჩანახატი თვით თ. ვირსალაძის მიერ.[2]

თ. ვირსალაძემ ფუნდამენტალურად შეისწავლა „მაცხვარიშის" მხატვრობა. მიუხედავად ფერწერის გამურულობისა და ძლიერი დაზიანებულობისა, მან უტყუარი მეცნიერული ალღოთი განსაზღვრა მოხატულობის მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება და წარწერების გაშიფვრით დაადგინა მისი თარიღი, რაც მოხატულობაში არსებული ისტორიული პიროვნების, კერძოდ დავით აღმაშენებლის ძის დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის ამსახველი კომპოზიციის ანალიზით დაადასტურა.[3]

საქართველოში მეფედ კურთხევის ცერემონიალის ეს ერთგვარი სიმბოლური სცენა, ჩრდილოეთ კედელზე დასავლეთ თალის ქვეშაა გამოსახული. ცენტრში დემეტრეა, რომელსაც, როგორც თვით კომპოზიციის თანმხლები წარწერაც მიუთითებს „ჯრმალსა აბმენ დავითისასა ერისთავნი". დემეტრე I ტახტზე 1125 წელს ავიდა, ხოლო მოხატულობა, როგორც თინათინ ვირსალაძემ დაადგინა მიქაელ მაღლაკელის მიერ 1140 წელსაა შესრულებული, კომპოზიციაში გამოსახულ ერისთავთაგან კი ერთ-ერთი სვანეთის ერისთავთა შთამომავალი ვარდანისძეა, რომელიც, როგორც ჩანს, დემეტრეს მეფედ კურთხევის ცერემონიალში, ქართული ტრადიციის თანახმად, ხმლის შებმის დროს საპატიო მოვალეობას ასრულებდა.[4] ეკლესიის მოხატვის მოთავე ყოფილა კვირიკე მამასახლისი, რომელიც გამოსახულია სამხრეთ კედელზე ხელებაპყრობილი ბერის სამოსით, როგორც წარწერა მიუთითებს: „ესე არს კვირიკე მამასახლისი, რომელმან დიდი მოიჭირვა ამის ეკლესიისა ზედგომაჲ ხატვისა".

თ. ვირსალაძის კვლევით „მაცხვარიში" XI-XII სს. მონუმენტური ტრადიციების შემცველი მხატვრული ძეგლების გვერდით დგას. ამავე დროს გარკვეულ ძვრებს მიუთითებს დეკორატიული სტილის ჩამოყალიბებაში, რაც ძირითადად კომპოზიციათა განაწილების მკაცრი სიმეტრიულობის დარღვევაში, ფერწერული აქცენტების და ორნამენტული მოტივების განაწილებაშია გამომჟღავნებული. იგი მოხატულობის კოლორიტში ძუნწ მონაცრისფრო, მოყავისფრო-მოწითალო ტონალობას გამოყოფს, რაც ჩვეულებრივ სვანური ფერწერის ნიშანდობლივ თვისებად ითვლება.[5]

ფერწერული ძეგლის თანამედროვე კვლევის მეთოდები, რომლებიც



„იერუსალიმში შესვლის“ ფრაგმენტი გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ.

«Вход в Иерусалим». Фрагмент до и после очистки.



გარკვეულად რესტავრაციაზეა დაფუძნებული, ნელ-ნელა საქართველოშიც იწყებს განვითარებას. შედეგი მართლაც ნაყოფიერი და საინტერესოა. კონსერვაცია-რესტავრაციის შემდეგ გაწმენდილი მხატვრობა ნაწილობრივ ცვლის ხოლმე ზოგიერთ ტრადიციულ შეხედულებას და ხელახალ კვლევას საჭიროებს.

ამჟამად „მაცხვარიშის“ მოხატულობის კოლორიტიც რესტავრაციის შემდეგ ახალი სახით წარმოჩნდა.

ძეგლის კონსერვაცია-რესტავრაცია, რომელსაც აწარმოებდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სპეც. სამეცნიერო-სარესტავრაციო ჯგუფი მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით, 1986 წლის სექტემბერში დასრულდა. „მაცხვარიში“ ერთ-ერთი ურთულესი სარესტავრაციო ძეგლი იყო თავისი დაზიანების ხარისხით, ამიტომ აქ შესრულდა სარესტავრაციო პრაქტიკაში არსებული თითქმის ყველა სამუშაო. ზოგიერთ ადგილზე, კონკრეტულ შემთხვევაში, რესტავრაციის პროცესშივე მოხდა შესაბამისი მეთოდიკის შემუშავება და პრაქტიკულად გამოყენება. დაზიანებების ლიკვიდაციასთან ერთად მოიხსნა მოხატულობის დამფარავი ჭვარტლის ფენა და გამოჩნდა მოულოდნელი ტონალობის ფერწერა. გამოიკვეთა ნათელ თეთრ ფონზე ღია მოცისფრო-მომწვანო, მოვარდისფრო-მოწითალო და ოქრის ტონების შემცველი ნათელი გამა.

დღემდე არსებული მონაცრისფრო გამის შთაბეჭდილება ფერის ფენაში გამჯდარი ჭვარტლით იყო მხოლოდ გაპირობებული.

„მაცხვარიშის“ შელესილობა ორფენოვანია, პირველი შედარებით სქელია, მეორე კი — 2—3 მილიმეტრია, ზემოდან კირის გრუნტია (კირის რძე), მოხატულობა დაწყებულია სველზე კონტურით და ფერადოვანი ლაქებით, დამთავრებულია ტემპერით, მშრალი ტექნიკით.

შელესილობის ქიმები იმავე შემადგენლობის მასით გამაგრდა, რითაც კედელია შელესილი. აქ იყო კირი, ნამჯა და ქვიშა.

ძეგლი რამდენჯერმე ხანძრალის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ჩანს, აქვე იყონებოდა წყალი, რომელიც კამარასა და კონქში გროვდებოდა. ხანძრის მაღალი ტემპერატურის და ნესტის ხშირი ცვალებადობის გამო მოხდა ისე, რომ კამარა და კონქი მთლიანად დაზიანდა, ფერის ფენა დაიწვა, ნესტის გამო დაიშალა, კავშირი დაკარგა კედელთან.

შედეგი ასეთი იყო: მთლიანად ჩამოცვივდა საღებავის ფენა და დარჩა მხოლოდ მხატვრის მიერ შესრულებული პირველადი მონახაზი. ეს მონახაზი მოხატვის დროს, ხშირ შემთხვევაში, შელესვისთანავე სრულდება. მხატვარი აქვე ანაწილებს ფერებს (გვაძლევს პირობით ტონს, რომელსაც ინტენსიურად იმეორებს, აზუსტებს, აძლიერებს ტონალობას) შემდეგ ამთავრებს მშრალი ტექნიკით.

ნესტისა და დამწვრობისაგან დაშლილი ფერის ქვეშ დარჩენილი პირველადი მონახაზი შემორჩენილია დასავლეთ ნაწილში „მირქმის“ და „ფერისცვალების“ კომპოზიციაში. აღმოსავლეთ ნაწილში დამწვარი საღებავი მოსცილდა გრუნტს და ნაფლეთების სახით დაეკიდა, აიქერცლა. აცვივდა მუქი კონტურები და გამოჩნდა კომპოზიციაში გამოყენებული ძირითადი ტონალობის ფერები (უმეტეს შემთხვევაში თეთრი, ყვითელი ან ღია ვარდისფერი).

ჩრდილოეთ კედელზე „ეკატერინეს გვირგვინდების“ კომპოზიციაში ჭვარ-ტლით დაფარული ძირითადი ტონი ყვითელ (სამოსზე) — ყავისფ[illegible]-ხებოდა, მხოლოდ მუქი კონტურების აცვენის შემდეგ გამოჩნდა ყვითელი ფერი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყავისფერ ფონზე ყვითელი ნახატი იყოს გავლებული, სინამდვილეში, პირიქით, ყვითელ ფონზე ყავის-ფერი კონტურია.

ამ შემთხვევაში თხელი აკვარელის ფუნჯით BA-2-ЭГА-ს ხსნარით გამაგრდა მხოლოდ კონტური და 10-15 საათის შემდეგ გაიწმინდა.

პირველ რიგში ყოველთვის ზიანდება ის ნახატი, სადაც შავი საღებავია შერეული ან მთლიანად შავია, რადგან ასეთი საღებავი არამყარ ნაერთს გვაძ-ლევს შემაკავშირებელთან, იგი მზადდება ჭვარტლისაგან, დამწვარი ყურძ-ნის ლერწის, დამწვარი ძვლის ან დამწვარი თხილის ღეროსაგან. ყველანაი-რი საღებავის მდგრადობა დამოკიდებულია აგრეთვე კლიმატური პირობების ცვალებადობაზე.

ზემოთ აღვნიშნეთ ,რომ პირველ რიგში ზიანდება კონტური, რომლის შემადგენლობაში შედის შავი საღებავი, მაგრამ ეს არ ნიშნავს მარტო კონტუ-რის მთლიან ჩამოცვენას, ხშირ შემთხვევაში შემაკავშირებელი შესუსტებულია სხვაგანაც და მოხატულობის მექანიკური გაწმენდა შეუძლებელია, რადგან საღებავი ფქვილისებურ მასად არის გადაქცეული და ადვილად ცვივა.

ზემოდან მეორე რეგისტრში ფერის ფენა მდგრადი იყო და გაწმენდის შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლო კონტური ფქვილისებურ მასად იყო ქცეუ-ლი (სახის, ხელის, დრაპირების კონტურები). აქ გამაგრების სპეციფიკა შეი-ცვალა, პირველ რიგში გამაგრდა მუქი კონტური, რადგან შავი კონტური უფ-რო აიტანდა შავი ჭვარტლის შერევას, ჭვარტლი საღებავთან ერთად გამაგრ-და და საერთო სიმუქეს შეერია, ამის შემდეგ ფონის გაწმენდა უფრო ადვი-ლად წარიმართა, რადგან კონტურის დაზიანების საშიშროება უკვე მოხსნი-ლი იყო. ამ მეთოდის შემუშავებით შენარჩუნებულ იქნა მხატვრობის საერ-თო ხასიათი და სტილი, თორემ დაზიანების ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „ნათლისღების“, „ხარების“, „შობის“ კომპოზიციებ-ში იმის გამო, რომ კონტური მთლიანად იყო დაშლილი და ჩამოცვენილი მოხატულობის ხასიათი დაიკარგა, მან ნეგატივის ხასიათი მიიღო, გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოებით დაფიქსირდა მხოლოდ მისი სახეშეცვლილი იერი.

რაც შეეხება ზემოდან მესამე რეგისტრს, იგი მთლიანად დაფარული იყო წებოვანი ჭვარტლით და კირის მარილებით. გამომარილება შელესილობის ფენიდან იყო გამოსული მოხატულობის ზედაპირზე. წებოვანი ჭვარტლით ძირითადად დაფარული იყო ორნამენტებით შემკული სარკმლების და კა-რის წირთხლები, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ აქ ხანძარი იყო, რად-გან ჭვარტლი სარკმელში იყრის თავს. მიუხედავად იმისა, რომ ფერი იძ-ლეოდა გაწმენდის შესაძლებლობას, იგი არა სასურველად ჩაითვალა, რადგან ორნამენტების და წარწერების კონტური მთლიანად ამოვარდნილი იყო, შავი საღებავით შესრულებული წარწერის ამოცვენილი ფერის ქვეშ თეთრი ფონი დომინირებდა. თუ ფონი გაიწმინდებოდა წარწერა იკარგებოდა საერთო თეთ-რში, ამიტომ წარწერა გაუწმენდავ ოთხკუთხედ შავ ლაქაზე დარჩა. ასევე დარჩა სამოსზე მუქი ორნამენტის დამწვარი კონტურების ქვეშ ოქრის კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურები, ძირითადი ტონი გამიზნულად აღარ გაიწმინდა, რადგან ნახატის ხასიათი დაიკარგებოდა.

გაწმენდითი სამუშაოები ძირითადად მექანიკური წესით შესრულდა, იქ სადაც წებოვანი ჭვარტლი იყო (სარკმლის და კარის წირთხლებში) გაწმენდის პირველი ეტაპი ჭვარტლის დარბილებით (დიმეთილფორმამიდის ხსნარით) დაიწყო. ხოლო შემდეგ ლანცეტით ამოიკრიბა. მოხატულობის დანარჩენი ნაწილი, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ჭვარტლი გამჯდარი, საშლელით გაიწმინდა.

გაწმენდა-გამაგრებითი სამუშაოების დამთავრების შემდეგ შესრულდა კალკა-რეკონსტრუქცია და ასლი.

კალკა-რეკონსტრუქცია წარმოადგენს მოხატულობის ზუსტ სქემას, რომლის შესრულების დროს მხატვარ-კოპიისტი ამავე დროს ეუფლება შუასაუკუნეების ოსტატის ხელწერას.[6]

ამ თვალსაზრისით „მაცხვარიშის“ მოხატულობიდან კალკა-რეკონსტრუქცია შესრულდა საკურთხევლის მეორე რეგისტრში მთლიანად, სადაც გამოსახულია მოციქულები, ჩრდილოეთ კედლიდან „ეკატერინეს გვირგვინდების“ კომპოზიცია, სამხრეთიდან კვირიკე მამასახლისის გამოსახულება, გადმოღებულ იქნა შემორჩენილი ორნამენტის ყველა ფრაგმენტი და ყველა წარწერა. ასევე შესრულდა ასლი-რეკონსტრუქცია დასავლეთის კედლის ლუნეტის მეორე რეგისტრში გამოსახული „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციისა.

ეს კომპოზიცია ყველაზე თვალსაჩინოა და თითქმის სრულად შემორჩენილი მთელი მოხატულობიდან. გაწმენდის შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა მისი მხატვრული სახე. მხატვარ-რესტავრატორებისთვის ამ კომპოზიციის პირზე მუშაობა საინტერესო და აუცილებელი გახდა, რადგან ამით საშუალება ეძლეოდათ დაუფლებოდნენ ოსტატის ხელწერას, რაც შემდეგ უფრო დაზიანებულ მონაკვეთზე, კალკა-რეკონსტრუქციის ან პირი-რეკონსტრუქციის შესრულების შემთხვევაში დაეხმარებოდათ ზუსტად აღედგინათ ჩამოცვენილი ადგილი. თვით „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციაში, თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი სახედარზე მჯდომი მაცხოვრის წინ დაჩოქილი ბიჭის ფიგურა, რომელიც კვართს უფენს სახედარს. აქ დარჩენილი იყო მხოლოდ ფიგურის ხელების, თავის და ფეხის ბუნდოვანი მონახაზი. „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციის იკონოგრაფიაში ამ ფიგურის გამოსახვა ტიპიურია, რაც რესტავრატორისთვის საძიებელი აღარ არის, ამ შემთხვევაში საჭირო იყო ოსტატის ხელწერის ცოდნა, რასაც რესტავრატორი დანარჩენ ფიგურებზე მუშაობისას უკვე გაეცნო. აქვე ბზის ხეზე გამოსახული ფიგურა საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა იმისათვის, რომ ზუსტად გადმოეცა მხატვრის მიერ ბიჭის სხეულის მონახაზის ხასიათი, რაც აღსადგენი ფიგურის სხეულის აგებისას იქნა გამოყენებული.

სპექტრული და ქიმიური ანალიზის შედეგად დამზადდა საღებავები იმ პიგმენტის მიხედვით, რაც აჩვენა ფერის ანალიზმა. დადგინდა, რომ აქ ძირითადად გამოყენებულია სინგური, ლაზურიტი, ოქრა, აურიპიგმენტი, გლაუკონიტი, უმბრა, კირის და ტყვიის თეთრა და შავი ჭვარტლი. ხშირ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეული ფერის ლაქა ფერშეცვლილია, მაგალითად თუ საღებავში გამოყენებულია თუთიის თეთრა, სინგური, იმდენად იცვლიან ფერს,

რომ ეს მკვეთრი საღებავები ხშირად ნაცრისფერ და შავ საღებავებად ჩა-ნან.

ასლი-რეკონსტრუქციის დროს კეთდება არა ფერშეცვლილი, არამედ თავ-დაპირველი ფერი, რომელიც უნდა უახლოვდებოდეს ორიგინალს. „იერუსა-ლიმში შესვლის“ ასლი-რეკონსტრუქცია ტექნოლოგიის და ოსტატის ხელ-წერის ზუსტი დაცვით დაუახლოვდა ორიგინალის თავდაპირველ სახეს.

ჩვენს მიერ მოყვანილ ფოტო-დოკუმენტებზე შეამჩნევთ მუქ ოთხ-კუთხედ ლაქებს. ეს გაწმენდის შემდეგ თვალსაჩინოებისათვის დატოვებუ-ლი ჭვარტლის ლაქებია, რომელიც სპეციალურად რესტავრაციის შედეგის მაჩ-ვენებლად რჩება.

„მაცხვარიშის“ რესტავრატორთა ჯგუფის წევრებს ამ ძეგლზე და წინა წლებში შესრულებული სამუშაოებისათვის (კაიშის მთავარანგელოზი, ლიხ-ნე) მოსკოვის საატესტაციო კომისიამ მიანიჭა უმაღლესი, მეორე და მესამე კატეგორიის რესტავრატორის წოდებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

1. ვ. ბერიძე. ძველი ქართველი ოსტატები. თბ., 1967, გვ. 171.

2, 3, 4, 5. Т. Вирсаладзе. Фресковая роспись художника Михаела Маглакели в Мацхвариши. Ars Georgica т. 4., стр. 174, 184, 230.

6. ე. პრივალოვა. ლის წესრიგშია ქართული კედლის მხატვრობა. „ძეგლის მეგობარი“ № 2, 1986, გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა მგალობლიშვილი, გიორგი მარჯანიშვილი

## ზოგი რამ „მარშლიანთ“ სასახლის შესახებ

კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქის განაპირას, გარიყულაზე დგას სასახლე, რომლის აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული მემორიალური დაფა გვამცნობს: „XIX საუკუნის კულტურის ძეგლი ე. წ. „მარშლიანთ სასახლე ააშენა და აქ ცხოვრობდა გიორგი სააკაძის შთამომავალი, მარშალი ალექსანდრე დავითის ძე თარხან-მოურავი“.

ალექსანდრეს მამა — დავითი იყო ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII დროს ათასისთავი — „მიმბაში“, ხოლო ქართლ-კახეთის რუსეთის სამეფოსთან შეერთების შემდეგ — თავადაზნაურობის პირველი წინამძღოლი (მარშალი).[1] დავითს ცოლად ჰყავდა ზურაბ წერეთლის ქალიშვილი მაკინე.[2]

მათი შვილები:

კონსტანტინე — მოხსენებული ჰყავს ლევ ტოლსტოის მოთხრობაში „ჰაჯი მურატი“, როგორც მიხეილ ვორონცოვის თარჯიმანი, შემდეგში განჯის გუბერნატორი, მან ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა ქართველთაგან რუსეთში იურიდიული ფაკულტეტი. გარდაიცვალა უცოლშვილო.

ალექსანდრე — მემამულე, ცოლად ჰყავდა მარიამი, პიძინა ქსნის ერისთავის ასული.

იოსები — გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის გრენადერთა დივიზიის უფროსი; თავისი დივიზიის იერიშებით აიძულა შამილი დანებებოდა თავად ბარიატინსკის; ცოლად ჰყავდა მამუკა ორბელიანის ქალიშვილი ბარბარე.

მიხეილი — მემამულე, ცოლად ჰყავდა ცაცა ერისთავი.

თამარი — ლუკა (ლუარსაბ) თარხან-მოურავის მეუღლე;

ნატალია — ალ. ჯავახიშვილის მეუღლე;

მართა — გიორგი ერისთავის (დრამატურგის) მეუღლე.

მარშლიანთ სასახლე გარიყულაზე, ლამაზ, მომაღლო ბორცვზე დგას, საიდანაც სოფ. ახალქალაქისა და მისი მიდამოების თვალწარმტაცი ხედი იშლება. სასახლის გარშემო ჰყაოდა ხეხილის ბაღები, გზას ახლაც კი კაკლის ხეივანი მიუყვება. სასახლის სამხრეთით, ეზოში, რვაწახნაგა თლილი ქვით მოპირკეთებული წყლის აუზია, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს XIV-XVII საუკუნეების აბანოები. სასახლის პირველი სართულის მშენებლობა დაუწყია დავით თარხან-მოურავს, ხოლო მეორე სართულის მშენებლობა და კედლების მოხატულობა უკავშირდება მისი ძის — ალექსანდრე თარხან-მოურავის სახელს. სასახლის მშენებლობა და მოხატვა დამთავრებულა საქართველოში რუსეთის მეფისნაცვლად თავად ა. ბარიატინსკის ყოფნის დროს (1856-1862 წწ.).

მეორე სართულის ერთ-ერთი ოთახი დავითმა ააშენებინა და მოახატვინა ზუსტად ჩაის კოლოფის ფორმის და ორნამენტის მიბაძვით, რომელიც მას ჩინური ჩაით გამოუგზავნა ბარიატინსკიმ. ამის გამო ოთახს ბარიატინსკის სახელი დაერქვა. ამ ოთახში ყოფნა და დასვენება უყვარდა აკაკი წერეთელს.

სასახლე ძირითადად ნაგებია აგურით, დასავლეთის ფასადისა და სამხრ-

კვლის მშენებლობაში გამოყენებულია რიყის ქვა. ძეგლი გეგმაში ოთხკუთხა წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, აღმოსავლეთიდან ორსართულიანი მინაშენით, რომლის გრძივი ღერძი OW მიმართულებას მიუყვება. ხუროთმოძღვარს აქცენტი სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე გადაუტანია და მათი ცენტრალური ნაწილი განაპირა რიზალიტებისაგან ორიარუსიანი პილასტრებით გამოუყვია. ჩრდილოეთ ფასადის ცენტრალური ნაწილის პირველი სართული ოთხკუთხა სვეტებითა და მათზე გადაყვანილი ნახევარწრიული თაღედითაა დამშვენებული. სვეტებს კაპიტელის იმიტაცია აქვს, ხოლო თაღედს მარტივი ლილვი დაუყვება. ზუსტად თაღედის სიმეტრიულად, მეორე სართულში, მოთავსებულია შეისრული ფორმის ხუთი სარკმელი, სწორკუთხა მუშაბანდიანი ჩარჩოებით, რომლებიც ერთმანეთისაგან რთულადპროფილირებული საპირეებით გამოიყოფოდნენ. ასეთივე სარკმლები, ოღონდ გასამმაგებული კომპოზიციით, არის ჩრდილოეთ ფასადის რიზალიტებში, ხოლო აღმოსავლეთის მინაშენის ჩრდილოეთის ფანჯრები ორმაგი სარკმლის კომპოზიციითაა წარმოდგენილი. ჩრდილოეთ ფასადის სარკმელთა დამუშავებაში აშკარად გუთურ-ისლამური სტილის მოტივთა ვარიაციებს ვხვდებით. შეისრული ნაწილების დამუშავებაში დეკორატიული ნახატის ე. წ. მუშარაბის გამოყენება დიდად გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნების და საქართველოს, კერძოდ, თბილისის ხელოვნებაში.

ჩრდილოეთის ფასადს განსაკუთრებულ იერს ანიჭებდა დამაგვირგვინებელი კბილანებიანი კოშკურები, რომელთა ცენტრალური კბილანის ქვეშ აგურის წრიული წყობით გამოყვანილი იყო მედალიონი, შუა ნაწილში ასევე წრიული მოყვანილობის ღრმულით. ჩრდილო-აღმოსავლეთის მინაშენი სრულდებოდა ქონგურების მწკრივით, რომლებიც ქართული ფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრეთა დამახასიათებელ დეტალს იმეორებს. შენობას მთელ პერიმეტრზე შემოუყვება მარტივი პროფილის სართულგამყოფი ჰორიზონტალური სარტყელი.

სასახლის სამხრეთი—„ევროპული"—ფასადი მკვეთრად განსხვავდება ჩრდილოეთისაგან. მკაცრად დაცული რიტმი კარ-სარკმელთა მონაცვლეობაში მას სადა და პომპეზურ იერს ანიჭებს. ცენტრალური ღერძის ორივე სართულში მოთავსებულია დიდი კარები, მათ მიმართ სიმეტრიულადაა განლაგებული სართულების მიხედვით კარ-სარკმლები, თაღთა განსხვავებული მოხაზულობით. პირველი სართულის კარ-სარკმლები გარდა ცენტრალური შესასვლელისა, ბრტყელი თაღით — ფასტაღით არის გადახურული, ხოლო მეორე სართულისა, ნახევრადწრიული თაღებითა და მათი ხაზგამსმელი წრიული ლილვის თავსართით ბოლოვდება. კარ-სარკმელთა ალათების დეკორატიული ნახატი ზოგან ფერადი მინით არის დამუშავებული.

სამხრეთი ფასადის მხატვრულ გადაწყვეტაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეორე სართულის ორი მცირე და ცენტრალური ნაწილის დიდი ოვალური აივანი. ორმაგი ორდერი, დიდი თაღოვანი კარ-სარკმლები და სამი აივანი „ მაევროპეიზირებელი" არქიტექტურის რიგში აყენებს ამ შენობას. ნაგებობის არქიტექტურული მთლიანობა მიღწეულია კარ-სარკმელთა ალათების დეკორატიული ნახატის მსგავსი დამუშავებით. ხის მასალად სასახლის მშენებლობისას გამოიყენებოდა მუხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გარიყულა. თარხნიშვილების სასახლე.
ჩრდილოეთის ფასადი.

Гарнкула. Северный фасад дворца Тархнишвили.

დასავლეთის ფასადი აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობითაა ამოყვანილი. ორივე სართულს ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულად განლაგებული ორ-ორი სარკმელი ანაწევრებს.

აღმოსავლეთის მინაშენის პირველი სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე გახსნილ თაღედს წარმოადგენს. თაღედი ამოყვანილია აგურის ირიბი წყობით. ეს ღია, თაღოვანი სივრცე გამოყენებული იყო ეტლების სადგომად, შემდგომში იგი ამოუშენებიათ და საყოფაცხოვრებო სათავსოდ გადაუქცევიათ. ვფიქრობთ, გაცილებით გვიანდელია გახსნილი თაღედის მიჯრით, სამხრეთი მიმართულებით აშენებული ქვის პირველი სართული და ხის პრიმიტიულაივნიანი მეორე სართული. ჩანს, თაღედის ამოშენებაც გვიანი გადაკეთების დროს უნდა მომხდარიყო. აივანზე მოხვედრა შეიძლებოდა მასზე მიდგმული ხის კიბით. მთელს სასახლეს, ფასადზე შელესილობის კვალი აჩნევია. იგი ოთხქანობიანი კრამიტის სახურავით იყო გადახურული.

შენობის პირველ სართულში საცხოვრებელ-საძინებელი ოთახები იყო, ხოლო მეორეში დიდი დარბაზი, სასადილო, შუშაბანდიანი ლოჯია და მათი მიმდებარე, შედარებით მცირე ზომის სტუმართა მოსასვენებელი ოთახები. ასვლა მეორე სართულზე ხდებოდა მუხის ხის, რიკულებიანი მოაჯირის მქონე, ხვეული კიბით. მნახველთა წინაშე სრულიად სხვაგვარი სამყარო იშლებოდა.

ოთახთა ჭერი ან თაღოვანია, ან სტალაქტიტური; დარბაზისა და ლოჯიის კედლები ხალიჩისებრი ორნამენტითაა დაფარული. სპარსული კულტურისათვის დამახასიათებელი ელფერი ეტყობა ყველაფერს.

აკად. ვ. ბერიძე წერს, „თბილისში არშაკუნისეულ სახლის (ამჟამინდელი სამხატვრო აკადემიის შენობა) ინტერიერების დეკორატიული გაფორმება, სარკეებიან ფონზე გამოყვანილი თაბაშირის ორნამენტაცია, მოხატულობა აღმოსავლეთში გავრცელებული ყვავილოვანი მოტივებით, ვაზებით, ცალკეული ფიგურებით, სპარსულწარწერიანი მედალიონებით უეჭველია თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების მიერაა შესრულებული. როგორც ორნამენტული მოტივები, ისე თვით მოხატულობის საერთო ანალოგია და სტილისტიკური ნიშნები გვიანირანული დეკორის ტრადიციებს უკავშირდება, ამის მონათესავე მოხატულობა გვხვდება აზერბაიჯანშიც XVII-XIX სს. სასახლეებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარიყულა. თარხნიშვილების სასახლე. I სართულის გეგმა.

Гарикула. Дворец Тархнишвили, план I этажа.

ში. საქართველოში ანალოგიური სახით იყო დამუშავებული ე. წ. მარშლიანთ სასახლე გარიყულაზე, ქართლის სოფელ ახალქალაქში".[3]

სასტუმრო ოთახის „აღმოსავლურობა" გამოხატულია მხოლოდ ჭერ-კედელთა გადაბმის ადგილას მოთავსებული ფრიზით და ჭაღის გარშემო არსებული ნაყშით. სადა კედლები კი დეკორირებულია რიტმულად განმეორებადი ჭსხვილი ორნამენტით, რომლის ანალოგიას როკოკოს ხანის ევროპულ ხელოვნებაში თუ შევხვდებით და მასში პლასტიკური, ამავე ხანისათვის დამახასიათებელი რეალისტური ხერხებით ქალის ფიგურაა გამოსახული. ეს არის ნადირობის ქალღმერთი დიანა, თავისი ამალითა და ატრიბუტებით.

სასტუმრო ოთახი დიდი თაღოვანი კარითა და სარკმლებით უკავშირდება შუშაბანდიან ლოჯიას, რომლის კედლებიც და ჭერიც სპარსულ-აღმოსავლური ორნამენტით არის მოხატული. ჭერ-კედელთა გადაბმის ადგილზე გამოყვანილია სტალაქტიკური ფრიზი ნაყშით და მათ შორის სიბრტყეზე მიმობნეული ყვავილოვანი ნახატით. კედლები იატაკიდან ფრიზამდე მთლიანად მოხატულია მცენარეული, ფრინველთა, დეკორატიული ლარნაკებისა და ე. წ. ცეცხლოვანი ენების „ბუტა" — ორნამენტის გამოყენებით. სასტუმრო დარბაზი ხალიჩებითა და რბილი ავეჯით ყოფილა მორთული. ლოჯიის ცენტრში მოწყობილი იყო მცირე ზომის შადრევანი,[4] რომლის ბაზისი დღემდე შემონახულა.

ლოჯიიდან მარჯვნივ იყო ოთახი, რომელიც წმინდა სპარსულ-აღმოსავლური ორნამენტით იყო მოხატული. ჭერი ოდნავ შეისრულ-თაღოვანია, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პელზეც სარკისებური სიმეტრიის წესით გამოკვეთილი ცენტრი და მისგან გამომდინარე, ორსავე მხარეს გაშლილი, ცენტრალური აქცენტისადმი დამორჩილებული ორნამენტული ნახატია წარმოდგენილი. სარკეებიან ფონზე გამოყვანილია ნაძერწი ორნამენტი, რომელიც შევსებულია ფერწერით. ოთახის კედლები ისევეა დამუშავებული, როგორც ლოჯიისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დასამუშავებელი სიბრტყე უფრო ღრმადაა ჩაძირული კედლის სიბრტყესთან შედარებით და გრეხილი ლილვით გარშემოვლებული შეისრული თაღით ბოლოვდებოდა. ჭერ-კედლები მთლიანად იყო მოხატული, მათი შეერთების ადგილი აქცენტირებულია დიდი ზომის მცენარეული ორნამენტით, რომელთა ცენტრში ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული. „სპარსული“ ოთახის აღმოსავლეთ კედელში ღრმა განჯინაა ორმაგი კარით, რომელიც ისევეა მოხატული, როგორც კედლები და არ ირღვევა მოხატულობის კომპოზიციური მთლიანობა. დეკორატიული ყვავილებით სავსე ლარნაკები, მედალიონები, ჩიტები, მცენარეული ხვეულები, ყველა ეს გამოსახულებები დიდი ოსტატობით არის ჩახატული ძირითად ორნამენტულ კონტურში. ოთახის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ამოყვანილია ორიარუსიანი ბუხარი; ზემოთა იარუსის შეისრული ნაწილი სტალაქტიტური ნაძერწობითაა დაბოლოვებული. ამავე ნაწილის ცენტრალურ სიბრტყეზე შესანიშნავი ფერწერული კომპოზიციაა ვარდის ბუჩქისა და ბულბულების გამოსახულებით.

თეთრ-მოოქროვილ ფონზე შესრულებულ მხატვრობაში ჭარბობს ლურჯი, ნარინჯისფერი, მუქი მწვანე და შინდისფერი ტონი, მათ შესანიშნავად ერწყმის იასამნისფერი და ხასხასა მწვანე ფერის ყვავილოვან ორნამენტთა ტონალობა. ლოჯიიდან მარცხენა მხარეს მდებარეობდა ე. წ. ბარიატინსკის ოთახი, რომელიც ჩინური ჩაის კოლოფის ზუსტი მიმსგავსებით მოუხატიათ სასახლეში მომუშავე ოსტატებს.

თავისი არქიტექტონიკით ეს ოთახი „სპარსული“ ოთახის იდენტურია, მხოლოდ მოხატულობაა განსხვავებული. ღია ტონალობის, წვრილი მცენარეული ორნამენტის ფონზე, მუქ წერტილებად აღიქმება ფერადი პეპლებისა და დრაკონების გამოსახულებანი. ფოტოების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ოთახის მოხატვისას ჩინური ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა ორნამენტიკის გამოყენებამ, განსაკუთრებული ჰაეროვნება და ეგზოტიკურობა შიანიჭა სასახლის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეს. სამწუხაროდ, დღესდღეობით ოთახი შეთეთრებულია და მოხატულობის კვალი არსად ჩანს.

სამხრეთ ფასადზე გამოდიოდა სასადილო დარბაზი და მისი მომიჯნავე ორი ოთახი. თითოეულს გასასვლელი ჰქონდა აივანზე.

სასადილოსა და მის მიმდებარე ოთახებს ერთნაირად ნაძერწი ჭერი და ჭალის ნაყში გააჩნდათ. კედლებზე აბრეშუმის შპალერი იყო გაკრული.

სასახლის ტერიტორიაზე არსებობდა კარის ეკლესია,[5] რომლის ფრაგმენტი რელიეფური ჯვრის გამოსახულებით ინახება თარხან-მოურავების შთამომავლის ქ-ნ მარინე მაჩაბლის სახლის ეზოში. არ არის გამორიცხული, რომ ახალი, ზემოაღწერილი სასახლის აგებამდე, იმავე ტერიტორიაზე ყოფილიყო საცხოვრებელი კომპლექსი, რომელშიც სახლთან ერთად კარის ეკლესია, აბანოები, აუზი და სხვა სამეურნეო ნაგებობანი შედიოდა.

საყურადღებოა აბანო, რომელიც ოთხი განყოფილებისაგან შედგება:

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარიყულა. თარხნიშვილების სასახლე. ჭრილი. Герикула. Дворец, разрез.

საქვაბე, ორი საბაზანო და მოსაცდელი. აღმოსავლეთით მდებარეობს საქვაბე, ხოლო მისი გაყოლებით გრძივ ღერძზე ორი საბაზანო და დასავლეთით მათგან კარით დაკავშირებული მოსაცდელი. საბაზანო ოთახები გეგმაში კვადრატული ფორმისაა, გადახურული ჯვრული კამარით, გუმბათები სხვადასხვა სიმაღლისაა. აღმოსავლეთისაკენ მიმდებარე საბაზანო ოთახს თაღით გამოყოფილი სწორკუთხა უბე ახლავს. საბაზანო ოთახის კედლები თაღებითაა შემკული და ჩრდილოეთ ფასადზე მოთავსებული ორი სარკმლით ნათდება. განაპირა სათავსები — საქვაბე და მოსაცდელი — სადა სწორკუთხა მოცულობებია ბრტყელი გადახურვით. აბანო ნაგები იყო ყორე-ქვით, ხოლო გუმბათები აგურით. ფასადები ამჟამად სრულიად სახედაკარგულია თანამედროვე შელესილობის წყალობით.

დარწმუნებული ვართ, სასახლე შენდებოდა მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული პროექტის მიხედვით, რომლის მიგნებას აუცილებელ მიზნად ვისახავთ.

გარიყულას „მარშლიანთ“ სასახლე საინტერესო ნიმუშია XIX ს-ის 50-იანი წლების ქართული საერო ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ძეგლის თავდაპირველი სახე დღევანდელ მნახველს ეგზოტიკურად ეჩვენება.

ერთი შეხედვით უჩვეულოდ გამორჩეული სახე, მიღებულია ორი დიდი კულტურული წრის მაჰმადიანურისა და ქრისტიანულ წიაღში შემუშავებულ ფორმათა და სახეთა მძაფრი შეპირისპირება-დაკავშირებით. ეს არ უნდა ყოფილიყო შემთხვევითი. ჩვენის აზრით ამ მოვლენის გასაღებს გვაძლევს XX ს-ის დასაწყისის ქართველ შემოქმედთა გარკვეული ნაწილის მკვეთრი შებრუნება აღმოსავლეთისკენ.

გავიხსენოთ ტ. ტაბიძის ლექსი-ლოზუნგი:

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარიყულა. გალერეის მოხატულობის ფრაგმენტი.

Гарикула. Галлерея. Фрагмент росписи.

გარიყულა. ე. წ. ჩინური ოთახის ჭერის მორთულობა.

Гарикула. Т. н. Китайская комната, роспись потолка.



ეროვნული ბიბლიოთეკა

და რაც შემხვდება, შემაჩერებს შორეულ გზაში,
ჩემს ღვრია ლექსში დაისვენებს და დაიჩრდილებს“.

ჰაფეზის სახეში განსახიერებული მაჰმადიანური აღმოსავლეთისაკენ შებრუნებით გაცხადდა ქართული კულტურის სწრაფვა მოეცვა საზოგადოდ კაცობრიობის კულტურული მონაპოვარი.

აღმოსავლეთზე მძაფრი აქცენტი ჩანს ვ. კოტეტიშვილის წერილში „აზიისაკენ“, სადაც ავტორი ევროპულობის ციებ-ცხელებით შეპყრობილ საქართველოს მოუწოდებს ყურადღება მიაპყროს და განიცადოს აღმოსავლური სტიქიონი, სადაც ქართული კულტურის ფესვებია ჩამარხული: „აზიას, აზიის მთებიდან უნდა გადახედვა, თუნდ იალბუზისა და ყაზბეგის ვარანტური კოშკებიდან, მხოლოდ დიდი სიმაღლიდან გამოჩნდება აღმოსავლეთის რთული და ღირსსაცნობი ცხოვრება. აქეთ არის შოთას სასახლე, რუმის ლურჯი ბალი და ჰაფიზის მინარეთი, ისმის ჩვენი ძველი მონასტრების ზარის რეკა და დერვიშების მონოტონური გალობა და მოეზინების ყივილი მეჩეთის სიმაღლიდან“.[6]

აღმოსავლეთისაკენ სწრაფვა გამოჩნდა მხატვართა მთელ თაობაში. ლ. გუდიაშვილი ქართულს ხედავდა აღმოსავლურ მინიატურაში და ახორციელებდა თავისებურ სინთეზს ევროპულ მოდერნთან. დ. კაკაბაძე ეროვნულს ეძებდა აღმოსავლურ სიმბოლიკაში და ამ სიმბოლიკას უკავშირებდა ევროპული მხატვრობის უახლეს მიმდინარეობას. მეტიც, თბილისში დგას 1905 წელს აგებული შენობა, რომელშიც თითქოს განსახიერებულია ეს განწყობა. საუბარი გვაქვს მაჩაბლის ქ. № 13-ში მდებარე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის სახლზე (მწერალთა კავშირის დღევანდელი შენობა). აქაც, ქუჩაზე გამომავალი ფასადი წარმოადგენს ევროპული მოდერნის შესანიშნავ ნიმუშს. ეზოს მხარე თბილისური სახლით არის შთაგონებული, ხოლო ინტერიერები განიყოფიან „ევროპულ“ და „აღმოსავლურ“ დარბაზებად. ინტერნაციონალური ჯგუფის მიერ აგებული ეს შენობა (პროექტის ავტორი მიუნხენელი კარლ ცაარი, თანაშემწეები ოზეროვი, ტატიშჩევი და მამაცაშვილი) დამკვეთის, დავით სარაჯიშვილის მოთხოვნებით იყო განსაზღვრული. ეს დამოკიდებულება აღმოსავლეთის მიმართ არ გაჩენილა ცარიელ ადგილზე. ქრისტიანული საქართველო თავისი სიმწიფის ჟამს ხომ ცდილობდა აღმოსავლური სიბრძნის გათავისებას? ამის დასტურია ქართული კულტურის ქვაკუთხედში — „ვეფხისტყაოსანში“.

„ქრისტიანული ზოგადადამიანური იდეალის გარდა „ვეფხისტყაოსანში“ საოცარი სისავსით გამოვლინდა ქართველი კაცის მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნება, რომელიც რელიგიური აღმსარებლობის სფეროში იმთავითვე ეკუმენური იყო თავისი ბუნებით. ამიტომაც პოულობენ მკვლევარნი „ვეფხისტყაოსანში“ ყველა რელიგიისა და ფილოსოფიის ანარეკლებს უმაღლესი ერთიანობის სახით... განსაცვიფრებელია ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სუფევს ისლამის სული და ამავე დროს ქრისტიანული სული. იგრძნობა, რომ ავტორი ღრმა ქრისტიანია, ოღონდ არა იმ გაგების ქრისტიანი, რომელიც ყველა სხვა რელიგიას და თვით ქრისტიანობის სხვა კონცეფციურ ნიუანსებს გმობს და ემიჯნება, არამედ ისეთი, რომელიც მიელტვის რელიგიათა შერიგებას. ერთი ჰარმონიული საყოველთაო რელიგიის ნიადაგზე. იგი ისეთივე ქრის-

ტიანია, როგორიც დავით აღმაშენებელი, რომელსაც ძალუძს ლოცვა, როგორც ქრისტიანულ ეკლესიაში, ასევე მეჩეთშიც და სინაგოგაშიც, იგი ბაბილონურ ენათა განყოფის მსგავს ტრაგედიად თვლის რელიგიათა განყოფას და მიელტვის სინთეზს.[7] რა თქმა უნდა აღნიშნული მოსაზრება არ გვაძლევს უფლებას იგივეობის ნიშანი დავსვათ თუნდაც „მარშლიანთ“ სასახლესა და სარაჯიშვილის სახლის წარმომშობ შინაგან მიზეზებს შორის.

თარხან-მოურავის სასახლე შენდებოდა იმ დროს, როდესაც საქართველო ცდილობდა მნიშვნელოვან კულტურულ ღირებულებათა შემოქმედ, ბარბარიზებული სამაჰმადიანო სამყაროდან თავის დაღწევას და სახე აღნიშნული შენობისა უნდა მივიღოთ როგორც არსებული, მაგრამ ცნობიერად გაუფორმებელი ტრადიციის მატერიალიზაცია. დ. სარაჯიშვილის სახლი კი იმ ეპოქაშია წარმოქმნილი, როდესაც საქართველო იქცა ევროპული კულტურის მატარებელ ერთა ოჯახის წევრად და გააზრების საგნად ქცეულმა იგივე ტრადიციამ იმპულსი მისცა ოდინდელ ქართული აქტიური პოზიციის აღდგენისათვის. ეს ორი, სხვადასხვა ეპოქის მაღალმხატვრული ქმნილება წარმოადგენს ქართული ეროვნული კულტურის შესანიშნავ ძეგლებს.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შენობა დამახინჯებულია. დ. სარაჯიშვილის სახლში მომხდარი რეკონსტრუქციის დროს მოისპო თავდაპირველი ეზო, მოპირკეთდა შენობის ეზოს ფასადის ქვედა სართული. აუცილებელია ძეგლისათვის თავდაპირველი სახის მინიჭება.

გარიყულას სასახლის აღწერისას გამოყენებულია ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს საწარმოო გაერთიანების არქივის ფოტომასალები, ანაზომები, შესრულებული 1956 წელს არქიტექტორების ლ. ხიმშიაშვილის, გ. ჭეიშვილის და რ. ცინცაძის მიერ.

პირვანდელი სახით ძეგლმა მოაღწია 1962 წლამდე, სანამ გარიყულას სასახლე, მისმა პატრონმა, ქ-ნ ეკატერინე ვასილის ასულმა თარხან-მოურავმაჩაბელმა,[8] უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს. შემდგომ სასახლე სამინისტრომ სამხატვრო აკადემიას გადასცა — საშეფოდ. უდავოდ წარმოუდგენელია უფრო უკეთესი ან შესაფერისი პატრონი გამოუძებნო ქართული კულტურისა და არქიტექტურის ძეგლს, მაგრამ საქმის ვითარება სხვაგვარად წარიმართა და აი, რას წერს აკადემიის მესვეურების საქმიანობის შესახებ კრებული „ძეგლის მეგობარი“ თავის მოკლე ქრონიკაში: „სამხატვრო აკადემიამ დაამახინჯა ე. წ. მარშლიანთ სასახლე გარიყულაზე და მას დაუკარგა პირვანდელი სახე. მათვე უხეშად დააზიანეს იქვე მდებარე XVI-XVII სს. აბანოები, მოშალეს გათბობის სისტემა, იატაკზე დაასხეს ცემენტის ხსნარი და დაუკარგეს მას პირვანდელი სახე“. მორიდებით ნათქვამია იმის შესახებ, რაც შეფებმა დამართეს არქიტექტურის ძეგლს. სრულიად განადგურებულია ძველი ფასადები, ჩრდილო-აღმოსავლეთის მინაშენი საერთოდ აღგვილია პირისაგან მიწისა. ძეგლი შეაბათქაშეს, გარშემოარტყეს რკინა-ბეტონის დიდი აივანი, რომლის გამოც იგი სრულიად თანამედროვე ნაგებობას დაემსგავსა. XVI-XVII საუკუნეების ორგუმბათოვანი აბანო სულს ღაფავს ახალ, ამაღლებულ ბაქანს ქვეშ. განადგურების პირასაა მისული მხატვრობა, რომლის გადასარჩენად სასწრაფო ზომებია მისაღები. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



გარიყულა. თარხნიშვილების სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადის დღევანდელი სახე.

Сегодняшний вид дворца Тархнишвили.

სახლის ძვირფასი მასალისაგან დამზადებულ კარ-სარკმელთა კვალსაც კი ვერსად მივაკვლიეთ, ვინაიდან ყველა ახალი მასალითაა შეცვლილი.

არ ეპატიებათ სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს, რომელნიც გარიყულაში საზაფხულო პრაქტიკაზე იმყოფებიან, ძველი მხატვრობის ორნამენტებში სახელების ჩაწერა ან ფუნჯით „შემოქმედებითი“ მონასმების გაკეთება. ვინაიდან ვინ, თუ არა მომავალმა მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, ხუროთმოძღვრებმა უნდა მოუარონ, აღადგინონ, შემოუნახონ მომავალ თაობებს ისტორიული წარსულისა და ხელოვნების საუკეთესო ქმნილებები? ვიმედოვნებთ, და გვჯერა, რომ დალუპვის პირზე მისული სასახლის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ მემორიალურ დაფას ეღირსება პირვანდელ, სიმშვენიერედაბრუნებულ, აღდგენილ ძეგლზე მოთავსება.

---

1 ცნობები თარხან-მოურავთა საგვარეულოსა და სასახლის შესახებ მოგვაწოდეს დ. თუმანიშვილის ხელშეწყობით შთამომავლებმა, თამარ და ლუკა თარხან-მოურავების ვაჟის ესტატეს ძემ გიორგი თარხნიშვილმა და ქ-ნმა მარინე მაჩაბელმა-ლეჟავამ.

2 ზურაბ წერეთელი — სოლომონ II, იმერეთის მეფის (1790-1810) სახლთუხუცესი, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, საჩხერის ციხის „მოდინახეს“ პატრონი. შემდგომ მიენიჭა რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდება. იხ. მიხეილ რეხვიაშვილი, „იმერეთი XVIII საუკუნეში“. თსუ გამომცემლობა, თბ., 1982. გვ. 282, 305—307.

3 ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წწ. თბ., 1960. I, გვ. 118.

4 შადრევნის ბაზისი ინახება გარიყულაში მარინე მაჩაბლის სახლის ეზოში. მომსწრეთა გადმოცემით შადრევანში სტუმართა პატივსაცემად ხან წყალი, ხან ღვინო ამოჩქეფდა.

5. კარის ეკლესიის მოძღვარი იყო გიორგი კარგარეთელი, ცნობილი ქართველი მომღერლისა და მუსიკოსის, ია კარგარეთელის მამა.

6 ვ. კოტეტიშვილი, „აზიისაკენ“, ალმანახი „ლეილა“ № 2, თბ., 1920 წ.

7 ზ. გამსახურდია, „რუსთველი და ანტონ I“, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1984 წ. № 4.

8 ეკატერინე ვასილის ასული თარხან-მოურავი-მაჩაბლისა, მეფე ერეკლე II მე-6 თაობის და გიორგი სააკაძის მე-11 თაობის შთამომავალია, განათლება ლაიფციგის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული, რევოლუციის შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, რუსულ და უცხო ენებს ასწავლიდა სოფ. ახალქალაქის სკოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა მამაიაშვილი

## ციხე-ქალაქი ჭერემი

ჭერემის არქეოლოგიური ძეგლები (გურჯაანის რაიონი, გომბორის ქედის ცენტრალური ნაწილი) კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ყურადღების ცენტრში მოექცა 1979 წელს, როდესაც სოფლის აღორძინებასთან — ახალ დასახლებასთან დაკავშირებით, სკოლის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების დროს ახ. წ. III-IV სს. სამარხები გამოვლინდა, და იქ იმთავითვე ქალაქი თუ არა, ქალაქური ტიპის დასახლება მაინც გვაგულისხმებინა. ამ აღმოჩენამდე ჭერემის წარსულს მხოლოდ წერილობითი წყაროებით ვიცნობდით, რომელთა მიხედვითაც (ჯუანშერი, XI ს.) ვახტანგ გორგასალმა „დასუა ერთი ეპისკოპოსად... ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა“.[1] ამგვარად, ჭერემის აგების თარიღი საისტორიო წყაროების მიხედვით V ს. მეორე ნახევრით განისაზღვრება.

ბოლო დრომდე ვახტანგ გორგასალის მიერ აგებული ქალაქი ჭერემი ე. წ. წვეროდაბალის ეკლესიასა და თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე მდებარე კათედრალურ ტაძარს შორის ივარაუდებოდა.

კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ ორ ეკლესიას შორის გულდასმითი დაზვერვების მიუხედავად, გორგასალისეული ქალაქის ნანგრევებს ვერ მიაგნო და მისი ძიების მიზნით დაიწყო მიმდებარე ტერიტორიის მოხილვა. აქ გამოვლენილ არაერთ საყურადღებო ძეგლთაგან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო თანამედროვე სოფლიდან დასავლეთით ხუთიოდე კმ მანძილზე მდებარე ბორცვმა, რომლის ტყით დაფარული თხემი და დასავლეთით ღრმა ხევებით შემოზღუდული კლდოვანი კონცხი მთლიანად ნანგრევებით იყო მოფენილი. ალაგ-ალაგ ნანგრევებში მოჩანდა ე. წ. „უჯარმული“ კედლის წყობა. ამავე ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები — წმ. ბარბალეს და წმ. გიორგის (იგივე „წვეროდაბალი“) სახელობის ეკლესიები. ძეგლები პროფ. ნ. ჩუბინაშვილის მიერ V საუკუნითაა დათარიღებული.

1984 წელს ექსპედიციამ თანამედროვე სოფლის ტერიტორიიდან, სადაც III—VII საუკუნეების ქვის სამარხები შეისწავლა, გადაინაცვლა ამ ახალი აღმოჩენის ადგილზე. ბორცვის შემაღლებულ კონცხზე გაიჩეხა ტყე და დაიწყო გათხრითი სამუშაოები. ექსპედიციის გულმოდგინე საძიებო მუშაობა ციტადელზე დიდი აღმოჩენით დაგვირგვინდა — გამოვლინდა ვახტანგ გორგასალისეული სასახლის სრული კომპლექსი დარბაზებით, სამეურნეო ნაგებობებით, კარის ეკლესიითა და ციხე-დარბაზით. თუ გავითვალისწინებთ ჯუანშერის ცნობას, რომლის მიხედვითაც ვახტანგ გორგასალმა „ქესა მისსა... დაჩის, მისცა ქალაქი ჭერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვნისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“,[2] უნდა ვიფიქროთ, რომ აქ უფლისწულის რეზიდენციასთან გვაქვს საქმე.

ციხე-დარბაზი ციტადელის დასავლეთ განაპირა შემაღლებულ კლდოვან კონცხზე, გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ადგილზეა გამართული. მოზრდილი სათავსები აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან სწორკუთხოვნად შე-

მოუყვება ბორცვს, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს აკეთებს ბლაგვ კუთხეს, [illegible]ეროვნული ბიბლიოთეკა დება დიდი ოთხკუთხა კოშკით და ფარგლავს შიდა ეზოს. დღეისათვის შემორ-ჩენილია ციხე-დარბაზის ექვსი ოთახი, ორი დერეფანი და კოშკი, რომელიც 300 მ² მეტ ფართობს მოიცავს. ციხე-დარბაზის აღმოსავლეთი ნაწილი იმე-ორებს ჩრდილოეთი ნაწილის გეგმარებას — ორი ოთახი, დერეფანი და დიდი დარბაზი. ყველა ოთახი გადის ერთი მეორესა და შიდა ეზოში. ციხე-დარბაზის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი, ბორცვის შემომფარგვლელი კედ-ლები ყრუა, ისინი ერთდროულად ციხე-დარბაზის კედლებიცაა და გალა-ვანიც. ციხე-დარბაზი ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. ნაგებობა გადახუ-რული ყოფილა წითელი წერნაქით დაფარული ღარიანი და ბრტყელი დიდ-რონი კრამიტით. ოთახების იატაკები ჩამსხვრეული კრამიტითაა მოფენილი, სასახლის მთელ ტერიტორიაზეც ხშირია მისი აღმოჩენის შემთხვევები. ნაგე-ბობის ნებისმიერი კედელი — შიდა თუ გარე — ერთნახევარი მეტრის სი-განისაა. ორივე მხრიდან მას ამოყვანილი აქვს დიდრონი ქვათლილების ჰო-რიზონტალური წყობით ნაგები პერანგი. პერანგებს შორის არე შედარებით წვრილი ქვითა და კირის დუღაბითაა შევსებული.

ციხე-დარბაზის აღმოსავლეთით, მისგან 100-ოდე მეტრის მანძილზე გა-მოვლინდა და გაიწმინდა სასახლის კომპლექსში შემავალი დიდი ნაგებობა (30 მ X15 მ), რომელიც წყობით მსგავსია ციხე-დარბაზისა.

შენობის სამხრეთ კედელში გაჭრილ სამ კარს (ორი განაპირა განიერია, სიგანე — 2,55 მ, შუა კი ვიწრო, სიგანე — 1,55 მ) შევყავართ ერთმანეთისა-გან ვიწრო დერეფნებით გამოყოფილ სამ დარბაზში. დარბაზთა ჩრდილოე-თით, მათთან ვიწრო კარებით დაკავშირებული გაურკვეველი დანიშნულე-ბის ვიწრო სათავსებია. აღნიშნული ნაგებობა, ისევე როგორც ციხე-დარბაზი, წითელი წერნაქით დაფარული ბრტყელი და ღარიანი დიდრონი კრამიტით ყო-ფილა გადახურული, რაზედაც მეტყველებს ჩამსხვრეული კრამიტით მოფენილ სათავსთა იატაკები. სასახლის კომპლექსში შემავალი ნაგებობების შიდა არე, ეზო და სასახლის ირგვლივ ტერიტორია გადახურვისა (კრამიტის) და კედლების ნანგრევებითაა მოფენილი.

ჯუანშერი გორგასალის ცხოვრების აღწერისას მოგვითხრობს: „და მო-ვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი და ჭერმის ციხე და ვე-ლის ციხე“.[3]

სპარსთა მიერ ჭერემის აღნიშნული „შემუსვრის“ შემდეგ, რომელიც მოხ-და 502 წელს (ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების წელს), დასახელებული ნაგებობები აღარ ჩანს განახლებული. ნანგრევებად ქცეული ვახტანგისეული სასახლე ხელუხლებლად შემოინახა.

სასახლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა — მინისა და თიხის დახვეწილი ჭურჭელი — სასახლის თარიღს, წერილობითი წყაროების კვალდაკვალ V საუკუნით განსაზღვრავს.

ამ ნაგებობათა აღმოსავლეთით, დაახლ. 150 მ-ის მოშორებით სასახლის კა-რის ეკლესიაა (იგივე წმ. ბარბალეს სახ. ეკლესია). ისიც ისეთივე წყობისაა, რო-გორც სასახლის კომპლექსში შემავალი ზემოთ აღწერილი ნაგებობანი.

წმ. ბარბალეს აღმოსავლეთით, ასევე 150-ოდე მ. მანძილზე, შემაღლებულ ხელოვნურ ბორცვზე წმ. გიორგის სახ. ეკლესიაა გაშენებული (იგივე წვერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალი). იგი ამჟამად სამეკლესიან ბაზილიკას წარმოადგენს, მაგრამ გაწმენდითმა სამუშაოებმა ცხადჰყო, რომ თავდაპირველად იგი დარბაზული იყო. პროფ. ნ. ჩუბინაშვილი მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, მას V საუკუნის ძეგლად მიიჩნევს. ვფიქრობთ, სწორედ ეს უნდა იყოს ვახტანგის მიერ აგებული კათედრალური ეკლესია — „და დასუა ერთი ეპისკოპოსად ჭერემს, მისსავე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა."[4] ამავე შეხედულებისაა ნ. ჩუბინაშვილიც. მან ეს მოსაზრება ჩვენთან პირად საუბარში გამოთქვა. უფრო გვიან, დაახლოებით VIII—IX საუკუნეებში, როგორც ჩანს, ვახტანგისეულ ქალაქში ცხოვრების შესუსტებასთან დაკავშირებით, კათედრალური ტაძარი გადააქვთ დღევანდელი სოფლის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ III საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებულ ქალაქში, სადაც ცხოვრება ვახტანგის მიერ ქალაქის დაარსებასთან ერთად არ წყდება, გრძელდება და, საკმაოდ ინტენსიურადაც მიმდინარეობს. ამაზე მეტყველებს იქ გათხრილი და შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლები. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, იქ VIII—IX სს. იგება კათედრალური ტაძარი და როგორც ჩანს, ეპისკოპოსის სასახლეც.

ამგვარად, ჭერემის ციტადელი ერთდროულად, ერთიანი გეგმით ჩანს ნაგები. მართლაც, ერთი შეხედვითაც კი, ციხე-დარბაზი, რომელიც შემაღლებულ კლდოვან კონცხზეა განლაგებული, თხემზე გაშენებული სასახლის კომპლექსი კარის ეკლესიითურთ და შემაღლებულ ხელოვნურ ბორცვზე გაშენებული კათედრალური ეკლესია, ერთიანის შთაბეჭდილებას ქმნის. სასახლის მთელი ეს კომპლექსი — ციხე დარბაზი, ბორცვის თხემზე განლაგებული დარბაზები, კარის ეკლესია — ერთნაირი წყობითა და მასალითაა ნაგები, კათედრალური ეკლესია (წვეროდაბალი) კი — შირიმით; ეტყობა, როგორც კათედრალური, გამორჩეულია მასალითაც, უფრო პარადულია.

გულდასმითმა ძიებამ ქალაქის სიტუაციური გეგმის შედგენის საშუალებაც მოგვცა. როგორც ირკვევა, ჭერემის ციტადელს (ფართობი დაახლ. 10 ჰა) ეკავა მოზრდილი ბორცვი, რომელიც დასავლეთ ნაწილში ღრმა ხევებით შემოფარგლული კლდოვანი კონცხით მთავრდებოდა; მასზე ციხე-დარბაზი იყო გაშენებული. ბორცვის მოპირდაპირე, აღმოსავლეთ ნაწილში, შემაღლებაზე კათედრალური ტაძარი იდგა. ციხე-დარბაზსა და კათედრალურ ტაძარს შორის მოქცეული ბორცვის თხემი სასახლის კომპლექსს ეკავა. ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილს კაბაურის ხევიდან (ჩრდილოეთით) ჭერემის ხევამდე (სამხრეთით) გალავანი საზღვრავს. გრძელი გალავანი დაფიქსირდა სამხრეთითაც, ჭერემის ხევის გასწვრივ. თვით ციტადელის ტერიტორიაზეც ორ გალავანს ვვარაუდობთ, რომელიც, საფიქრებელია, ბორცვის თხემსა და კონცხზე მდებარე სასახლესა და ციხე-დარბაზს იცავდა. ჭერემის ხევში დაფიქსირდა აგრეთვე ორი შეწყვილებული გალავანი; აქვე უნდა ყოფილიყო ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭეც. აქ თვალი გაედევნა ქვაფენილით მოგებულ ნაგზაურს, რომელიც მიემართებოდა ჩაილურისაკენ, იქიდან კი, ეტყობა, თბილისსა და მცხეთას.

საკუთრივ ქალაქი ჭერემი სასახლის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ბორცვებზეა საგულისხმებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ციტადელს სწორედ ამ მხარეს გალავანი არ უჩანს.

სოფელ ჭერემსა და მის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება დღეისათვის შემდეგი დასკვნის გამოტანის უფლებას იძლევა: ჭერემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფუძნება და შემდეგ, როგორც ჩანს, დაცემაც, მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული უჯარმის დაფუძნება-დაცემასთან.

წერილობითი წყაროების მიხედვით, უჯარმის ისტორიის მანძილზე ორ ქრონოლოგიურ შრეს გამოარჩევენ. უჯარმა ანტიკური ქალაქი — თავისებურ ეკონომიკურ საფუძველზე აღმოცენებული პუნქტი — III საუკუნეში გაქალაქებული, და უჯარმა ციხე-ქალაქი, სტრატეგიული ცენტრი, რომლის დაფუძნება და შეიძლება აშენებაც, ვახტანგ გორგასალს მიეწერება. უჯარმის ეს ორი ძირითადი საფეხური გეოგრაფიულადაც უნდა იყოს ერთმანეთისაგან გამოყოფილი.[5]

მართალია, ჭერემი, უჯარმისაგან განსხვავებით, ვახტანგ გორგასალამდე საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება, მაგრამ უკანასკნელ წლებში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოები კარგ საფუძველს ქმნის შეივსოს წერილობითი წყაროების ცნობები. სახელდობრ, ჭერემში აღმოჩენილი III—IV სს. სამარხების მასალის შესწავლა უფლებას გვაძლევს ჭერემის ისტორიაც III საუკუნით დავიწყოთ და უკვე იმ დროიდან აქ ქალაქი თუ არა, ქალაქური ტიპის დასახლება მაინც ვივარაუდოთ, რომელიც აღმოსავლეთიდან მომავალ მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა (...ხორნაბუჯი, ველისციხე, ჭერემი, უჯარმა). როგორც ჩანს, სწორედ ამ გზამ შეუწყო ხელი ჭერემისა და უჯარმის (სხვა ფაქტორებთან ერთად) გაქალაქებას, მანვე დააწინაურა, ეტყობა, ველისციხეცა და ხორნაბუჯიც.

როგორც დავინახეთ, უჯარმისა და ჭერემის წინ წამოწევა და გაქალაქება ერთდროულად, III საუკუნის მეორე ნახევარში ხდება. ჩვენ ეს პროცესი დავუკავშირეთ გზას, რომელიც ჯუანშერთან 502 წლის ამბების აღწერის დროსაა მოცემული.[6] მაგრამ, წერილობითი წყაროებისა (უჯარმის მიმართ) და არქეოლოგიური მასალის საშუალებით (ჭერემისათვის) ამ გზის დათარიღება III საუკუნის მეორე ნახევრით უნდა მოხდეს.

ჭერემზე გადიოდა აგრეთვე შიდა და გარე კახეთის დამაკავშირებელი უმოკლესი გზაც (ველისციხე, ჭერემის ხევი, ჭერემი, ჩაილური), გზის ჩამკეტი ალაზნის ველზე ველისციხე იყო.[7]

V საუკუნის მეორე ნახევარში, წერილობითი წყაროების მიხედვით, ვახტანგ გორგასალი ჭერემში აარსებს საეპისკოპოს და ისევე, როგორც უჯარმაში, აგებს ქალაქს, სტრატეგიულ პუნქტს, რაც აღმოსავლეთი მხარეებისაკენ მიმართული პოლიტიკის შედეგი იყო.[8]

III—IV სს. „ქალაქი“ ჭერემი ახლახან აღორძინებული სოფლის ტერიტორიაზეა, ვახტანგისეული ქალაქი ჭერემი კი III—IV სს. „ქალაქის“ დასავლეთით მდებარეობს, 5-ოდე კმ-ზე. ამასთან, ისიც კარგად ირკვევა, რომ გორგასალის მიერ ციხე-ქალაქის აგების შემდეგაც არ წყდება III—IV სს. ჭერემის ცხოვრება. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი და შესწავლილი III—VII სს. სამარხები და დღემდე შემონახული ხუროთმოძღვრული ძეგლები.

1, 2, 3, 4, 6. ქცა I თბ. 1955, გვ. 199—201.

5. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბ., 1970, გვ. 35.

7. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, 1, თბ., 1968, გვ. 117.

8 დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წუნდა

წუნდის იმ ეკლესიის შესახებ, რომელიც მეფე მირიანის დროს ააშენეს, სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ცნობილი, თუმცა მის არსებობას ვარაუდობენ ასპინძის რ-ნის სოფ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ტოპონიმ „ნაქალაქართან“ დაკავშირებით. აღნიშნულ მიდამოებში, კათედრალური ეკლესიის ნანგრევები არ შეინიშნება.

ქართული ისტორიული წყაროების თანახმად, ერთ-ერთი პირველი ოფიციალური ეკლესია საქართველოში, IV ს პირველ ნახევარში, ქალაქ წუნდაში ააშენეს. ამ ეკლესიის საძირკველი კონსტანტინე იმპერატორის მიერ მცხეთაში გამოგზავნილ ხუროებს დაუდვიათ.

ეს ცნობები, გარკვეულწილად, ქალაქ წუნდის მნიშვნელობაზე მიუთითებენ, რასაც წყაროების სხვა მონაცემებითაც მხარს უბამენ; მცხეთის შვილს, ჯავახოსს, ქართლის ცხოვრება მიაწერს ქალაქ წუნდის მშენებლობას (ქ. ც/ბა, გვ. 10), შემდგომ, მეფე ფარნავაზს აქ ერისთავი დაუსვამს „და მისცა ფანვარითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი“ (24).

ამავე პერიოდში წუნდა სამეფო კარის საზაფხულო აგარაკს წარმოადგენდა (ქ. ც/ბა, გვ. 25), ხოლო IV ს. დასაწყისში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქალაქში ქრისტიანულ ეკლესიას აშენებენ. წუნდა მნიშვნელოვანი საეპისკოპოსო ცენტრი ჩანს ვახტანგ გორგასალის დროსაც.

წყაროების მწირი მონაცემების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ წუნდის ქალაქი საკმაოდ ძლიერ დასახლებას წარმოადგენდა და სულ ცოტა ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე არსებობდა. ამას აქეთ, წუნდის შესახებ ჩვენ ცნობები აღარ მოგვეპოვება. თვით სახელწოდება წუნდა, IX—XI სს-ის წყაროებში ასახული და არ გამოირიცხება, როგორც ეს სხვა მაგალითებითაც ცნობილია, წუნდის ძველი სახელწოდება სხვა ყოფილიყო.

ამას გვაფიქრებინებს ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება. იმ ქართველ ეპისკოპოსთა შორის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დვინის 506 წლის საეკლესიო კრებაში, იყო კუმურდოს ეპისკოპოსიც. წუნდისა დასახელებული არ არის. კუმურდოსა და წუნდის ტერიტორიალური სიახლოვე გამორიცხავს ორი ეპარქიის ცენტრების თანაარსებობას. როგორც ჩანს, კუმურდოს სამწყსოში წუნდის „ნაქალაქარის“ დღევანდელი ტერიტორიაც შედიოდა.

და კიდევ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამავე პერიოდში ვახტანგ გორგასალმა წუნდაში დასვა ეპისკოპოსი. ქართველ მემატიანეთათვის კუმურდოს ეპისკოპოსი უცნობია. ამდენად ცნებები „წუნდა“ და კუმურდო ერთმანეთს ფარავს და საბოლოო ჯამში ერთ მნიშვნელამდე მივყევართ—წუნდის ეკლესია იგივე კუმურდოს ეკლესია უნდა იყოს.

ამგვარი მოსაზრება რომ უსაფუძვლო არ არის ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებიდახაც ჩანს; „...უნდა დავუშვათ; ან წუნდის საეპისკოპოსო კათედრაში

იგივე კუმურდოს საეპისკოპოსო კათედრა იგულისხმება, ან კიდევ წუნდისთვის გარკვეული ურთიერთობების პირობებში, მის დამცრობა-დაცემასთან დაკავშირებით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს კათედრა.

ასეთ შემთხვევაშიაც კი ძნელი დასაშვებია, რომ კუმურდოში X საუკუნემდის რაიმე სამლოცველო არ არსებულიყო. ამის უტყუარი მოწმეა „ჯვარი", ტაძრის შესასვლელთან რომ არის აღმართული და რომელსაც ქრისტიანული ემბლემის სახე ნაგვიანევად აქვს მიღებული" (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I, 1964 წ. გვ. 136—7).

სულ ბოლო ხანებში დ. ბერძენიშვილმა გაიზიარა ზემოთ მოტანილი შეხედულება და გახამტკიცა დამატებითი საბუთიანობით (დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1985 წ. გვ. 119-120).

ამრიგად, წუნდა-კუმურდოს იდენტურობა ეჭვს არ იწვევს ისტორიკოსებში და, რადგან დღესაც არსებობს კუმურდოს კათედრალური ეკლესია, ბუნებრივია, წუნდის ეკლესია სწორედ მის სახელთან უნდა დავუკავშიროთ. სულ სხვა ამბავია რომელს მივცემთ უპირატესობას.

წუნდა-კუმურდოს იდენტურობას, განამტკიცებს ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც: „ხოლო კუალად გოკიის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკუარსა ზედა, სამხრეთისაკენ, კიდეზედ არს წუნა, რომელი აღაშენა ციხე-ქალაქი მტკიცედ მოზღუდვილი, ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. იყო ქალაქი და ციხე საერისთაო ერთ მეფობამდე, არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით ცრამის თავს, მინდორზედ, სამჴრით კერძოდ, არს კუმურდოს ეკლესია, გუმბათიანი, ფრიად დიდ-შენი, შუენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა მირიანისასა" (ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 670).

მართალია, ვახუშტი გარკვეულწილად „მოქცევაჲ-ს ცნობას ემყარება, მაგრამ ცხადია ისიც, რომ მისთვის წყაროს ცნობის „წუნდის ეკლესია" იგივე კუმურდოს ეკლესიაა და მის მშენებლობას კონსტანტინესა და მირიანის სახელებს უკავშირებს. ამასთან ყურადღებას იქცევს ისიც, რომ კონსტანტინესა და მირიანის ხსენებით ხაზი ესმება ყველასათვის კარგად ცნობილ და ღიარებულ მოვლენას. როგორც ჩანს, ვახუშტის დროს არსებობდა რაღაც ტრადიცია თუ გადმოცემა, რომლის მიხედვითაც კუმურდოს ეკლესიას მეფე მირიანის დროს აშენებულად მიიჩნევდნენ.

ამ შემთხვევაშიაც წუნდისა და კუმურდოს ეკლესიების თანხვდომა იქცევს ყურადღებას და ერთადერთ ხელშემშლელ პირობად კუმურდოს ტაძრის დღეს აღიარებული დათარიღება მიგვაჩნია. ეს თარიღი დაფუძნებულია ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი წარწერების ინტერპრეტაციაზე და ნაგებობის სტილისტიკურ ანალიზზე.

ერთ-ერთი წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „შეწევნითა ღმრთისაჲთა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაი, ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაითა, ლეონ მეფისაზე — ადიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რპდ, თუესა მაისსა ა დღესა შაფათსა, ახალ მთუარისასა, ერისთავობასა ჩუიაისასა ესე ბალავარი მუნ დაიდვა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა ამენ. (ლაპიდარული წარწერები I. შედგენილი და გამოცემული ნ. შოშიაშვილის მიერ, 1980, გვ. 262-264).

ეს წარწერა შესრულებულია ტაძრის სამხრეთ შესასვლელის თავზე, იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით კარიბჭე მიუშენებიათ და როგორც ჩანს სამხრეთის ფასადს გადაკეთებაც განუცდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერაში ორი სახეობის საქმიანობაა აღნიშნული: საძირკვლის დადებაზე იოანე ეპისკოპოსის მიერ და ბალავრის გადებაზე ვინმე სკიოკიასა თუ საკოცრის მიერ.

ამ შემთხვევაში უცნაურად გვეჩვენება; ეპისკოპოსი საძირკველს დებს და ამის შესახებ მხოლოდ ეს ინფორმაცია არის ჩადებული ამ წარწერაში, ხოლო ვიღაც სკოცარი, „ცოდვილი" — ალბათ უჩინო ღვთისმსახური, ბალავარს დებს და ამის შესახებ მოცემულია უზუსტესი თარიღი. უკვე ეს გარემოება გარკვეულად იმაზე მიუთითებს, რომ ეპისკოპოსის მიერ დადებული საძირკველი შორეულ წარსულს გულისხმობს და ამ ვრცელ წარწერაში ეპისკოპოს იოანეს ღვაწლის გახსენებით იწყება. ამასთან ეს იოანე ეპისკოპოსი ყველასათვის ნაცნობი პირი უნდა ყოფილიყო და რადგან წყაროების მიხედვით სწორედ იოანე ეპისკოპოსს მიაწერენ საძირკვლის დადებას, ბუნებრივია წარწერის იოანე, წყაროების იოანე და ვახუშტის იოანე გავაიგივოთ, რადგან ყველა შემთხვევაში ერთსა და იგივე საქმიანობასთან არის დაკავშირებული.

ამის საფუძველზე უნდა დავასკვნათ: კუმურდოს ტაძარი აშენებულია იოანე ეპისკოპოსის დროს (მეფე მირიანის ეპოქა), ხოლო ლეონ მეფის დროს მოხდა ეკლესიის გადაკეთება თუ შეკეთება. სწორედ ამ პერიოდში შესრულებულია არა სამშენებლო, არამედ შეკეთების აღმნიშვნელი წარწერაც.

გადაკეთება-მიმატების თვალსაზრისით, საყურადღებოა, აგრეთვე, აღმოსავლეთის ფასადის წარწერაც, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი შესრულებულია ასონიშნების ირგვლივ ჩაღრმავების მეთოდით, ისე, რომ სწორკუთხა ქვის ნაპირები მოჩარჩოებულია ოთხივე მხრიდან და ამით დასრულებულ სახეს იძენს. წარწერა გვაუწყებს: „ქე შეიწყალე იოვანე ეპისკოპოსი". აღნიშნული წარწერა დაახლოებით ორი ნიშის შუაა მოქცეული. მეორე ნაწილი მიდგმულია მარჯვნიდან ისე, რომ გადაბმის მხრიდან ჩარჩო გახსნილია, ხოლო თვით ქვის ნაწილი მარჯვენა ნიშზე გადადის და ამით სიმეტრიაც მკვეთრად დარღვეულია. წარწერის ამ ნაწილში იკითხება: „ამისი მშენებელი დღესა მას".

აზრობრივად ორივე წარწერა დაკავშირებულია ურთიერთთან, მაგრამ, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო მაინც სხვადასხვა დროს უნდა განეკუთვნებოდნენ. ჩვენი შეხედულებით წარწერის მიმატება (შეიძლება განმარტებაც ვუწოდოთ) გამოიწვია სურვილმა, აღენიშნათ ვინმე იოანეს დამსახურება ეკლესიის მშენებლობაში, განსხვავებით სხვა იოვანე ეპისკოპოსისა, რომელიც სამხრეთის მცირე შესასვლელის თავზე, X ს-ის წარწერაშია მოხსენიებული.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალავრისა და აღმოსავლეთ ფასადის წარწერებში მოხსენიებული იოვანე უნდა იყოს მირიან მეფის მიერ კონსტანტინეპოლს გაგზავნილი პირი „მაშინ წარავლინა მეფემან ეპისკოპოსი იოანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა... და ითხოვა მღვდელნი მრავალნი, ...და ითხოვა ქვით-ხურონი აღშენებისათვის ეკლესიათა. ვი-

თარ მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელისა.. .და წარმოგზავნნა მღვდელნი და ხურონი ფრიად მრავალნი... და-მოსცა განძი დიდძალი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა; „სადაცა ჯერ-იჩინო ადგილთა ქართლისათა აღაშენენ ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა“. (ქ. ც/ბა, გვ. 117).

უკან გამობრუნებულმა იოვანემ „დაუტევნა წუნდას ხურონი და განძი და რაჟამს ეწყო ოდენ ეკლესიასას, წარმოვიდა მანგლისს“ (ქ. ც/ბა, გვ. 118).

ჩვენ შორსა ვართ მტკიცებისაგან, თითქოს კუმურდოს ეკლესია იმ სახით, როგორც დღეს გამოიყურება, IV ს. განეკუთვნებოდეს. სამწუხაროდ, ძეგლი არქეოლოგიურად შეუსწავლელია და არც სამშენებლო ფენებია დამაჯერებლად გამოყოფილი. ამის მიუხედავად, მთელი რიგი ნიშნებისა (მათ შორის ისტორიული, ეპიგრაფიკული, არქიტექტურული), გვკარნახობს კუმურდოს ტაძრის დღევანდელი თარიღის დაზუსტებას.

ჯერ კიდევ 1959 წელს ვ. ცისკარიშვილმა ეჭვი გამოთქვა ტაძრის X ს-ით დათარიღების გამო. ერთ-ერთი წარწერის შინაარსზე მსჯელობისას, ვ. ცისკარიშვილი აღნიშნავდა, რომ აქ ლაპარაკია არა ეკლესიის აშენებაზე, არამედ აღდგენა-შეკეთებაზე.

პატივცემულ მკვლევარს რომ გაემახვილებინა ყურადღება წუნდისა და კუმურდოს საეპისკოპოსოების იდენტურობაზე, გაუადვილდებოდა საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

კუმურდოს ტაძრის სიძველეზე სხვა მონაცემებიც არსებობს. გარდა V-VI სს სტელებისა, რომლებიც იქვე ტაძრის მახლობლად იქნებოდნენ აღმართულნი, აღმოჩენილია კიდევ არეშტის ცნობილი სტელა, რომელიც წარწერასაც შეიცავს: „ძემან გურგენ კურაპალატისამან შეწირა არეშტი საყდარსა კუმურდოისასად“ (ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959 წ. გვ. 7).

ჩვენი შრომის მთავარ ამოცანას მაინც ის შეადგენს, რომ წუნდის ეკლესია სადმე, სხვაგან კი არ არის საძიებელი, არამედ იგივე კუმურდოს ეკლესიაა, ალბათ რამდენიმეგზის შეკეთებულ-გადაკეთებული, და ამ მხრივ ითხოვს სკრუპულოზურ შესწავლას. უკანასკნელში არქეოლოგიურ კვლევას ვგულისხმობთ.

---

ირინე მირიჯანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფელ დუმეილას „ღვთისმშობლის“ ეკლესია

ასპინძის რაიონში, ვარძიის გავლით, მიემართება საძანქანო გზა მთებში, წილას ველებისაკენ, სოფელ აგარასთან გზა უხვევს მარცხნივ, საძოვრებისაკენ, აგარიდან 3—4 კმ-ზე, ნასოფლარ დუმეილას ტერიტორიაზე შემორჩენილია ადრე შუასაუკუნეების ეკლესია. იგი სამხრეთით დაქანებულ ფერდობზე, მდ. დუმეილას ხევის მარცხენა ნაპირზე დგას. პატარა ეკლესიის მოვარდისფრო ფერი სასიამოვნო აქცენტად იკითხება გაშლილი ველისა და ლურჯი ცის ფონზე.

„ღვთისმშობლის“ სახელობის ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ღრმა ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც კედლების გეგმას გარე სწორკუთხედშია ჩაწერილი, აფსიდი გამოყოფილია დარბაზული სივრცისაგან მხრების ერთსაფეხურიანი ნაშვერით, რომელზეც ნახევარწრიული ტრიუმფალური თაღია გადაყვანილი. დარბაზის კედლები და კამარა ერთი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრით ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი, რომელთაგან დასავლეთის ნაწილი ოდნავ უფრო მცირეა აღმოსავლეთისაზე. ეკლესია ნათდება ორი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლით. ორივე სარკმელი ოდნავ დახრილწირთხლებიანია, მათ შიგნიდანაც და გარედანაც სწორკუთხა მოხაზულობა აქვთ. აღმ. სარკმლის ორივე მხარეს მცირე ზომის სწორკუთხა ნიშია. შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. ნაგებობის კედლები ცოკოლის გარეშე კლდეზეა დაფუძნებული.

ფასადები სადაა, დეკორის გარეშე. კედლები ამოყვანილია ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი წყობით. ქვედა ნაწილებში უფრო დიდი ქვებია ნახმარი, ზევითკენ თანდათან მცირდება, რიგების ჰორიზონტალობა ყველგან დაცულია, ძირითადი სამშენებლო მასალა, შერჩეული, რუხი, ფოროვანი, პირშესწორებული ბაზალტის ქვაა, მომრგვალებული კუთხეებით. ეკლესიის ყველა კონსტრუქციული ნაწილი (საბჯენი თაღები, პილასტრები, სარკმლები, შესასვლელი, კედლის კუთხეები) სუფთად თლილი მოვარდისფრო ქვებითაა ამოყვანილი. ქვების შერეული ფერები (რუხი, მოვარდისფრო) ცხოველხატულ ეფექტს იძლევა. აგრეთვე, თლილი და პირშესწორებული, მომრგვალებულკუთხეებიანი ბაზალტის ქვების მონაცვლეობა კედლის სპეციფიკურ ფაქტურას ქმნის, რომელიც ძალზედ დამახასიათებელია როგორც მესხეთ-ჯავახეთისათვის (ყიზილ-დერესი, ხვილიშა), ასევე თრიალეთისა და ქართლის ადრეული ძეგლებისათვის (ოლთისი, თეთრი წყარო, რუისი, თელოვანი).

აფსიდის კუთხეებისა და პილასტრების იმპოსტები მარტივი პროფილისაა: თარო და ოდნავ ჩაღუნული სიბრტყე. მხოლოდ აფსიდის სამხრეთის იმპოსტია შემკული. მთლიან ფილაზე ფონის ჩაღრმავებით შექმნილია დაბალი რელიეფი—მედალიონში ჩასმული ბოლნური ჯვრები. მედალიონის ორივე მხარეს ხის სქემატური გამოსახულებაა, რომელიც სიცოცხლის ხეს შეიძლება დავუკავშიროთ. იმპოსტის შუბლი დამუშავებულია ხაზოვანი ორნამენტით. დუმეილას იმპოსტის ორნამენტი გამოძახილს პოულობს თელოვანის დასავლეთის კარის

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დუმეილა. ღვთისმშობლის ეკლესია.
ჭრილი და გეგმა.

Думейла. Церковь Богородицы,
разрез и план.

დეკორთან. მორთულობის ეს ხერხი ფართოდ არის გავრცელებული IX და X სს-ის ძეგლებზე. ეკლესიის ერთადერთი შესასვლელი გაჭრილია სამხრეთის კედელში, უშუალოდ პილასტრთან, კედლის დასავლეთ ნაწილში. იგი შიგნიდან თაღოვანია, ტიმპანით, გარედან სწორკუთხა. დიდი ზომის არქიტრავის ქვით გადახურული კარის გაჭრა უშუალოდ პილასტრთან ქართული ხუროთმოძღვრების კლასიკურ პერიოდში არ გვხვდება, სამაგიეროდ, დამახასიათებელია VIII—IX სს-ის ძეგლებისათვის (მაგ. ალაწმა, VIII ს. საშუქრუდე VIII ს.).

ინტერიერში ფრაგმენტულად შემორჩენილია ნალესობის კვალი, კერძოდ კონქში. ამ ფრაგმენტებზე იკითხება წითელი ფერის კონტურული ნახატი, რომელიც ქვის წყობას მიჰყვება. ეკლესიის ინტერიერში საკურთხევლის მკვეთრად გამოყოფა კონქის საგანგებოდ მორთვით ქართული ხუროთმოძღვრების უფრო ადრინდელი ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი (მაგ. მცხეთის მცირე ჯვარი VI ს, წრომის VII ს.), არქიტექტურული წყობის იმიტაციის მაგალითია ატენის სიონი VII ს. უფრო მოგვიანებით VIII—IX სს-ში შესამჩნევია კედლების დამუშავების ახალი ხერხი — „დახაზული" წყობა (მაგ. ერწოს სიონი, ქსნის არმაზი, წირქოლი). არმაზში დასავლეთ ნაწილში შირიმით ამოყვანილი კედლები შიგნიდან შემკულია მოწითალო აგურისფერი საღებავით შესრულებული ნახატით. თიანეთის სიონში კი წყობის იმიტაციაა მოცემული ნალესობაზე ამოკაწვრით.

ყველა მონაცემის მიხედვით, შენობა მთავრდებოდა ადრეული ძეგლებისათვის დამახასიათებელი თაროსებრი პროფილის ლავგარდნით. ეს ვარაუდი დაადასტურა ძეგლის შესწავლის დროს სამხრეთის ფასადის წინ აღმოჩენილმა სადა კარნიზის ქვის ფილამ სიმაღლით 23 სმ.

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი განსაკუთრებული დახვეწილი პროპორციებით და მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა, იგი მნიშვნელოვანია როგორც თავისი არქაული ფორმებით, ასევე შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. არქაულობაზე მეტყველებს მისი წყობის ხასიათი, უშუალოდ პილასტრთან გაჭრილი შესასვლელი, კაპიტელის დეკორი და განსაკუთრებით, კონქში შემორჩენილი ადრეული ფერწერის ნიმუში. ამდენად, დუმეილას „ღვთისმშობლის" ეკლესია ღირსია უფრო ღრმა კვლევისა და დაცვისა, მითუმეტეს, რომ მან დღემდე ხელშეუხებლად, პირვანდელი სახით მოაღწია მცირედი დაზიანებით.

---

1 გ. ჩუბინაშვილი, ნ. სევეროვი ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936 წ.

2 ნ. ჩუბინაშვილი — ჯავახეთის დარბაზულ ძეგლთა განვითარება VI—VII სს-დან XI—ს. I ნახევრამდე, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის III სესიის მოხსენებათა თეზისები, 15 მაისი, 1984 წ.

3 ნ. ჩუბინაშვილი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 6, 1956, ალაწმა.

4 ქართული ხელოვნება — 2, თბ. 1958 წ .ოლთისი და თეთრი წყარო.

5 ქართული ხელოვნება, 5, 1959 წ. თელოვანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არკადი თოფურია

# ბერიჯვარის სტელა

ადგილი „ბერიჯვარი“ შიდა ქართლის ერთ-ერთი სოფლის — კიტრიულის მიდამოებში, ტყეშია ჩამალული. თითქმის მთლიანად მიწით დაფარულ ეკლესიას, რომელიც ამ ადგილზე მდებარეობს, ადგილობრივი მოსახლეობა „ბერიჯვარს“ უწოდებს. სტელა, რომელიც წინამდებარე გამოკვლევის საგანს წარმოადგენს შემთხვევით აღმოჩნდა ეკლესიიდან 70-80 მეტრში, ნიაღვრის კალაპოტში.[1] სავარაუდოა, რომ ქვა წყალმა სწორედ „ბერიჯვარის“ ეკლესიიდან ჩამოიტანა.

ჟურნალ „მაცნეს“ 1986 წლის 1 ნომერში გამოქვეყნდა ისტორიის მეცნ. კანდიდატის გ. ოთხმეზურის ნაშრომი, რომელიც „ბერიჯვარის“ სტელის წარწერების პალეოგრაფიულ გამოკვლევას წარმოგვიდგენს. ვფიქრობ, მეცნიერის მიერ ძეგლის დათარიღება (VIII-IX საუკუნეების მიჯნა) და ნაშრომში განხილული ზოგიერთი სხვა საკითხი სადავოა, რისთვისაც სტელაზე წარმოდგენილი რელიეფების მხატვრულ-სტილისტიკურ და იკონოგრაფიულ ანალიზთან ერთად შევეხები გ. ოთხმეზურის ნაშრომის რამდენიმე ადგილს.

დღეს სტელა შემორჩენილია ფრაგმენტის სახით. იგი წარმოადგენს ქვის ოთხწახნაგა სვეტს, რომლის სიმაღლე ნახევარ მეტრამდეა, ხოლო წახნაგების სიგანე 18-დან 20 სმ-მდე მერყეობს. ფოსო, რომელიც ქვის ძირზე მდებარეობს, მიგვანიშნებს ,რომ შემოგვრჩა სტელის ქვედა ნაწილი.

სტელის სამ წახნაგზე თავდაპირველი რელიეფები და ასომთავრული წარწერებია. ქვა მოგვიანებით გამოუყენებიათ ეკლესიის სარკმლის თავსართად, რაზეც მიგვითითებს სტელის მეოთხე წახნაგი და ნახევარწრიული ჭრილი, რომელიც სარკმლის თაღს წარმოადგენდა.

ზემოთ აღნიშნულ სამ წახნაგზე რელიეფები ვერტიკალურად ორ რიგად არის განლაგებული. გადარჩენილი ხუთი კომპოზიციიდან ყველაზე კარგად შემოინახა „ნათლისცემის“ სცენა, რომელიც ერთ-ერთი წახნაგის ქვედა რეგისტრშია მოთავსებული. სცენაზე წარმოდგენილია გრძელი კვართით შემოსილი იოვანე ნათლისმცემელი **en face** და წელამდე ემბაზში მდგომი ყრმა იესო — აგრეთვე **en face**. აღსანიშნავია, რომ სტელაზე გამოსახული რელიეფების ყველა გადარჩენილი პერსონაჟი წარმოდგენილია ასევე **en face**, უჩვეულოა და საინტერესო „სული წმინდა“ — მტრედი, რომელიც თავით ზემოთკენაა მიმართული. იოვანე ნათლისმცემელი შარავანდის გარეშეა, ხოლო ქრისტეს შარავანდი, რომელიც ჯვრითაა მინიშნებული კიდევ უფრო ხაზს უსვამს ამას. ემბაზში ნათლისცემა და ყრმა იესოს გამოსახვა ადრექრისტიანული ხანის ძეგლებში გვხვდება, თუმცა ზოგჯერ იგი მეორდება გარდამავალ ხანაშიც; მაგ. ანალოგიურ იკონოგრაფიას ვხვდებით VIII-IX სს. მიჯნის უსანეთის სტელის „ნათლისცემის“ სცენაზე; მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსება მხოლოდ იკონოგრაფიულია, ხოლო შესრულების მანერა და სტილი განსხვავებული. უსანეთის სტელის განხილვისას ნ. ალადაშვილი ხაზს უსვამს „ნათლისცემის“ სცენის ადრექრისტიანულ იკონოგრაფიულ ნიშნებს. იგი აღნიშნავს, რომ ეს ნიშნები ხშირად მომდევნო



სტელა. საერთო ხედი.

Стсла. Общий вид.

საუკუნეებშიც მეორდება და VIII-IX საუკუნეებამდე გვადება.[2] „ბერიჯვარის“ „ნათლისცემის“ სცენა იკონოგრაფიულად გამარტივებული სახითაა გადმოცემული, პერსონაჟებისა და ატრიბუტების რაოდენობა შემცირებულია, რაც ალბათ ადგილის უქონლობით არ არის გამოწვეული. თავისუფალ ადგილზე მოქანდაკე წარწერას ათავსებს. რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა იოვანეს მარცხნივაა მოთავსებული. მასზე ადვილად იკითხება:

ႼႫႨ|ႨႭ|ႥႠ|ႬႤ|ႬႠႧ|ႪႨႱႫ|(Ⴚ)ႤႫ|(Ⴄ)ႪႨ

— წმინდაჲ ჲოვანე ნათლისმცემელი.

ისევე, როგორც ნათლისმცემლის გრძელი კვართი, სტელაზე წარმოდგენილი სხვა ფიგურების სამოსიც წვრილი ვერტიკალური ხაზებითაა დამუშავებული. სამოსის ამგვარი დამუშავების იდენტურ პარალელს წარმოადგენს VI-VII სს. მიჯნის წრომის სტელაზე გამოსახულ წმინდანთა ჩასაცმელი.* წრომისა და „ბერიჯვარის“ სტელების ნათესაობაზე აშკარად მიგვანიშნებს რელიეფი, რომელზეც წრომის სტელის მსგავსად ორი წმინდანია გამოსახული. დაზიანების მიუხედავად სავარაუდოა, რომ ისევე, როგორც წრომის სტელაზე აქაც ერთ-ერთი მარჯვენა წმინდანის ფიგურა პოსტამენტზე უნდა მდგარიყო. თუ რელიეფის გადარჩენილ ნაწილსა და ფიგურათა მასშტაბებს დავაკვირდებით, ვფიქრობ კომპოზიციაში ორი წმინდანის გარდა სხვა ფიგურები არ უნდა ყოფილიყო. არ ჩანს აგრეთვე წარწე-

* წრომის სტელის თარიღი მოტანილია ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით. იხ. Н. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1971, стр. 80.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნათლისცემის სცენა.

Сцена «крещения».

წმინდანთა ორი ფიგურა (წელზემოთ).

Две фигуры святых.



რების კვალი, თუმცა შესაძლებელია ისინი არსებობდა ფიგურათა ზედა თავის ნაწილის გასწვრივ, როგორც ეს მომიჯნავე რელიეფზე გამოსახულ წმინდანებთანაა. ამ კომპოზიციაში გადარჩა მხოლოდ ორი წმინდანის წელს ზემოთა ნაწილი. წმინდანები ისევე, როგორც ნათლისმცემელი შარავანდების გარეშე არიან. მათ მარჯვენა ხელით მკერდზე სახარება აქვთ მიდებული. წარწერების გადარჩენილ ნაწილს გ. ოთხმეზური შემდეგნაირად კითხულობს:

შჲგ ႸႠႢ რომელიც არ იშიფრება. ვფიქრობ, „შ"-ს მაგივრად უნდა წავიკითხოთ„ მ" — ე. ი. მჲგ; ალბათ უნდა ყოფილიყო „წმინდაჲ გ...". ზუსტად ასეთივე „მ" არის მეორე წარწერაში ႼႫႠ. ႺႬ სადაც გ. ოთხმეზური კითხულობს „წმინდაჲ ამენ". ჩემი აზრით „ა" და „ნ" შეიძლება მოციქულ ანდრიას სახელის პირველი ორი ასოა და წარწერა ქვემოთ, ფიგურათა შორის გრძელდებოდა. თუ ჩამოტეხილი ნაწილის მიხედვით ვიმსჯელებთ, რელიეფზე შეიძლება კიდევ ერთი ან ორი ფიგურა ყოფილიყო. ამ კომპოზიციის ზემოთ მოთავსებულია „ჯვარცმის" სცენა. კომპოზიციის ცენტრში გამოსახულია გრძელი კოლობიუმით შემოსილი ქრისტე, ხოლო მისი გაშლილი ხელების ქვეშ ავაზაკთა თითო მომცრო შიშველი ფიგურა. ავაზაკებს ხელები უკან აქვთ წაღებული. ჯვარი, რომელზეც ქრისტეა მიკრული არ ჩანს; არ არის აგრეთვე ბოძები, რომელზეც ავაზაკებია მიბმული. ჯვარიცა და ბოძებიც მინიშნებულია მხოლოდ ფეხსადგამებით და ძირითადად თვით სიუჟეტით. ძველ რედაქციებში, „ჯვარცმაში" ქრისტე შემოსილია კოლობიუმით და ძირითადად ეს ნიშანი ადრექრისტიანულ იკონოგრაფიულ ხასიათს განსაზღვრავს. უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარცმული ქრისტე კოლობიუმით გვხვდება VI ს. სირიულ საცეცხლურზე მესტიის მუზეუმიდან, VII ს. ბრინჯაოს მცირე ჯვარზე საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმიდან, VII-VIII სს. წებელდის კანკელზე, VIII-IX სს. გველდესის კანკელზე, საბერეების IX-X სს. კედლის მოხატულობაში და სხვ. ბერიჯვარის „ჯვარცმის" იკონოგრაფია პირდაპირ პარალელს პოულობს „წმინდა მიწის" მრავალი ამპულის გამოსახულებებთან.[3] გარკვეულ სიახლოვეს იჩენს აგრეთვე სინას მთის წმ. კატერინის მონასტრის VIII ს. ხატის „ჯვარცმასთან". 1985 წლის მაისში არქეოლოგმა ბ. მჭედლიშვილმა სოფელ საცხენისში აღმოაჩინა და ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმს ჩააბარა სტელა, სადაც „ჯვარცმის" კომპოზიცია ჩვენთვის საინტერესო სქემითაა მოცემული; მაგრამ ბერიჯვარის „ჯვარცმისაგან" განსხვავებით იქ ავაზაკები ჯვარზე არიან გაკრულები. საცხენისის სტელა ადრექრისტიანული ხანის ქვაზე კვეთის საყურადღებო ნიმუშია და ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ბერიჯვარის „ჯვარცმაში", ძლიერი დაზიანების გამო თითქმის მთლიანად დაიკარგა მარცხენა ავაზაკის ფიგურა და ქრისტეს სახე. დაზიანდა აგრეთვე წარწერა. მისი გადარჩენილი ნაწილის გარჩევა ძნელდება. გ. ოთხმეზური წარწერას შემდეგნაირად კითხულობს:

| | |
|---|---|
| 1. [Ⴜ]ႣႭ ႬႲႠႰ | ...[წ](მი)დ(ა)ო ნ(ე)ტარ(ო) |
| 2. ....Ⴕ·Ⴄ ႨႤ | ...ქ(რისტ)ე ი... |
| 3. ·ႨႡ | ჲ(ო)ვ(ა)ნე და ჩ(უე)ნცა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ႹႨ
5. ႭႠ
6. ႱႬ
7. ႢႠ

ერთ-ერთ დაზიანებულ გრაფემას ავტორი ნუსხურ „ო“-დ კითხულობს და წრომის სტელის წარწერის „ო“-ს ადარებს. ამასთან დაკავშირებით გვთავაზობს წრომის სტელის ახალ თარიღს — VIII საუკუნეს, რომელიც, რა თქმა უნდა, დაუსაბუთებლად მიუღებელია. ვფიქრობ, წრომისა და ბერიჯვარის სტელების არა მარტო ერთი ასო ჰგავს ერთმანეთს, არამედ თითქმის ყველა.

მეხუთე კომპოზიციაში გამოსახულია მთავარანგელოზის ფიგურა. ამჟამად შეუძლებელია მისი ვინაობის დადგენა, რადგან არსებული წარწერიდან მხოლოდ ერთი ასო „ႫႠ“ გადარჩა. მთავარანგელოზის სახეც წარწერასთან ერთად დაიკარგა. კარგადაა შემონახული ტანი, რომელიც თავისივე ფრთების ფონზეა მოცემული: მოქანდაკე აქაც ორიგინალურ იკონოგრაფიას გვთავაზობს — მთავარანგელოზს მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტების ნაცვლად ჯვარი უჭირავს. იგი მას მარჯვენა ხელით მკერდზე აქვს მიკრული, როგორც ხშირად გამოსახავდნენ ზოგიერთ წმინდანს. ფიგურის მარჯვნივ და მარცხნივ ოსტატი ათავსებს სვეტებს, რომელთა ფუნქცია ამჟამად გაურკვეველია, თუმცა საფიქრებელია, რომ მათ მხოლოდ დეკორატიული დატვირთვა არ უნდა ჰქონოდათ, რადგან არც ერთ კომპოზიციაში არ არის ნახმარი ორნამენტული მოტივი, თუ არ ჩავთვლით ემბაზის მოჩარჩოებას, სადაც პატარა რომბებია ჩახაზული. ზუსტად ასეთივე რომბებითაა დახაზული მტევნები და კვარცხლბეკი წრომის სტელაზეც. საერთოდ, დიაგონალური პერპენდიკულარებით რომბების გამოხაზვა მეტად მარტივ, მაგრამ ამ პერიოდში საკმაოდ პოპულარულ მოტივს წარმოადგენს, რაზეც ამ ორი სტელის გარდა მეტყველებს ბრდაძორის (VI ს.), წვერო დაბალის (VI ს.) სტელებისა და ქალეთის ემბაზის (VI-VII სს.) რელიეფები.

ბერიჯვარის სტელის რელიეფები სტილისტური ნიშნებით ახლო დგას VI-VII სს. ძეგლებთან. სტელაზე წარმოდგენილ პერსონაჟთა სახეები წაგრძელებულია. მათ დიდი ოვალური თვალები აქვთ. კვართისა და კოლობიუმის ფორმა, რომელსაც მოქანდაკე ყველა ფიგურაში იმეორებს, თითქმის მთლიანად შთანთქავს ტანს, რომელიც თითქოს ჰაეროვანი და მსუბუქია, რასაც აძლიერებს სამოსის წვრილი ვერტიკალური ხაზებით დამუშავება. აღსანიშნავია, რომ მოქანდაკე სამოსისა და ტანის ასეთ გადმოცემას მხოლოდ წმინდანებთან გვიხატავს: მას შეუძლია საკმაოდ მძიმე სხეულის გამოსახვაც, როგორიცაა ავაზაკებისა ან წრომის სტელის ქტიტორთა ფიგურები.

ზემოთ უკვე შევეხე წრომისა და ბერიჯვარის სტელების იდენტურობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი სტელა შესაძლოა ერთი ავტორის მიერაა შესრულებული. ფიგურათა ფორმები, ზომები და დგომა, წმინდანის პოსტამენტზე დაყენება, სამოსის დამუშავება, ქვის ჭრის მანერა და რელიეფის სიმაღლე, პალეოგრაფიული ნიშნები, წახნაგების ლილვებით მოჩარჩოება და სხვა მცირე დეტალები იმდენად მსგავსია ერთმანეთის, რომ ბერიჯვარის სტელის იმავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოთავსება, რომელსაც წრომის სტელა გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ჯვარცმის“ სცენა.

Сцена «распятия».

სტელის მეოთხე წახნაგი — სარკმლის თავსართი.

Четвертая сторона стелы — навершие окна.



ნეკუთვნება (VI ს მეორე ნახევარი — VII ს პირველი მეოთხედი), ვფიქრობ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

სტელა, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, მოგვიანებით ეკლესიის სარკმლის თავსართად გამოიყენეს, რაზეც ქვის მეოთხე წახნაგი მიგვანიშნებს. ამ წახნაგის რელიეფს არავითარი საერთო არა აქვს სტელასთან და სრულიად დამოუკიდებელ ნაწარმოებს წარმოადგენს. სარკმლის თაღის წარბებად ორი ორნამენტია გამოყენებული, ერთი მარტივი — ორი ლილვის გრეხილი, რომელიც უშუალოდ ეკვრის თაღს და მეორე ზემოთა — უფრო რთული, ერთმანეთში ჩაწნული წყვილი ლილვები. წარბებს ზემოთ, კუთხეებში, მთავარან-

გელოზთა თითო მცირე, მაგრამ მაღალი გემოვნებით შესრულებული ფიგუ-რებია. მთავარანგელოზთა მოძრაობა და ქვის ნაზი, მსუბუქი ჭრა გამოკვეთ-ულ ჰაეროვნებას მატებს მათ მხატვრულ სახეს. ორივე მთავარანგელოზი მინიშნებულია დაქარაგმებული ასომთავრული წარწერებით, რომლებიც ად-ვილად იკითხება:

I. — მარცხნივ: [Ⴋ]ႵႤႪ — მ (ი) ქ (ა) ელ

II. მარჯვნივ: ႢႡႤႪ — გ (ა) ბ (რი) ელ

გ. ოთხმეზური წარწერას X საუკუნით ათარიღებს და სარკმლის თავსარ-თზე გამოსახული ორი მცირე ფიგურის საფუძველზე ასკვნის, რომ ეკლესია მთავარანგელოზთა სახელზე იყო აგებული. რა თქმა უნდა ეს აზრი გამო-სარიცხი არ არის, მაგრამ ვფიქრობ, ამისათვის უფრო საფუძვლიანი საბუ-თია საჭირო. იგივე უნდა ითქვას სტელაზე — მეცნიერი ფიქრობს, რომ რად-გან მასზე იოვანე ორჯერაა ნახსენები, სტელა ნათლისმცემლის სახელზე იყო აღმართული. ვარაუდი აქაც დასაშვებია, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ „იოვანე“, თუ იგი სწორადაა ამოკითხული, „ჯვარცმის“ სცენაზე, იოვა-ნე ღვთისმეტყველი იქნება და არა იოვანე ნათლისმცემელი. რაც შეეხება სარკმლის თავსართის რელიეფის დათარიღებას, ვიზიარებ გამოთქმულ აზრს და ძირითადად განიერი წარბის ორნამენტს ვეყრდნობი. მსგავსი მოტივი ხში-რად გვხვდება X-XI სს. ძეგლებში. იგი გარკვეულ სიახლოვეს იჩენს დოდო-თის „ცხრაკარას“, ერედვის „ბერის საყდრისა“ და სხვა ეკლესიების რელიე-ფურ ორნამენტებთან.

ამრიგად, ჩემი აზრით, სტელა უნდა აღემართათ VI ს. ბოლოს ან VII ს. დასაწყისში (ვფიქრობ ყველა შემთხვევაში VII ს. სტელის აღმართვის უკანასკნელი თარიღია), ხოლო მისი გვიანი გამოყენება სარკმლის თავსართად X-XI საუკუნით თარიღდება.

1 იხ. ვ. გიორგაძე ა. თოფურია. „სტელა, ბალთა, შტანდარტი...“ გაზ. „ახალგაზრდა კო-მუნისტი“. 19. IX. 1985.

2 Н. А. Аладашвили. Некоторые вопросы грузинской скульптуры ранне-феодального времени, Ars Georgica серия А. Тб., 1979, стр. 79—80.

3 Andre Grabar; Les Ampoules de Terree Sainte (Monza-Bobio) Paris 1958. monza pl. VII.XI.XII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსი ბოხოჩაძე, ამირან ზანგური

## ძველი ქანდის სამაროვანი

1983-1984 წლებში ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა მცხეთის რაიონში, საქართველოს მაგისტრალური საავტომობილო გზის — ნატახტარი-ხაშური-ქუთაისი-ცხაკაიას უბნის, სოფლების ძველი ქანდა-ოკამის მონაკვეთის გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. 1982 წელს გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს საავტომობილო სამინისტროს 28-ე გორის უბანსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს შორის. გათხრები მიმდინარეობდა 1983-1985 წწ. შესრულებულ იქნა დიდი მოცულობის სამუშაოები.

გზის რეკონსტრუქციის ზონაში ძველი ქანდა-ოკამის მონაკვეთზე, სოფ. ძველი ქანდის მიდამოებში არსებული ბრინჯაოს ხანის სამაროვნის გარდა, მიწის სამუშაოების დროს თავი იჩინა დღემდე უცნობმა ძეგლებმა. სოფ. ოკამის ტერიტორიაზე ახალმა ტრასამ გადაკვეთა განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების ნასოფლარები და სამაროვნები. ამ ადგილებში გამავალი გზის გვერდით, ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ეკლესიათა ნანგრევები.

სოფ. მუხრანში მიმავალი გზის გადაკვეთაზე, ე. წ. „ურიების უბნის“ სამხრეთით, იქ, სადაც მუხრანიდან დიდ სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალი-ტაძარია აღმართული, შემაღლებულ ტერასაზე გამოვლინდა გვიანანტიკური და ადრეულ შუასაუკუნეების ნასახლარები და ამავე პერიოდის დაზიანებული სამარხები, მათ შორის ქვევრსამარხიც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფ. ძველი ქანდის მიდამოებში გამოვლენილი ძეგლების კომპლექსი — ბრინჯაოს ხანის, ანტიკური და ადრეულ შუასაუკუნეების საცხოვრებელი გორები, მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული საფეხურის ნაშთები და ბრინჯაოს ხანის მრავალფენიანი სამაროვანი, რომლებიც სავტაპო, ეტალონურ ძეგლებს წარმოადგენენ.

ექსპედიციის მიერ, ძველი ქანდის სამაროვანზე გამოვლენილი ძეგლების ქრონოლოგიური არეალი მოქცეულია მტკვარ-არაქსის კულტურასა და განვითარებულ შუასაუკუნეებს შორის.

განვითარებულ ფეოდალურ ხანას მიეკუთვნება სამაროვნის ტერიტორიაზე გათხრილი ორი საწნახელი. ერთი საწნახელი განცალკევებით იდგა, ხოლო მეორე, ნახევრად მიწურ მარანში ყოფილა მოთავსებული. საწნახლები გეგმაში სწორკუთხედს წარმოადგენენ, აგებულია რიყის ქვით დუღაბზე. შიგნიდან კარგადაა გალესილი კირხსნარით. გრძივი კედლის შუა ადგილზე სადინარი ხვრელია დატანებული, რომლითაც ტკბილი ჩაედინებოდა მიწაში ამოშენებულ წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის თალარში. ამ ფენის მასალები მრავლად შეიცავს განვითარებული ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებს.

ძველი ქანდის სამაროვანზე გაითხარა 61 სამარხი და ერთი ყორღანი. აღნაგობის მიხედვით ისინი ორმო-სამარხთა ტიპს მიეკუთვნება და გაერთია-

ნებულია მიწაყრილიან, ქვააყრილიან და ხრეშყრილიან ჯგუფებად. სამარხთა უმრავლესობას მიწის პირზე, წრიულად, ნახევარწრიულად, ან ოვალისებურად, ხოლო ერთ შემთხვევაში, ოთხკუთხედად შემოწყობილი ჰქონდა რიყის ქვები. გათხრილ იქნა ისეთი სამარხებიც, რომლებსაც სამხრეთის ან დასავლეთის მხრიდან, ნახევარწრისმაგვარი მდინარეული ხრეშის ყრილები გააჩნდა, რომელთა სიფართე — 0,3-1 მ-ს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათხარ ფართობზე გამოვლენილ იქნა სხვადასხვა ფორმისა და ზომის რიყის ქვიდან გაკეთებული მოედნები და ყრილები, რომელთა ქვეშ არაფერი აღმოჩნდა, მათი დანიშნულება გაურკვეველი დარჩა.

მიცვალებულთა დასაკრძალავად სწორკუთხედის ფორმის ორმოები გაუთხრიათ, სიგრძე –– 1,5-2,5 მ-დე, ხოლო სიგანე — 0,8-1,5 მ-ს შორის მერყეობს. გვხვდება წაგრძელებული ოვალის ფორმის ორმოები, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო მცირე ნაწილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხობილი.

ძველი ქანდის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხების შესწავლამ ცხადყო, რომ გვიანბრინჯაოს ხანაში დასაკრძალავი ორმოების უმრავლესობა გადახურული ყოფილა ტლანქად გათლილი ფიცრებით ან ძელებით. მაგალითად, მე-16 სამარხის გათხრისას დადასტურებულ იქნა სამარხი ორმოს გადახურვა კევრით. მისი გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიცვალებულის ჩონჩხს ზევიდან ელაგა რამდენიმე ათეული, ბაზალტის ქვისაგან გამოტეხილი კოხის ქვა, რომლებსაც კარგად ეტყობა მუშაობის კვალი, ერთი მხარე გახეხილ-გაპრიალებული აქვს. სამაროვნის ტერიტორიაზე, ბორცვზე, მიწის სამუშაოებისას გამოვლენილი 36-ე სამარხი, მუხის ტლანქად გათლილი ძელებით ყოფილა გადახურული. ხის ძელის ნაშთები აღმოჩნდა ყორღანშიც.

კევრიდან ჩამოვარდნილი კოხის ქვები აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში ჩადგმულ თიხის ჭურჭლებში, რაც იმისი უტყუარი დადასტურებაა, რომ სამარხი კევრით იყო გადახურული და მიცვალებული კევრზე არ ყოფილა დასვენებული. კევრით გადახურული ორმოსამარხი აღმოჩნდა ნასტაკისის ველზეც. ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ორ გარემოებას: 1 — რომ მიცვალებულებს კევრზე კი არ ასაფლავებდნენ გვიანბრინჯაოს ხანაში, როგორც ეს აქამდე იყო აღიარებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ კევრით ხურავდნენ სამარხ ორმოს, კამერას, II — სამარხი ორმოების გადასახურავად კევრის გამოყენება ეჭვმიუტანლად მიუთითებს, რომ შიდა ქართლის ამ რეგიონში სოფლის მეურნეობაში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული თავთავიანი კულტურების — პურეულის თესვა და მოყვანა.

გათხრილ სამარხთა უმრავლესობაში მიცვალებულები დაუკრძალავთ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, თავი მოქცეული აქვთ ჩრდილოეთის ან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. იშვიათად გვხვდება აღმოსავლეთით თავმიქცეული მიცვალებულის ჩონჩხი. ყორღანულ სამარხში მიცვალებულს თავი სამხრეთით ჰქონდა მიქცეული.

გამოვლენილ სამარხთა ერთ ნაწილში, ჩვენი ვარაუდით, მიცვალებულთა მეორედ დაკრძალვასთან უნდა გვქონდეს საქმე. ასეთ სამარხთა ორმოებში ერთმანეთშია არეული ადამიანის ძვლები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სამკაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძველი ქანდის სამაროვანზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სატევრები, შუბისპირები და სამკაულები.

Бронзовые предметы из погребения старой Канда.

ლი, ცხოველის ძვლები, რიყის ქვა და მიწა. ყველაფერი ეს სამარხის სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა სიმაღლეზეა გაბნეული. მაგალითად, მე-10 სამარხში ამრიგად შერეული ფენის სისქე — 1 მ-ს, ხოლო 26-ე სამარხში — 0,6 მ-ის ტოლია და ა. შ. ამ ტიპის სამარხების გულდასმითი პრეპარაციის, დაკვირვებისა და შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ სამარხებში მიცვალებულის ძვლებთან ერთად ჩაუყრიათ ცხოველის ძვლები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ბრინჯაოს ნივთები, სამკაულები, ქვები და მიწა. ქართლისათვის დამარხვის ასეთი წესი გამონაკლისს წარმოადგენს, ხოლო დასავლეთ საქართველოში იგი საკმაოდ არის გავრცელებული.

ძველი ქანდის სამაროვანზე გამოვლენილ იქნა სამარხების ისეთი ჯგუფი, რომლებშიც მიცვალებულთა სარეცელზე დაკრძალვა შეიძლება ვივარაუდოთ. ასეთად მიჩნეული სამარხების ორმოთა კუთხეებში აღმოჩნდა რამდენიმე სიმეტრიულად განლაგებული რიყის ქვები, რომლებზედაც ფიცრებისა და მოწნული ლასტისაგან დამზადებული სარეცელი უნდა ყოფილიყო დასვენებული. ფაქტი ის არის, რომ დღემდე, არავის დაუდასტურებია სარეცლად გამოყენებული მასალების ნაშთების არსებობა სამარხების გათხრისას. მხოლოდ სამარხ ორმოში რიყის ქვების და ჭურჭლების თავზე ადამიანის ჩონჩხის ნაწილების გამოვლენაზეა აგებული მიცვალებულთა სარეცლის დაკრძალვის წესის არსებობა ბრინჯაოს ხანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ძველი ქანდის სამაროვანზე გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ფორმები.

Формы глиняной посуды из погребения старой Канда.

ძველი ქანდის სამაროვანზე გაითხარა სამარხების ერთი ჯგუფი, რომლებშიც მიცვალებულები დიდი ზომის ლანგრებზე იყვნენ დაკრძალულნი.

ამავე სამაროვანზე გაითხარა ერთი ყორღანული სამარხი, იგი ქვაყრილშემოწყობილიანი სამარხების ჯგუფს მიეკუთვნება. მისი დიამეტრი — 12 მ, ხოლო ქვაყრილის სისქე ცენტრალურ ნაწილში — 0,8 მ უდრის. მიცვალებული დაუკრძალავთ მიწის პირზე, შემდეგ მიცვალებულისათვის გარშემო შემოუვლიათ ლასტის კედლები, რომლისთვისაც გარედან რიყის მოზრდილი ქვები შემოუწყვიათ და ხრეშით მოუზვინავთ. სამარხის გაწმენდის დროს მის გარშემო შემოწყობილ რიყის ქვებში და თვით სამარხშიც შემჩნეულ იქნა დანახშირებული ძელის ნაშთები. სამარხი-კამერა, რომლის ზომებია — 2,8X2,2 მ გადახურული უნდა ყოფილიყო. დაკრძალული აღმოჩნდა ერთი მიცვალებული, თავი სამხრეთ-დასავლეთით ჰქონდა მიქცეული. ჩონჩხი ცუდად იყო შემონახული. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ თიხის ჭურჭელი 20 ცალი, ზღვის ნიჟარისაგან გაკეთებული ორი მძივსაკიდი და სარდიონის სამი მძივი. სამარხში აღმოჩნდა საქონლის მთლიანი ჩონჩხი.

თიხის ჭურჭლებიდან 7 მაღალკედლიანი ჯამია, ოდნავ განსხვავებული ერთმანეთისგან. ორ ჯამს პირს ქვევით მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი, ზევით აცქვეტილი ყურები. სამარხის დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა პატარა კოჭობი, კასრისებური ფორმისა, მხარზე შემოუყვება ცხრა მოზრდილი კოპი. სხვა ჭურჭლებიდან აღსანიშნავია სურის მაგვარი ჭურჭელი მსხლისებური ტანით და რამდენიმე ქოთანი. ყორღანი, მასში გამოვლენილი მასალების მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედვით, შუაბრინჯაოს მიწურული ხანის ძეგლს უნდა წარმოადგენდეს და ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს.

ძველი ქანდის სამაროვანზე გათხრილ სამარხებში გამოვლენილი ინვენტარის უმრავლესობას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. ზოგიერთ სამარხში ათეულობით ჭურჭელი გამოვლინდა. მაგალითად, მე-2 სამარხში 65 ჭურჭელი იყო ჩადგმული სამ იარუსად. ყველა ჭურჭელი თითქმის გამომწვარია მონაცრისფროდ. ყველაზე დიდ ჯგუფს გამოვლენილ მასალებში შეადგენს ცილინდრულყელიანი ქილები, რომლებსაც ოდნავ გარეთ გადმოშლილი ფართო პირი, ცილინდრული მაღალი ყელი, მკვეთრად გამობერილი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი აქვს. ამ ტიპის ჭურჭლები ზოგი სადაა, ზოგი შემკულია კონცენტრული ან ტალღისებური ხაზებით. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სამარხებში დიდი ზომის ლანგრები, ჯამები, ქოთნები, დიდი ზომის პირფართო ქილები, სადღვებლები, წელში გამოყვანილი და ბიკონუსური ფორმის დიდი და მცირე სასმისები, კათხები, სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის დოქები და ა. შ.

ჭურჭელთა შემკულობაში სჭარბობს ამოკაწვრა-ამოღარვის ხერხით დატანილი კონცენტრული და ტალღისებური ხაზები, წიწვისა და პარკეტისებური ორნამენტი. ნაკლებად გვხვდება გაპრიალების ხერხით დატანილი ორნამენტი, მხრებსა და მუცელზე ამოკაწრული სამკუთხედები. სოლისებური ნაჭდევები და სპირალური რგოლები.

მრავალრიცხოვან კერამიკულ ჭურჭელთან შედარებით ღარიბულად გამოიყურება ლითონის ნაწარმი და სამკაული. ლითონის ნივთებიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს –– ფოთლისა და ალისებური ფორმის სატევრის პირები, მთლიანი და მასრაგახსნილი შუბის პირები, ბრტყელი, ქუსლამოღარული ისრისპირები, სხვადასხვა ფორმის საკინძები, მახათი და ერთი ცალი თავდაფანჯრულ-სახელურიანი მახვილი, რომელსაც პირი რკინისა ჰქონია.

სამკაულებიდან აღსანიშნავია სარდიონის, თეთრი და ცისფერი პასტის, ბრინჯაოსა და ძვლისგან დამზადებული სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის მძივები და ღილები.

ძველი ქანდის სამაროვანი, გამოვლენილი სამარხების აღნაგობის, დაკრძალვის წესის და მრავალრიცხოვანი მასალების გათვალისწინებით ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურულ წრეში ექცევა, გვიანი ბრინჯაოს ადრეულ პერიოდს მიეკუთვნება და ზოგადად ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩუბინიშვილი

# ადრერკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამაროვნების შესწავლისათვის

უძველესი კულტურის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ ძეგლთა ისეთ ნაირსახეობას, როგორიცაა სამაროვანი. სწორედ მათი შესწავლისას ხდება შესაძლებელი ამა თუ იმ კულტურის თავისებურებათა დადგენა, რაც განპირობებულია იმ წეს-ჩვეულებებით, რომლის მიხედვითაც სრულდებოდა დაკრძალვის რიტუალი. სამარხეული ინვენტარის მეშვეობით შესაძლებელი ხდება ვიმსჯელოთ, თუ განვითარების რა საფეხურს მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებამ გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, პროფესორ თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით, თავისი არსებობის მანძილზე შეისწავლა ურეკის, ნიგვზიანის და სოფ. ერგეტის № 1 სამაროვნები. მუშაობა გრძელდება სოფ. ერგეტის № 3 და № 4 და სოფ. დღვაბის სამაროვნებზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არქეოლოგიური ძეგლი ერთ წრეს განეკუთვნება და ძვ. წ. VII-VI სს. თარიღდება.

სადღეისოდ, ცენტრალურ კოლხეთში ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრერკინის ხანის სამაროვნები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: საკულტო მოედანი, საძვლე ორმოები, კოლექტიური და ინდივიდუალური სამარხი ორმოები. აქვე დავძენთ, რომ კოლექტიური სამარხი ორმოები სოფ. ერგეტის სამივე სამაროვანზე (№ 1, № 3, № 4) რაოდენობრივად სჭარბობს. ერგეტის № 1 სამაროვანზე მხოლოდ ერთი ინდივიდუალური სამარხი ორმოა დადასტურებული, ხოლო კოლექტიური კი რვა. პროფესორ თ. მიქელაძეს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ კოლექტიური სამარხი ორმოები საოჯახო ან საგვარეულო სამარხებს წარმოადგენს. მისივე დაკვირვებით სამარხ-ორმოებში ხდება მიცვალებულის ძლიერ დანაწევრებული ძვლების განმარხვა (ე. წ. მეორადი დაკრძალვა) ნაშთებისა და ნივთების დაკრძალვასთან დაკავშირებული რიტუალის შესრულების შემდეგ.

რიტუალური მოედანი — საალაპო მოედანი, უშუალოდ კორდოვანი ფენის შემდეგ იწყება და რიგ შემთხვევაში რიყის ქვით არის მოფენილი, ქვიშა კი ცეცხლის გამო გაშავებულია და გამკვრივებული. აქ ფიქსირდება ცეცხლისგან ძლიერ დანაწევრებული ძვლების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები, ჭურჭლის ნატეხები და ნივთები. კერამიკული ნაწარმიდან განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ე. წ. ყურმილიანი ჭურჭლის ყურებს, რომლის საერთო რაოდენობა ზოგჯერ რამდენიმე ასეულს აღწევს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყურმილიანი ჭურჭელი ძვ. წ. VII ს. II ნახევარში ჩნდება. ნივთებში გამოვყოფთ მძივ-სამკაულს, რომელიც მთელ მოედანზეა მიმობნეული. ხშირ შემთხვევაში, გვხვდება საწარმოო და საბრძო-

ლო იარაღი, ან მათი ფრაგმენტები. ზოგიერთი ნივთი, რომელიც საკულტო მოედანზეა აღმოჩენილი, უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე სამარხ ორმოებში მოპოვებული ინვენტარი. ეს გარემოება გვაძლევს შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ სარიტუალო მოედნები განაგრძობდა ფუნქციონირებას სამაროვანზე დაკრძალვის დამთავრების შემდეგაც.

საძვლე ორმოები — ზოგჯერ საკულტო მოედანშია ჩაჭრილი, ზოგჯერ კი სამარხი ორმოების დონეზეა. მათი ფართობი არც თუ ისე დიდია (1,5 მ$\times$0,7 მ) და სიღრმით 0,4 სმ არ აღემატება. მათში მოთავსებული ძვლები რიგ შემთხვევაში უკეთ არის შემონახული, ვიდრე სამარხ ორმოებში და სხვადასხვა მიცვალებულთა კუთვნილია. აქაც ინვენტარი მძივ-სამკაულით და სხვადასხვა ნივთით არის წარმოდგენილი.

სამარხი ორმოები — მიწის ზედაპირიდან 0,6-0,9 მ. სიღრმეზეა ქვიშაში ჩაჭრილი და მათი კვალი ზოგჯერ კორდოვანი ფენის აღებისთანავე შეიმჩნევა. სამარხი ორმოები სხვადასხვა ფართობისა და როგორც წესი, ან ოვალური, ან არასწორი ოვალური ფორმისაა. მათი საზღვრები სოფ. ერგეტის სამაროვნებზე ნათლად იკითხება და მოლურჯო ზოლს წარმოადგენს, რომელიც 5-7 სმ სიგანისაა. რიგ შემთხვევაში სამარხის თავზე ქვაყრილია დადასტურებული (ერგეტა № 3); სამარხი ორმოები ერთმანეთისაგან 0,5-1 მ-ით არის დაშორებული. მათი ერთი მხარე უფრო მაღალია, მოპირდაპირე მხარეებთან შედარებით, (ე. წ. „დამხობილია"). ამ შემთხვევაში სამარხის ფსკერი ლინზისებურია. ფსკერზე ზოგან მონალესის კვალი შეიმჩნევა, ზოგან კი ფსკერი ფოთლებით არის მიმოფენილი (დღვაბის № 1 სამარხი — ორმო). სამარხეული ფენა, რომელიც ინვენტარის, დამპალ-დაშლილი ძვლებისა და სხვადასხვა ორგანული მინარევისაგან შედგება, მოყვითალო-მოშავო ფერისაა და სისქით 15-25 სმ-საა. ზოგიერთი კოლექტიური სამარხი ორმოს ინვენტარი რამდენიმე ასეულ ერთეულს შეიცავს (ერგეტის № 4 სამაროვნის № 1 სამარხ-ორმოში მოპოვებული სამარხეული ინვენტარი 400 ერთეულია), რიგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მიცვალებულთა ნაშთების და მათი კუთვნილი ნივთების ერთმანეთისაგან გამოცალკევება და მათი ჯგუფებად გამოყოფა — ლოკალიზაცია ხდება რომელიმე ნიშნით (მაგ. სეგმენტური იარაღის თავზე ან თავის ქალის, კბილების ირგვლივ და ა. შ.), ზოგიერთ შემთხვევაში დაფიქსირებულია ინვენტარისა და ძვლების ქსოვილში (ჭილოფში) გახვევის ფაქტი.

სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანია და გამოყენების მიხედვით შემდეგ ჯგუფებს ჰქმნის: კერამიკული ნაწარმი — ყურმილიანი ჭურჭელი, ტოლჩები, ქოთნები; სამიწათმოქმედო იარაღი — თოხები, სეგმენტური იარაღი, სახნისები, ცელები, დანები; საბრძოლო იარაღი — სატევრები, შუბის პირები, ცულები; ტუალეტთან დაკავშირებული ნივთები — ხატის ულლები, საკიდები, სამაჯურები, რგოლები, ღილები, დუგმები, ბალთები, სარტყლები, სალესი ქვები, მძივები-სერდოლიკის, სარდიონის, პასტის, გიშრის, მინის;[1] სარიტუალო დანიშნულების ნივთები — მცირე ქანდაკებები, ცრავირებული ბრინჯაოს ნივთები, ზარაკები და საკრალური დანიშნულების ნივთები (იხ. ტაბულა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



არქეოლოგიური მასალა ერგეტა I სამარხიდან.

Археологический материал из погребения Эргети I.

მასალის თვალსაზრისით ამ პერიოდში ბრინჯაო სჭარბობს რკინას, მაგრამ რკინისგან დამზადებული ნივთებიც მრავლად არის მოპოვებული. საგანგებოდ არის აღსანიშნავი ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევაში რკინის ნივთები იმეორებენ ბრინჯაოს ნივთებს, რაც ბრინჯაოს და რკინის ნივთების გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს. ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებში შემავალი ნივთები უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი ნაწარმია, მაგრამ სამარხეულ ინვენტარში უცხო ელემენტებიც გვხვდება (თუმცა, თითო-ოროლა), რაც კოლხეთის სხვა რეგიონებთან კავშირზე უნდა მიგვითითებდეს. ზემოთ აღინიშნა, რომ სამაროვანზე რამდენიმე კოლექტიური სამარხი ორმოა, აქ კი დავუმატებთ, რომ ერთ სამაროვანზე არსებული სამარხი ორმოები თავისი შემადგენლობით (უფრო სწორად, ბრინჯაოს და რკინის ნივთების თანაფარდობით) განსხვავდებიან, რაც თავისებური ეტაპები უნდა წარმოადგენდეს, ამავე უნდა მიუთითებდეს ზოგიერთ ნივთში შესაძლებელი განვითარებადი ხაზის დადგენა (ნივთების ფორმებისა და ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით). მაგრამ ზემოთქმული არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამა თუ იმ სამარხი ორმოსათვის აბსოლუტური თარიღი შევიმუშაოთ და ამიტომაც, აღნიშნული სამაროვნები ზოგადად ერთი ხანით — ადრერკინის ხანით — თარიღდება.

ყოველივე ზემოთქმულის შეჯამებისას შესაძლებელი ხდება შემდეგი დასკვნების გაკეთება: ძველი კოლხეთი ძვ.წ. VII-VI საუკუნეებისათვის წარმოადგენს მაღალ განვითარებულ საზოგადოებას, განვითარებული მეტალურგიითა და მიწათმოქმედებით, რაზეც მიუთითებს ბრინჯაოსა და რკინის ნივთების როგორც რაოდენობა, ასევე მრავალფეროვნება; მიწათმოქმედების განვითარების დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ერთი სამარხი (ერგეტის № 3 სამაროვანზე) ასზე მეტ თოხს შეიცავდა. ეს უნიკალური ფაქტია მსოფლიო არქეოლოგიის პრაქტიკაში; საწარმოო იარაღის დეფინიცია, შრომის პროცესის დიფერენციაციის მაუწყებელია. ამ პერიოდის კოლხეთის მაღალ განვითარებაზე მეტყველებს კოლხური კულტურისთვის დამახასიათებელი კომპლექსების, ნივთების აღმოჩენა მთელ კავკასიაში (ჩრდილოეთ კავკასია, აღმოსავლეთ საქართველო და ა. შ.), მცირე აზიაში (ორდუს განძი) და ასევე ჰერაიონში, კუნძულ სამოსზე. მაგრამ ამ ხანის ძეგლების თავისებურება განაპირობებს იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთი საკითხი სადღეისოდ ჩვენთვის უცნობია, რასაც, ვიმედოვნებთ, შემდგომი მუშაობისას ნათელი მოეფინება.

[1] არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი ი. ბლანუცა, რომელიც ცენტრალური კოლხეთის მძივებს სწავლობს, გამოყოფს სერდოლიკის 25 ტიპს, გიშრის 21 ტიპს და მინის 29 ტიპს — ეს კი თავისთავად მოწმობს მძივების მრავალფეროვნებაზე, რომელიც რამდენიმე ათასეულს მოითვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიტალი ვინოგრადოვი, ჯაბრაილ ჩახკიევი

# ქართულ შთაბეჭდილებათა მატერიალური კვალი ჩაჩნეთში*

1984 წლის გაზაფხულზე, სოფ. მაირტუპის მიდამოებში (შალინის რ-ნი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ), საშუალო სკოლის მასწავლებელმა, მხარეთმცოდნე ბ. ახმადოვმა მიაკვლია სამაროვანს, რომლის დანგრეულ ორმოსამარხებში აღმოჩნდა საბრძოლო დანები, ხმალი, ისრისპირები და წითელკეციანი კერამიკის ფრაგმენტები. ამ აღმოჩენათა მიხედვით ჩანს, რომ სამაროვანი XV-XVII სს მოქმედებდა.

სამაროვნის ტერიტორიაზე შეგროვილ, ჩვენთვის გადმოცემულ ინვენტარს შორის, განსაკუთრებით საყურადღებოა ორნამენტირებული ნივთის ფრაგმენტი (სიგრძე — 7,8 სმ; სიგანე — 2,2 სმ), რომელიც თავისი ფორმით სალეს ქვას ემსგავსება. ის დამზადებულია მუქი ფერის მკვრივი ქვიშაქვისაგან, შემორჩენილი აქვს კონუსური ხვრელი (ალბათ ქამარზე დასაკიდებლად) და კვეთილი ხაზოვანი ორნამენტი. „ზურგზე“ გამოსახულია ხვრელიდან სხვადასხვა მხარეს მიმართული წყვილი ხაზი, „შუბლზე“ კი თითქოს სამი ნაწილისაგან შედგენილი საკმაოდ რთული ნახატი. ხვრელი აქაც გარშემორტყმულია რამოდენიმე სხივისებრი ხაზით, რომელთა ზემოთ გამოსახულია საკმაოდ რთული კონსტრუქცია. უფრო ზემოთ, რაღაც სიმბოლური გამოსახულებაა ჰორიზონტალური ხაზიდან ამოსული „რქებიანი“ ნახევარწრის სახით. ნახატი „იკითხება“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „სალეს ქვას“ დავიკავებთ ხვრელით ქვემოთ. ეს კი მოწმობს, რომ გამოსახულება გასაგები იქნებოდა იმ შემთხვევაში ,თუ სალესი ქვა ხელისგულზე ექნებოდა მფლობელს ,რომელმაც შესაძლოა იგი პირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად დაამზადა.

ჩვენი დაკვირვებით, ნახატის შუა ნაწილში გადმოცემულია გუმბათიანი ტაძრის ზედა ნაწილი მრავალკუთხა ცილინდრული ყელითა და კონუსური სახურავით. ქვემოთ კი გამოსახულია ტაძრის ძირითადი ნაგებობის სხვადასხვა მხარეს მიმართული დაფერდებული სახურავი, რომელზეც კრამიტის გადახურვა გადმოცემულია ხშირი ჰორიზონტალური ხაზებით.

ჩვენი მოსაზრება შევამოწმეთ დუშეთის საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემას (1984 წ. ოქტომბერი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა რ. რამიშვილმა და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ბ. ჯორბენაძემ გაიზიარეს ჩვენი ვარაუდი, დაინახეს კომპოზიციის ცენტრში ტიპიური ქართული ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ზედა ნაწილი ,რომელიც უკვე ათასწლეულზე მეტია საქართველოს ქალაქისა თუ სოფლის პეიზაჟის აუცილებელ დეტალს წარმოადგენს.

ამ შთაბეჭდილების შემოწმება ადვილია აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლისადმი მიძღვნილი ნაშრომების მიხედვით.[1] არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე გარემოებაც: ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზონაში, მათ შორის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზეც, შუასაუკუნე-

* რუსულიდან თარგმნა გიორგი რჩეულიშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქვის ნივთი ჩაჩნეთის სოფ. მაირტუპიდან (XVI—XVII სს), ქართული ეკლესიის გამოსახულებით.



Каменный «оселок» с изображением грузинского храма из Чеченского селения Майртупи (XVI — XVII вв.).

ების საეკლესიო არქიტექტურის კომპლექსებს შორის მსგავსი ძეგლები არ გვხვდება. მხოლოდ ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი რეპლიკა ამ საალმშენებლო კონცეფციისა, არის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მოდელი ჩასმული თხაბაერდის (მთიანი ინგუშეთი) ფასადში ქტიტორთა გამოსახულების ზემოთ. ძნელი დასაშვებია, რომ სწორედ ეს მოდელი ყოფილიყო „სალეს ქვაზე“ გრავირებული ნახატის შემსრულებლისათვის „შთაგონების წყარო“.

ამ უნიკალური გამოსახულების ასახსნელად სხვა მიზეზები უნდა მოიძებნოს (თუმცა მშვენივრად გვესმის ნებისმიერი ვარაუდის ჰიპოთეტურობა). როგორც ჩვენ გვეჩვენება, ზოგიერთი კონკრეტული გარემოება ამასვე გვკარნახობს.

თანამედროვე ჩაჩნეთის მთისწინეთი, კერძოდ, სოფ. მაირტუპის მიდამოები, განსაკუთრებით მდიდარია ისტორიისა და კულტურის მრავალფეროვანი ძეგლებით. მათ შორის გვხვდება XIII-XVII სს-ით დათარიღებული

ქრისტიანული სიძველენიც. პირველ ყოვლისა ესაა მრავალრიცხოვანი გულ-საკიდი და საცერემონიალო ჯვრები, რომელთა ნაწილიც (ბრინჯაოსა და სპილენძისა) ძველ-რუსული წარმოშობისაა, მეორე ნაწილი კი რკინის ე. წ. „მთური ქრისტიანული ჯვრებია“, რომლებიც მასიურადაა წარმოდგენილი ცენტრალური კავკასიის ქართული გავლენის ზონაში.[2] ეს მეორე ჯგუფი სრულიად გარკვევით ემთხვევა ქართულ-ვაინახური (ე. ი. ქართულ-ჩაჩნურ-ინგუშური) ურთიერთობის მეორე ეტაპს, რომელიც XVI ს-ის მეორე ნახევრითა და XVII ს-ით თარიღდება.[3] ეს პერიოდი, როგორც ნაჩვენებია სპეციალურ ლიტერატურაშიც, ხასიათდება ჩაჩნებსა და ინგუშებზე (ასევე მათს მეზობლებზე) საქართველოს საკმაოდ შედეგიანი პოლიტიკურ-რელიგიური გავლენის მორიგი აღმავლობით.[4]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთანავე, როგორც აღნიშნულია მთელ რიგ გამოკვლევებში, სწორედ ამ პერიოდში იქცა ჩაჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორია უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ოლქად, რომელიც ემსახურებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განმტკიცებას. ეს ვითარება განაპირობებდა ვაინახთა ზედაფენის წარმომადგენელთა ხშირ მოგზაურობას საქართველოში, როგორც რუსულ-ქართულ ელჩობათა შემადგენლობაში, ასევე დამოუკიდებელ მეკავშირეებად (დესპანები, შიკრიკები, რწმუნებულები) რუსეთსა და საქართველოს შორის.[5]

შესაძლებელია, რომ „სალესი ქვა“ ქართული ეკლესიის სქემატური გამოსახულებით ეკუთვნოდა ჩაჩნელს, რომელიც პირადად იყო საქართველოში და მოიხიბლა რა მისი ქრისტიანული ტაძრებით, გადაწყვიტა სამახსოვროდ აღებეჭდა ერთი მათგანი. არაა გამორიცხული, რომ ის თავის თავს ქრისტიანად თვლიდა მსგავსად იმ ჩაჩნებისა, რომელთა სახელებიც ჩვენთვის ცნობილია XVI-XVII ს-ის წერილობითი წყაროებით. ყოველი შემთხვევისათვის შეიძლება ითქვას, რომ მაირტუპის ახალი მონაპოვარი წარმოადგენს თვალსაჩინო, (ამასთანავე უნიკალურ) მატერიალურ მოწმობას, იმ პერიოდში ასე ქმედითი, ქართულ-ვაინახური აქტიური კონტაქტებისა.

---

[1] Памятники архитектуры Грузии. Л., Аврора, 1973.

[2] В. Б. Виноградов, А. В. Куза, Т. С. Магомадова. Русские кресты из селения Майртуп. — В кн. «Археология и вопросы социальной истории Северного Кавказа». Грозный, 1984, с. 76—84.

[3] В. Б. Виноградов, Новое в периодизации и характере грузино — Северо-Кавказских историко-культурных связей (до начала XX в) — IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.

[4] В. Б. Виноградов, Н. Н. Бараниченко. Об одном аспекте грузино-вайнахских взаимоотношений в XVI—XVII вв. — Вестник АН ГССР (серия ист., археолог., этногр. и истории искусства), 1980, № 3, с. 72—83;

[5] Т. Д. Боцвадзе. Народы Северного Кавказа во взаимоотношениях России с Грузией. Тб., 1974; Вехи единства. Сборник статей посвященных 200-летию добровольного вхождения Чечено-Ингушетии в состав России. Грозный, 1982.

## სიმონ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უნიკალური ბუნების ძეგლები

საქართველოს ეროვნული საუნჯის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ ის ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები, რომლებსაც გააჩნიათ როგორც ისტორიულ-შემეცნებითი, ასევე ესთეტიკური ღირებულება.

ურბანიზაციის თანამედროვე პირობებში, ეკოლოგიური პრობლემების გამძაფრებისა და გააქტიურების ვითარებაში, როცა ძირფესვიანად გადაფასდა აქამდე არსებული შეხედულებანი და დამოკიდებულება ბუნებასთან, უფრო მეტად ინტერესდებიან ადამიანები იმ „პირველყოფილი არქიტექტურით“ (ა. დიუმა — მამა), სადაც სულ პირველად ბინა დაიდო და თავი გადაირჩინა ადამიანმა, სტიქიათა შემოტევებისაგან, მტაცებელთა თუ თავისსავე მსგავსთა თავდასხმებისაგან, არსებობისათვის უკომპრომისო ბრძოლაში.

ბუნების ძეგლები ინახავენ ვრცელ ინფორმაციას წარსულის შესახებ და ავსებენ საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

ისინი მოგვითხრობენ შორეულ გეოლოგიურ პროცესებზე, რელიგიურ-საკულტო მოვლენებზე, სტრატეგიულ-თავდაცვითს ვითარებაზე; მათი არსებობა წარმოშობდა და ამდიდრებდა ზეპირსიტყვიერებას. ბუნების ძეგლებთან დაკავშირებული ტოპონიმები გვევლინებიან ზოგიერთ სახელთა თუ ტერმინთა ეტიმოლოგიურ საფუძვლად; ისინი წარმოადგენდნენ სხვადასხვა დროის ისტორიულ თუ ლიტერატურულ პერსონაჟთა მოქმედების ასპარეზს.

ამდენად, თვითეული ამგვარი ბუნების ძეგლი დღეს განიხილება არა მხოლოდ როგორც შემადგენელი და შემავსებელი ობიექტი გარემო-ლანდშაფტისა, არამედ, როგორც განუყოფელი ნაწილი ქვეყნის წარსულისა.

### 1. კაცხის სვეტი და ძველი პუბლიკაციის ერთი ფურცელი

„ძეგლის მეგობრის“ 1986 წლის პირველ ნომერში, სადაც კაცხის სვეტის კვლევის საკითხებს ვეხებოდით, აღვნიშნავდით: „მეცხრამეტე საუკუნეში, მწერალ გიორგი წერეთელსაც შეუნიშნავს სვეტის თავზე ნანგრევები, მაგრამ იქ ასვლა ვერც მაშინ გაუბედავს ვინმეს“.[1]

მოვიძიეთ პირველწყარო დამოწმებული ტექსტისა, რომელიც 1895 წ. № 40 გაზეთ „კვალში“ არის გამოქვეყნებული სათაურით „კაცხის სვეტი“, და დართული აქვს ფოტო სვეტისა (იხ. ფოტო).

„ერთ ქვეყნის საკვირველებათაგან — წერს გ. წერეთელი — წარმოადგენს კაცხის სვეტი, რომელიც ბუნებით კლდეა, სვეტათ აყვანილი, სიმაღლე ამ სვეტისა უნდა იყოს არა ნაკლებ ოცი საჟენისა. სვეტის თავზე მოჩანს ეკლესიის ნანგრევი. ყველაზე უფრო გასაკვირველი ის არის, რომ რანაირათ აშენდა ამ სვეტის თავზე ეს საკვირველი შენობის ნანგრევი, ვინ აიტანა იქ საშენებელი მასალა, როცა ასავალი სვეტს არსაიდან უჩანს? ადგილობრივი მებატონეები ამბობენ, ვითომ იმ სვეტიდან ჩამოვარდნილიყოს რამდენიმე ვერცხლის ნივთები. ზეპირგადმოცემა კაცხის მცხოვრებთა მოგვითხრობს, ვითომც ამ სვეტზე გაეტარებინოს თავის უკანასკნელი დღეები სვიმეონ მესვეტეს. დღემდის ხალხში დარჩენილა ამბათ, ვითომც ორი კაცი შესული-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კაცხის სვეტი. ფოტო გადმობეჭდილია გაზეთ „კვალიდან“, № 40, 1895 წ.

**Кацхский столп. Фото перепечатано из газеты «Квали» № 40 1895 год.**



კაცხის სვეტი. ფოტო ს. ჯაფარიძის.

**Кацхский столп. Фото С. Джапаридзе.**

ყოს ამ სვეტის თავზე და იქ სვიმეონ მესვეტის ხატი ენახოსთ. იმათ აღთქვეს, არავის ვუთხრათ ეს ამბავიო. როცა ჩამოსულან, გაუმხელიათ და ამის გამო კიდეც დაბრმავებულან. მიუცილებლათ ოდესმე უნდა ყოფილიყო ამ სვეტზე ასასვლელი კიბე, რომელიც ალბათ ჩამოქცეულა. ადგილობრივი მცხოვრებნი გლეხნი მოდებაძენი, ამტკიცებენ, ვითომც იმათ ეკლესიაში დასვენებული სვიმეონ მესვეტის ხატი იმ სვეტიდან იყოს ჩამოსვენებული. სვეტის ძირში ბევრი ძველებური ნანგრევებია და ერთიც ეკლესია არის თავისი სამრეკლოთი“.

1895 წელს გადაღებულ ფოტოზე კარგად მოჩანს გ. წერეთლის წერილში

აღნიშნული მცირე ზომის ეკლესია და სამრეკლო. სამრეკლო [illegible] იმ ადგილზე მდგარა, სადაც 1973 წელს დიდხნოვანი ცაცხვის წაქცევის შედეგად შემთხვევით გაიხსნა ხის ფესვებს ქვემოთ არსებული აკლდამა.

სამწუხაროდ, აკლდამის შესასწავლად მოგვიანებით ჩასულმა არქეოლოგებმა ვერ შესძლეს რაიმე მნიშვნელოვანი მასალის მოპოვება, ვინაიდან არქეოლოგიური ძეგლის კულტურული ფენა საფუძვლიანად იყო გადათხრილი ადგილობრივი „ენთუზიასტების“ მიერ.

სამაგიეროდ საინტერესოდ მოგვითხრობს 1944 წლის კაცხის სვეტის შემსწავლელი პირველი ექსპედიციის მონაწილე მწერალი ლევან გოთუა სვეტის თავზე არსებული აკლდამის შესახებ:

„როცა გამოვწმინდე და მოვთხარე, ადამიანის ჩონჩხს წავაწყდი, მუხის ფესვებში გაკვალთულს და მყარად ჩაწნულს. ძლივს ამოვჭერ ფესვები, ძლივს მოვთხარე.

ერთი ჩონჩხია ძლიერ გამოფიტული, თავის ქალა სრულიად დაშლილა. სჩანს, თავი გასავლისაკენ, ე. ი. დასავლეთისაკენ ჰქონია, იქვე თიხის ჯამის ნამსხვრევი ვნახეთ. ალბათ უკანასკნელ მესვეტის ჩონჩხია და მას დამარხვა აღარ ჰღირსებია. სიკვდილის მოახლოების ჟამს, თავად თუ შესულა აკლდამაში, იქ მიწოლილა სიკვდილის სარეცელზე და ისევ დაგვხვდა, იქნებ ათას წელიწადს შემდგომ, მუხის ფესვებში ჩახლართული და ჩაჭედილი“.[2]

გ. წერეთლის წერილში მოტანილი, ადგილობრივ მცხოვრებთა შორის არსებული ზეპირი გადმოცემა, რომ „ვითომც ამ სვეტზე გაეტარებინოს თავისი უკანასკნელი დღეები სვიმეონ მესვეტეს“, ლეგენდის ჩარჩოებს არ უნდა სცილდებოდეს; შეიძლება ეს იმ დიდი ურთიერთობის მიმანიშნებელი ფაქტის გამოძახილია, რაც ქართველ მოღვაწეებს ჰქონდათ სირიელ მეუდაბნოეებთან.

სვიმეონ მესვეტე უფროსისა (356—459) და მისი საქმის მიმდევარის, სვიმეონ მესვეტე უმცროსის (521—592) სახელებმა, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთათვის მოწესის მაგალითს წარმოადგენდნენ და უდიდესი პოპულარობით სარგებლობდნენ ქრისტიან მორწმუნეთა შორის — სათახადო გამოხატულება ჰპოვა საქართველოს საეკლესიო ცხოვრების ისტორის შემდგომ პერიოდშიც.

სვიმეონ მესვეტის ხატის არსებობა სვეტის თავზე და შემდეგ ამ ხატის მოხვედრა კაცხის „მაცხოვრის“ ეკლესიაში ისეთივე რეალურ მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მეათე საუკუნის ძეგლზე — ოშკის ტაძრის ფასადზე გამოსახული ბარელიეფი სვიმეონისა, ანდა სვანეთში, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ამჟამად დაცული უძველესი ჭედური ხატი სვიმეონ მესვეტისა — რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მესვეტეობა მყარ საფუძველს უქმნიდა ქრისტიანულ მოძრაობას ჩვენში, ჯერ კიდევ ამ რელიგიის გავრცელების ადრეულ ეტაპზე.

ზეპირი წყაროებით კაცხის სვეტთან კონტექსტში მოხსენიება სვიმეონ მესვეტის სახელისა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ საქართველოში სწორედ მესვეტეთა ეს კერა იყო წარმმართველი და მაორგანიზებელი ქართველთა კონტაქტებისა, ანტიოქიისა და შავი, ანუ საკვირველი მთის სავანეთა ქრისტიან მოღვაწეებთან.

სწორედ ტრადიციული აზრის ჩამოყალიბების ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას პროფ. ლ. მენაბდეც, როდესაც ეხება სირიელ მესვეტეთა და კერძოდ სვიმეონ მესვეტე უმცროსის მოღვაწეობას: „მისი გავლენა საგრძნობი იყო ჩვენს ქვეყანაშიც ტრადიციული აზრით, მისი მოწაფენი და მის მიერ გამოგზავნილნი იყვნენ ასურელი მოღვაწენი, რომელთაც ერთობ დიდი როლი შეასრულეს ქართველთა ცხოვრებაში (მათ ააგეს ახალი ტაძრები, დააარსეს მონასტრები, გააჩაღეს ბრძოლა სხვა რელიგის აღმსარებელთა წინააღმდეგ, საფუძველი ჩაუყარეს კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს და სხვა). მართალია ეს ტრადიციული აზრი მეცნიერულად არ დასტურდება, მაგრამ ინტერესს მოკლებული მაინც არაა. იგი მაჩვენებელია იმისა, თუ რა სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა სვიმეონი ქართველთა შორის. ტრადიციული აზრის შემუშავება სწორედ სვიმეონისადმი პატივისცემის ანარეკლია“.[3]

## 2. გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყე

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ბუნების ძეგლთა განყოფილების ინიციატივით მოეწყო გასვლა ადიგენის რაიონში გოდერძის უღელტეხილის გაქვავებული ტყის პასპორტიზაციის მიზნით. გასვლელ ჯგუფში შედიოდნენ: ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ჯაფარიძე, ბუნების ძეგლთა განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლები ს. ჯაფარიძე და ნ. გამცემლიძე.

ბათუმ-ახალციხის გზის მშენებლობის დროს 130-132-ე კილომეტრზე წარმოქმნილი გაშიშვლება, სარმატული ასაკის ვულკანოგენურ-დანალექ ქანებს წარმოადგენს. იგი ზღვის დონიდან 200 მ. ხოლო მდინარის დონიდან 150-200 მეტრ სიმაღლეზეა განლაგებული.

ლანდშაფტი მეტად მრავალფეროვანია და მიმზიდველი, გაშიშვლების თავზე ნაძვნარია, ქვემოთ შერეული ტყე.

ბუხების ძეგლის მიმნიშნებელი ნაშთები ვრცელდება დაახლოებით 2 კილომეტრის მანძილზე. ქანებში ჩანს ნამარხი ფოთლების ანაბეჭდები, ადგილ-ადგილ შემორჩენილია მერქნის გაქვავებული ნაშთები.

იქ, სადაც დღეს ახალციხე-ბათუმის სამანქანო გზა გადის, რამდენიმე მილიონი წლის წინათ მიდამო სუბტროპიკული ტყით იყო დაფარული, სადაც ხარობდა მარაოსებურად გაშლილი პალმები, დაფნის, ქაფურის ხეები, რომელთა მსგავსი მცენარეები დღეს სამხრეთ იაპონიასა და კანარის კუნძულებზე, ინდოეთსა და სამხრეთ ჩინეთში გვხვდება. აქ თბილი ჰავისა და ხშირი წვიმების გამო ტყეებს თითქმის გაუვალს ხდიდა ლელი და ლაქაში, გვიმრებისა და ბუჩქნარების საფარველი.

ვულკანური მოვლენების შედეგად ტყე, თავისი უზარმაზარი ხეებით, ფერფლისა და ტალახის სქელ ფენაში ჩაიმარხა. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში, ბათუმ-ახალციხის გზის მშენებლობის დროს, ადამიანთა თვალწინ მოულოდნელად გამოჩნდა ბუნების ეს საკვირველება, რომელსაც სათანადო სამეცნიერო ლიტერატურაში „გოდერძის ფლორას“ უწოდებენ. იგი, როგორც ბუნების საოცარი ძეგლი, ნაკრძალად არის გამოცხადებული და სახელმწიფო იცავს ხელყოფისა და დაზიანებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ ახალი საოცარი აღმოჩენით გაამდიდრა საქართველოს უძველესი წარსულის ისტორია.

ნასოფლარ ძინძეს მიდამოებში, გაშიშვლებულ ქანებში, გეოლოგებმა შეამჩნიეს მოყვითალო ფერის გაქვავებული ხის საკმაოდ სქელი, გადახრილი ნაწილი, რომელიც ერთი შეხედვით გარეგნულად ვაზის ღეროს უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარეს, რაც კი აქამდე ნაპოვნი, ცნობილი და შესწავლილი ყოფილა გოდერძის წყებაში. „გაქვავებული ხე" გიგანტური ვაზის ღერო აღმოჩნდა.

ნაპოვნმა ნიმუშმა დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 15 მილიონი წლის წინათ არათუ მცირე ზომის, არამედ გიგანტური ვაზიც ხარობდა.[4]

ყოველდღიურ, პრაქტიკულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომელიც გვაიძულებს ყურადღებით დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ბუნება, ამასთანავე გვავალდებულებს გავუფრთხილდეთ, შევინახოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ იგი ისე, რა სახითაც წარმოგვიდგება.

სამწუხაროდ, ამ უნიკალურ ძეგლს ბევრი დამზიანებელი გაუჩნდა. გაქვავებული ხის ნაშთებს იყენებენ კუსტარული საგნების დასამზადებლად და ეწევიან კერძო ვაჭრობას.

საჭიროა ბუნების ძეგლთა დაცვის ორგანოებთან ერთად მეტი აქტიურობა გამოიჩინოს ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ამ უიშვიათესი ძეგლის გადასარჩენად.

### 3. ილიას „განდეგილი" და ბეთლემის მღვიმე

ი. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი" 1883 წელს შეიქმნა. პოემის სიუჟეტად ავტორმა ხევში გავრცელებული თქმულება გამოიყენა და ნაწარმოების პერსონაჟთა მოქმედებაც ბეთლემის მიდამოებში განავითარა.

პოემა ილიას სიცოცხლეშივე გახდა კამათისა და მსჯელობის საგანი.

თანამედროვეთა განსაკუთრებულ ინტერესს, ნაწარმოების ღრმა ფილოსოფიური და მხატვრული სიძლიერით რომ იყო განპირობებული, აორკეცებდა ინტერესი — რამდენად უკავშირდებოდა იგი სინამდვილეს.

ზოგიერთი თვლიდა, რომ ილიას, პოემაზე მუშაობისას შეეძლო ესარგებლა ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით: „მყინვარსა კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდამ, და მით აღვლენ, იტყვიან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ. კვალად ძირსა მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი უდაბნოდ და აწ ცალიერი".

ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" აღწერილი ამწავი მღვდელი იოსებ მოხევის შესახებ, რომელიც ყოფილა „ფრიად სიწმინდის მოყვარე და მემარხული, რომელ ყოველგან განითქვა სთნოება ამისი. ესე ნებითა ღვთისათა აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან მიუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი აბრამისა მამამთავრისა, რომელ ჯერეთცა არავინ

ალსრულ არს მთასა მასა, და მოართო მეფესა ირაკლის ნაჭერი კარვ[illegible]
და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულთმოქმედებისასა და ესრეთ უფლ[illegible]-
ძინა“.

გავრცელებული ლეგენდებისადმი დაინტერესების გამოძახილად, ჭეშმარიტების დასადგენად გადადგმულ პირველ ნაბიჯებად შეიძლება მივიჩნიოთ 1913 წლის 15 დეკემბერს ჟურნალ „Искра“ № 49-ში გამოქვეყნებული მასალა სათაურით — „წმინდა ნინოს ტაძარი“, რომელშიც ვკითხულობთ: „კავკასიის მთიელთა შორის — ინგუშებსა და ხევსურებში დიდი ხანია დადის ხმები, რომ ყაზბეგის მწვერვალზე, მის მიუვალ კლდეებსა და მუდმივ ყინულებში არის რომელიღაც ძველი ტაძრის ნანგრევები. ამ მონათხრობს, ფანტაზიის სფეროს აკუთვნებდნენ და უკანასკნელ დრომდე არ სჯეროდათ, მიუხედავად იმისა, რომ მთიულები მწვერვალზე შესამჩნევ ჯვარს მიუთითებდნენ და ამ ადგილს „წმინდასა“ და „ბეთლემს“ უწოდებდნენ. მხოლოდ მიმდინარე ზაფხულს, ყაზბეგის მყინვარების გამოკვლევას რომ აწარმოებდა, რუსეთის სამთო საზოგადოების, ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა ა. ი. დუხოვსკიმ შესძლო ამ ადგილზე, 12700 ფუტის სიმაღლეზე, ნამდვილად აღმოეჩინა ძველი მონასტრის ნახგრევები, რომელიც გადმოცემით, დაუარსებია საქართველოს განმანათლებელს წმინდა ნინოს. ნანგრევები გერგეთის მყინვარის უშუალო სიახლოვეს არის. შემონახული საძირკვლის მიხედვით, აქ იყო რვა სენაკი და საყდარი. ძველი ტაძარი, უთუოდ დაანგრია არა დრომ, არამედ კატასტროფამ (ყინულის ან კლდეების ჩამოზვავებით), ასე რომ შენობის ხის ნაწილიც კი შემონახულია.

ადგილობრივი პირობების სირთულის გამო, მისაღწევად სამი ასვლა დასჭირდა. პირველი ასვლა მოხდა ივლისში, ბოლო კი სექტემბერში: ჯერ მხოლოდ ადგილის დათვალიერება ჩატარდა, გათხრები კი მომავალი წლისათვის გადაიდო“.

წერილთან ერთად დაბეჭდილია ფოტოები მონასტრის ნანგრევებისა და მასიური კლდის თავზე აღმართული ქვის ჯვარისა (ამჟამად მომტვრეულია).

ხალხის ფანტაზიამ ბეთლემის იდუმალებით მოსილ ისტორიას ერთი საინტერესო დეტალიც დაუკავშირა. „ბეთლემის ბერი“ — ასე შეურქმევიათ ვულკანოგენური ნგრეული შთენილი ქანის 12 მეტრიანი სიმაღლის სვეტისათვის, რომელიც მყინვარწვერის აღმოსავლეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 3100 მეტრზეა აღმართული. დასავლეთის მხრიდან იგი მართლაც განდეგილი ბერის ფიგურას განასახიერებს — ისახება კუზიანი ზურგი, წვერი, ცხვირი, თავზე დახურული კუნკულით. (იგი, როგორც ბუნების იშვიათი ძეგლი, აღრიცხულია და საქართველოს სსრ წითელ წიგნშია შეტანილი).

ას წელზე მეტი გავიდა პოემა „განდეგილის“ შექმნიდან. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ლეგენდებისა და თქმულებების შეჯერებით მიღებულ დასკვნებზე უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა სინამდვილე.

ბეთლემის მღვიმის აღმოჩენამ სავსებით დაადასტურა პოემაში აღწერილი ადგილების რეალობა, ხოლო ამ აღმოჩენებით ბიძგი მიეცა ბეთლემისა და მისი შემოგარენის ათვისებას უკვე მეცნიერული კვლევის საფუძველზე.

პირველი ექსპედიცია მღვიმის ადგილზე შესწავლის მიზნით მოეწყო 1948 წელს, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბეთლემის მღვიმე. კარი და ჯაჭვი. ნახ. ს. ჯაფარიძისა.

Бетлемская пещера. Дверь и цепь. Рис. С. Джапаридзе.

„გამოქვაბული მდებარეობს — წერდა გაზ. „კომუნისტის" ფურცლებზე ალ. ჯაფარიძე, — მწვერვალ ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვანი ქედის ფერდობზე, დაახლოებით 4000-4100 მეტრის სიმაღლეზე. მისი გარეგანი სახე მეტად საინტერესოა: გამოქვაბულის კარი გამოკვეთილია თითქმის 400 მეტრის სიმაღლის შვეულ, მართლაც „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ" კლდეზე. კლდე შორიდანვე განირჩევა თავისი მოწითალო ფერით და სრულიად მიუვალად ეჩვენება თვალს. მანძილი კლდის ფუძიდან კარამდე დაახლოებით 300 მეტრი იქნება, ხოლო კარიდან კლდის წვერამდე 100 მეტრი".[5]

ნანახი ზედმიწევნით დაემთხვა ბეთლემის სანახების ილიას მიერ აღწერილ სურათს.

ექსპედიციის წევრებს განდეგილის სენაკი წარმოუდგათ შემდეგი სახით: ძლივიმე ხელითაა დამუშავებული და მომრგვალებული ფორმისაა. კარის ზემოთ მოთავსებულია სარკმელი, საიდანაც სენაკში დღის სინათლე შედის. ხის კარზე გადაკრულია ორი მილიმეტრის სისქის რკინის ფურცელი. მარცხენა ბოძის ძირში, შიგნით დამაგრებულია ერთმეტრიანი ჯაჭვი, რომლითაც, ალბათ შიგნიდან იკეტებოდა კარი. შუა კარზე მიმაგრებულია 5,5 მეტრის სიგრძის მსხვილი ჯაჭვი რკინისა, რომელსაც ბოლოში გამობმული აქვს ნალისებური რგოლი ხელის მოსაკიდებლად.

ნივთები, რომელიც ამ სენაკში დახვდათ პირველ ამსვლელებს (ჭედური ხატი — დროშა, დაახლოებით მეცამეტე საუკუნისა, სამფეხა ბრინჯაოს შანდალი, ისრისპირი, ეჟვანი, 10 ცალი ძველებური ვერცხლის ფული და სხვა — სულ 20 საგანი), სათანადო მეცნიერული დასკვნების შემდეგ, ამჟამად ექსპონირებულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ბუნებრივია, პირველთაგანნი, რომელთაც ამ აღმოჩენის შემდეგ ინტერე-სი გაუჩნდათ ილიას ლიტერატურულ გმირთა სასპარეზო ადგილების მონახულებისა, იყო ქართველ შემოქმედთა დიდი ჯგუფი, რომელსაც გამოჩენილი მწერალი, მთამსვლელი, ისტორიულ ძეგლთა მოამაგე და ბუნების მესაიდუმლე — ლევან გოთუა ჩაუდგა სათავეში.

ექსპედიცია მოეწყო 1957 წლის სექტემბერში, ბეთლემის აღმოჩენის 10 წლის შემდეგ და მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლის იუბილეს. ჯასში შედიოდნენ: ალ. ჯაფარიძე, ა. გეწაძე, ზ. შერეზადაშვილი, ო. კუპრავა, ე. ყიფიანი. ზ. ლორთქიფანიძე, გ. ქავთარაძე, რ. ინანიშვილი, ე. ქურდიანი, ვ. ძიხაილოვი, ჯ. ლოლუა, ჯ.ჩარკვიანი, გ. თიკანაძე, გ. ყალაბეგიშვილი, ნ. შამანაძე, ლ. სუჯაშვილი, 2 კინოოპერატორი და რადიოკომიტეტის 2 თანამშრომელი. ასვლა, მიუხედავად უამინდობისა, წარმატებით დამთავრდა.

მწერალი ე. ყიფიანი, რომელიც ბეთლემიდან დაბრუნების შთაბეჭდილებებს გადმოგვცემს ნაწარმოებში „მთაწმინდიდან მყინვარამდე“, — აღნიშნავს: „ჩვენ ავაქლარუნეთ ილიას განდეგილისეული ჯაჭვი, წავიკითხეთ ლექსები და ვიწყეთ უკან ჩამოსვლა; პატივცემული ალექსანდრა გვიჩვენებს შორს, მთათა შორის ამაღლებულ ილია ჭავჭავაძის სახელობის მწვერვალს...

ბეთლემის კომპლექსმა, რომელსაც ჩამოსცილდა ლეგენდების ბურუსი, ახალგაზრდა მკვლევარებიც მიიზიდა.

1978 წლის 14-დან 21 ოქტომბრამდე ბეთლემის მიდამოებს ეწვია უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ჯგუფი. ექსპედიციამ შეძლო დაემოწმებინა 1913 წელს ა. დუხოვსკის მიერ აღნიშნული 10 ნაგებობის ნანგრევები და ისინი ბეთლემის მიდამოს ტოპოგრაფიულ სქემაზე დააფიქსირა.[6]

1980 წელს, უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ პ. მარგველაშვილის ხელმძღვანელობით კვლავ მოაწყო კომპლექსური ექსპედიცია ბეთლემის მიდამოების შესასწავლად,[7] რომელშიც მიწვეული იყო ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს არქეოლოგიის განყოფილების გამგე ბ. მჭედლიშვილი.[8] ამ ექსპედიციამ ახალი საინტერესო მასალები მიაკვლია მყინვარის ფერდობზე არსებული სამონასტრო კომპლექსის შესახებ და შექმნა იმის გარანტია, რომ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგას ლეგენდიდან სინამდვილისაკენ.[9]

---

1. ს. ჯაფარიძე — „ვითარცა სვეტი ფრიად მაღალი...“, ძეგლის მეგობარი № 1, კრებული 71-ე, 1986 წ. გვ. 58.

2. ლ. გოთუა — „კაცხის სვეტის საიდუმლო“, „მნათობი“ № 1, 1945 წ. გვ. 36-54.

3. ლ. მენაბდე — „ქართველთა მოღვაწეობის დასაწყისი სირიაში“, „ძველი ქართული მწერლობის კერები“, ტ. II, თბილისი, 1980 წ. გვ. 149-151.

4. დ. ყანდაშვილი — „გაქვავებული ტყის“ საიდუმლო, გაზ. „კომუნისტი“, 18.09.85.

5. ალ. ჯაფარიძე — „ბეთლემის გამოქვაბული აღმოჩენილია“, გაზ. „კომუნისტი“, 1.02 1948 წ.

6. პ. მარგველაშვილი — ბეთლემი, სტეფანწმინდა-სამონასტრო კომპლექსი, „ძეგლის მეგობარი“ № 52, 1979 წ. გვ. 17-23.

7. პ. მარგველაშვილი — სტეფანწმინდის სამონასტრო კომპლექსის ისტორიისათვის, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ № 1, თბ. 1981 წ. გვ. 34-36.

8. ბ. მჭედლიშვილი — არქეოლოგიური მასალები ბეთლემის ქედიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ № 1, თბილისი, 1981 წ. გვ. 36-40.

9. ბ. მჭედლიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი — ბეთლემის მონასტრის არქეოლოგიური მონაპოვარი, „ძეგლის მეგობარი“ № 1, 1986 წ. გვ. 42-50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ქიზიყელაშვილი

# ზოგიერთი ცნობები ბიჭვინთის კონცხისა და ფიჭვის კორომის შესახებ

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბუნების ძეგლთა დაცვას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ამჟამად აზრთა სხვაობას აღარ იწვევს ის მოსაზრება, რომ ბუნების მრავალფეროვნება, მისი გენოფონდი უცილობლად უნდა იქნას დაცული და შენარჩუნებული. ამიტომ ყოველწლიურად მატულობს „სსრ კავშირის წითელ წიგნში" შეტანილი მცენარეების რაოდენობა, რომლებიც იშვიათ და გადაშენების საშიშროების წინაშე მდგომ სახეობებს განეკუთვნებიან.

სსრ კავშირის წითელ წიგნში შეტანილი 444 სახეობის მცენარიდან თითქმის ერთი მესამედი ხე და ბუჩქია, აქედან 26 სახეობის მერქნიანი მცენარე ჩვენი რესპუბლიკის ფლორის წარმომადგენელია (4).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღეისათვის საქართველოში 20 ნაკრძალია, რომლის საერთო ფართობი 154 ათას ჰა-ს აღემატება. აქედან 297 ბიჭვინთის სახელმწიფო ნაკრძალს უკავია, სადაც დაცულია ხმელთაშუა ზღვის უძველესი ფლორის წარმომადგენელი, რელიქტური ენდემი—ბიჭვინთის ფიჭვი. ბუნების ეს უნიკუმი, გვაოცებს თავისი ტანკენარი ვარჯითა და უნიკალური სილამაზით და თუ ბიჭვინთის კონცხი მსოფლიოში ცნობილია შავიზღვისპირა მარგალიტის სახელწოდებით ამას პირველ რიგში ბიჭვინთის კორომის ესთეტიკურ სილამაზესა და უაღრესად დიდ საკურორტო მნიშვნელობას უნდა ვუმადლოდეთ.

ყურადღებას იმსახურებს ბიჭვინთის კონცხისა და ბიჭვინთის ფიჭვის წარმოშობის შესახებ არსებული რამოდენიმე ჰიპოთეზა. ასე მაგალითად, პროფ. როსტოვცევის აზრით (1916), ამ რაიონის შეტწილი აკართობი წარმოადგენს ტაფობს, რომელიც იწყება სოფელ ახალ გაგრასთან და მთავრდება ბიჭვინთის მახლობლად მდებარე სოფელ ლიძავასთან. ჯერ კიდევ უახლოეს გეოლოგიურ ეპოქაში ამ ადგილის მთელი დაბლობი წარმოადგენდა უბეს, სადაც მდ. ბზიფი ერთვოდა ზღვას. მდ. ბზიფის ჩამონარეცხი ქვიშნარის, თიხნარის და შლამის, აგრეთვე, ზღვის გამონარიყი ქვიშრობის დაგროვების შედეგად მოხდა დაბლობის ამაღლება და ეხლანდელი კონცხის წარმოქმნა. ა. დიაჩკოვ-ტარასოვის (1904) აზრით, კონცხის წარმოქმნის აღნიშნული პროცესი უახლოეს გეოლოგიურ ეპოქას განეკუთვნება.

ბიჭვინთის ტაფობის წარმოშობის მოცემული ჰიპოთეზა არ ეწინააღმდეგება იმ უძველეს რომაულ და ბერძნულ ისტორიულ წყაროებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს.

ბიჭვინთის, როგორც უძველესი ქალაქის, ციხე-სიმაგრისა და სავაჭრო ცენტრის შესახებ არსებობს მასალები ქართულ, რუსულ, ბერძნულ და რომაულ წყაროებში (1, 2, 3 და სხვა).

ნ. მურზაკევიჩის ცნობით 600 წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ელინურმა ტომებმა დასახლება იწყეს შავი ზღვის სანაპიროზე — ფაზისში

(ფოთი), დიოსკურიაში (სოხუმი), პიტიუნტში (ბიჭვინთა), პაგრაში (გაგრა) და სხვ.

ბიბლიოთეკა

ყველაზე დიდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა „დიდი პიტიუნტი“, რომელსაც მეტოქეობას უწევდა, მხოლოდ დიოსკურია.

პითიუსი, პიტიუნტი, პიტიუნტა მოხსენიებულია უძველეს ბერძენი და რომაელი ავტორების მიერ და შემდგომ აღნიშნულია შუასაუკუნეების რუკებზედაც (6).

„დიდი პიტიუნტის“ შესახებ ცნობებს იძლევა სტრაბონი (I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე), პლინიუსი (I საუკუნეში), არიანე ნიკომიდიელი (II საუკუნეში), ამიან მარცელინი (IV—V საუკუნეში), ზოსიმე (V საუკუნეში), პროკოფი კესარიელი (VI საუკუნეში), თეოფანე ბიზანტიელი (VIII საუკუნეში) და სხვა (6).

სტრაბონი პიტიუნტს ასახელებს დიდ ქალაქად და ციხესიმაგრედ, ამიანი — საკმაოდ ცნობილ ქალაქად, ზოსიმე — კედლებით შემოვლებულ ქალაქად და ნავმისადგომად, რომელიც სკვითებმა აოხრეს.

პროკოფი კესარიელი იძლევა ცნობებს, რომ ბიჭვინთა წარმოადგენდა ციხექალაქს, ხოლო თეოფილაქტე კი სწერს ნახევარკუნძულ პიტიუნტის არსებობის შესახებ.

პიტიუნტი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ფიჭვით დაფარულ ადგილს, საიდანაც წარმოსდგა სიტყვა „ფიჭვინთა“ და შემდგომ „ბიჭვინთა“. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს ბიჭვინთაში ფიჭვის კორომი მისი (პიტიუნტის) დაარსების დროიდანვე ყოფილა.

არიანეს რუკის მიხედვით მდ. ბზიფი ჰკვეთდა ბიჭვინთის ფიჭვის კორომს და ერთვოდა ზღვას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბიჭვინთა თავისი თვალწარმტაცი და ესთეტიკური ფიჭვის კორომით, ირგვლივ განლაგებული ბაღებითა და უხვმოსავლიანი მინდვრებით, ძველთაგანვე იზიდავდა მეზღვაურებსა და სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურებს.

I საუკუნეში (ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ბიჭვინთა (პიტიუნტი) მოექცა პონტოს მეფის მითრიდატეს გავლენის ქვეშ, რომელიც ფლობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე მობინადრე ტომებს კოლხეთის ჩათვლით.

მითრიდატ დიდის შემდეგ პიტიუნტი მოექცა რომაელების გავლენის ქვეშ და იმპერატორ დიოკლიტიანეს ეპოქაში იგი წარმოადგენდა განდევნილ (მოკვეთილ) ქრისტიანთა გადასასახლებელ ადგილს.

სპარს მეფეთა ასწლიანი ომების დროს პიტიუნტი სპარსელების გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ მალე დატოვეს ბიჭვინთა. შემდეგ ბიზანტიელები შეეცადნენ ქრისტიანობის გავრცელების მიზნით, აქ დაემკვიდრებინათ თავიანთი ბატონობა.

პროკოფი კესარიელის ცნობით ავგუსტ იუსტინიანი ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა იმისათვის, რათა თავისი რეჟიმი დაემკვიდრებინა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე მობინადრე ტომებში. ამ მიზნით 551 წელს მისი ბრძანებით ბიჭვინთაში აგებულ იქნა ტაძარი, რომელიც შემდგომში ფეოდალური ეპოქის საქართველოს უდიდეს ძეგლს წარმოადგენდა.

ისტორიკოს პ. იოსელიანის ცნობით ბიჭვინთა ამ დღიდან დიდ როლს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიჭვინთის ტაძარი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.

**Пицунда. Храм, вид с северо-запада.**

თამაშობს არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების ისტორიაში, არამედ ამ მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

X საუკუნის ბოლოს ბიჭვინთა გახდა ძლიერი სასულიერო ცენტრი.

„დიდი პიტიუნტის“ შესახებ საინტერესო მატერიალური საბუთები იქნა ნაპოვნი 1952 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. ექსპედიციის ხელმძღვანელის ა. აფაქიძის ცნობით, ბიჭვინთის ციხე-ქალაქის აღმოჩენილი ნანგრევები ადასტურებენ ძველი მკვლევარების მტკიცებას, პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ „დიდი პატიუნტის“ არსებობაზე.

ციხე-ქალაქის შიგნით ექსპედიციამ აღმოაჩინა გრანდიოზული კედლები, კოშკები, სხვადასხვა სამეურნეო და კულტურული აღჭურვილობანი, მრავალი კერამიკა, უპირატესად პირველი საუკუნის ტიპის; აქვე აღმოჩენილია დიდი ტაძრის კედლები, იატაკი და სხვადასხვა სახის მინაშენები.

ბიჭვინთის ტაძრის გეგმა დამახასიათებელია ქრისტიანული ქართული ხუროთმოძღვრებისთვის. ქართველ მემატიანეთა ცნობით ბიჭვინთაში ისხდნენ და თავიანთი კათედრები ჰქონდათ კათალიკოსებს ევდემონ პირველიდან მოყოლებული ევდემონ მეორემდე, მალაქია პირველს და მალაქია მეორეს, მაქსიმე, გრიგოლ და ზაქარია პირველს.

1658 წელს ზაქარია პირველმა თავისი კათედრა ბიჭვინთიდან ქუთაისში გადაიტანა თურქების ველური თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით. მას შემდეგ ქართველი კათალიკოსები ყოველწლიურად აგვისტოს თხუთმეტში

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბიჭვინთა. ნაქალაქარი. რვაკუთხა კოშკი. ხედი აღმოსავლეთიდან.

Пицунда. Городище, восьмиугольная башня, вид с востока.

ჩადიოდნენ ბიჭვინთაში, საეკლესიო ცერემონიალის ჩატარების მიზნით.

როგორც ჩანს ბიჭვინთა ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც ქალაქი „დიდი პიტიუნტის“ სახელწოდებით, სადაც ფართოდ იყო განვითარებული ვაჭრობა. იგი წარმოადგენდა აგრეთვე უწმინდეს „სამლოცველო“ და „მირონცხების“ ადგილს.

ბიჭვინთის მონასტერი ფლობდა ვრცელ მამულებს, რომლებიც მას საჩუქრად მიუძღვნეს საქართველოს მეფეებმა. ბიჭვინთაში წარმოებდა მირონის ზეთის მოდუღება მთელი მართლმადიდებელი ამიერკავკასიისათვის.

ბიჭვინთის და მისი ტაძრის ხშირი სტუმრები იყვნენ გენუელები. ღვთისმორწმუნე გენუელმა მეზღვაურებმა ტაძარს საჩუქრად მიუძღვნეს ზარი, რომელიც დათარიღებულია 1529 წლით.

ფრანგი მოგზაურის შარდენის ცნობით, XVIII საუკუნეში ბიჭვინთა აოხრებული და მიტოვებული იყო.

XIX საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის სანაპიროზე ჩნდებიან რუსის ჯარები და ბიჭვინთა ექცევა რუსეთის ხელისუფლების ქვეშ.

ბიჭვინთის ფიჭვის კორომი ცნობილი იყო უძველესი დროიდან. იგი სხვადასხვა ეპოქის ხალხთა ყურადღებას იპყრობდა შავი ზღვისპირეთის ფოთლოვანი ტყის ჯიშების ფონზე.

ბიჭვინთის ფიჭვის პოპულარობა განპირობებული იყო იმითაც, რომ ბიჭვინთის კონცხი წარმოადგენდა ნავსადგურს.

ა. როსტოვცევის აზრით ბიჭვინთაში ფიჭვის კორომის წარმოშობის თარიღად XVI საუკუნე უნდა მივიჩნიოთ. ბიჭვინთის ფიჭნარის წარმოშობის ისტორიის ასეთ შეხედულებას ყველა მკვლევარი არ იზიარებს. ასე მაგალი-

თად, ვ. ბ. მალეევი, რომელმაც ჩაატარა ბიჭვინთის ფიჭვის ბოტანიკური გამოკვლევა, ზემოხსენებული ა. ა. როსტოვცევის დასკვნას არასწორად თვლის კორომის ბუნებრივობაზე, წერს მალეევი, — როგორც ბოტანიკურ მთლიანობაზე, პირველ რიგში ლაპარაკობს საერთოდ ბიჭვინთის მთელი რაიონის მცენარეულობის ხმელთაშუაზღვიური ხასიათი. მეორეს მხრივ, ის დიდად მნიშვნელოვანი არგუმენტი, რომ ბიჭვინთაში უძველესი დროიდან არსებობდა დიდი ფიჭვნარი (ისტორიულ-არქეოლოგიური მონაცემებით), საიდანაც თვით ქალაქის სახელწოდება მომდინარეობს.

როგორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზებიც არ უნდა არსებობდეს ბიჭვინთის ფიჭვის წარმოშობის შესახებ, ერთი ცხადია, რომ იგი შავი ზღვის სანაპიროს ბუნების უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს და საჭიროებს სახელმწიფო დაცვას.

სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო, აგრეთვე სახეობების დაცვის მიზნით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის 9 თებერვლის დადგენილებით ბიჭვინთის ფიჭვი გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო ნაკრძალად.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში, იქ, სადაც საკითხი ეხება გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, ხაზგასმით არის აღნიშნული: დავამთავროთ ბალტიის, კასპიის, შავი და აზოვის ზღვების აუზების დაცვის ძირითად ღონისძიებათა შესრულება... ნიადაგ გავაფართოოთ მავნებლებისა და დაავადებებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის დაცვის ადამიანისათვის უსაფრთხო მეთოდების გამოყენება.

გავაფართოოთ ქალაქებისა და დაბების მწვანე ზონების შექმნა და გავაუმჯობესოთ მათი კეთილმოწყობა, გავაფართოოთ ნაკრძალების, ეროვნული პარკების, ნაკრძალი ტყეებისა და სხვა დაცული ტერიტორიების ქსელი. გავაძლიეროთ მცენარეთა და ცხოველთა დაცვის, გამრავლებისა და რაციონალურად გამოყენებისათვის მუშაობა.

აი რა პერსპექტივები ისახება ბიჭვინთის კონცხისა და იქ არსებული კორომის ხელახალი აღორძინების მიზნით.

---

1 Батонишвили Вахушти — География Грузии. Зап. Кавказ. отд. ИРГО, том XXXIV, вып. 5, 1904.

2 Григолия А. Л. — Гагрская группа курортов, Москва, 1956.

3 Дьячков-Тарасов А. — Гагра и ее окрестности. Зап. Кавк. ИРГО, книжка XXIX, вып. 14, Тифлис, 1904.

4 Красная книга СССР. М., 1978.

5 Малеев В. П. — Пицундская сосновая роща. Тр. Абхазского научного общества, том I, вып. 2, Сухуми, 1927.

6 Меликсет-Беков Л. М. Древнейшая Пицунда у понта евксинского. Зап. КИРГО, кн. XXIX, вып. 4, Тифлис, 1916.

7 Ростовцев А. А. — Пицундская сосновая роща, как памятник природы. Зап. Кавк. отд. ИРГО, кн. XXIX, вып. 14, Тифлис, 1916.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მადლენა მირიანაშვილი, ქეთევან მუშკუდიანი

# რუსთაველის თეატრის შენობა

მიმდინარე წლის დასაწყისში, რუსთაველის პროსპექტის შენობათა მწკრივში კვლავ მწყობრში ჩადგა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის განახლებული შენობა. აღდგენილი თეატრის გახსნას ყველა მოუთმენლად ელოდა. ამ საყურადღებო მოვლენას არაერთი აღფრთოვანებული წერილი მიეძღვნა, რამაც, ბუნებრივია, თეატრის წარსულის გახსენების სურვილი გამოიწვია. ცნობილია, რომ თეატრის შენობის ასაკმა, კარგა ხანია, 80 წელს გადააბიჯა.

რუსთაველის სახელობის დღევანდელი თეატრი XIX—XX სს მიჯნაზე აშენდა. მისი მშენებლობა კერძო კაპიტალის საფუძველზე განხორციელდა. თბილისელი სოვდაგრებისაგან შემდგარმა აქციონერთა საზოგადოებამ იგი უხვად დააფინანსა, რამაც მშენებლობის დროულად და წარმატებით დამთავრება განაპირობა. ამის გამო, თეატრის შენობა გაცილებით სწრაფად აგეს (ორ წელსა და სამ თვეში), ვიდრე თბილისის სახაზინო (ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო) თეატრი, რომლის მშენებლობას სახაზინო უწყება განაგებდა და იგი საკმაოდ გახანგრძლივდა (1880—1896 წწ.).

თეატრის ახალი შენობის აგება დღის წესრიგში დადგა და გადაუდებელ ამოცანად იქცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1897 წლის დეკემბერში „არტისტული საზოგადოების" შენობის ძირითადი ნაწილი ხანძარმა გაანადგურა. გაზეთ „ივერიის" ცნობით, სცენა თავისი დეკორაციებით და დარბაზი მთლიანად დამწვარა, ხოლო წიგნთ-საცავი და სხვა ოთახები გადარჩენილა. ზარალი 60 ათას მანეთად ყოფილა დაზღვეული. „არტისტული საზოგადოება" (იგი 1888 წლიდან არსებობდა) დროებით ისევ გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) პროსპექტზე გენერალ-მაიორ ნ. ი. რეიტერისაგან შეძენილ ძველ შენობაში იყო თავშეფარებული. ერთ-ერთი საგაზეთო ცნობიდან ვიგებთ, რომ შენობის მეტისმეტი სიძველისა და ავარიულობის გამო თბილისის პოლიცმეისტერის განკარგულებით დაუხურავთ აქვე მოთავსებული საბირჟო ტრაქტირი „გურია".

1898 წ. თეატრის ახალი შენობისათვის შეარჩიეს პროსპექტზე დარჩენილი ერთადერთი თვალსაჩინო თავისუფალი ადგილი, რომელიც ისევ ნ. რეიტერისაგან შეიძინეს. ამავე წლის დასაწყისში „არტისტული საზოგადოების" საბჭოს სხდომაზე განიხილეს სამი პროექტი, რომელთა ავტორები იყვნენ არქიტექტორები: შტერნი, შიმკევიჩი და ტატიშჩევი. საუკეთესო პროექტისათვის პრემია ათასი მანეთით განისაზღვრა. უპირატესობა ა. შიმკევიჩისა და კ. ტატიშჩევის პროექტს მიანიჭეს. მათ დაევალათ მეთვალყურეობა მშენებლობისათვის, რომლის დამთავრებას მომავალი წლის შემოდგომაზე ვარაუდობდნენ. ამავე წლის 6 ნოემბერს ორ საათზე თეატრის შენობას საძირკველი ჩაუყარეს. ამასთან დაკავშირებით შედგა საზეიმო ცერემონიალი, რომლის დრო-



შოთა რუსთაველის სახ. თეატრის შენობა.

Здание театра им. Ш. Руставели.

საც საძირკველში ჩაატანეს თარილის აღმნიშვნელი ლითონის დაფა სათანადო წარწერით.

პროექტის მიხედვით, შენობა ქუჩის მხრიდან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო. სარდაფში მოთავსდებოდა რესტორანი, პირველ სართულზე — მაღაზიები, მეორე და მესამე სართულზე — „არტისტული საზოგადოება". მას ექნებოდა საკონცერტო დარბაზი და ეზოს შიგნით — თეატრი 900 მაყურებლისათვის. მშენებლობის დროს დიდი ყურადღება მიექცეოდა სცენისა და ვენტილაციის მოწყობას.

1900 წ. გაზეთ „ცნობის ფურცელში" ქალაქის ერთერთი ხმოსანი თეატრის წინ ვერანდის (ცენტრალური პორტიკი სვეტებით, რომლის ქვეშ ქვაფენილი გადის) მიშენების წინააღმდეგ გამოვიდა. იგი მოითხოვდა ქალაქის საბჭოში განეხილათ საკითხი ქალაქის გამგეობისა, რომელმაც უკანონოდ გასცა მიშენების ნებართვა. ხმოსნის მიერ აღძრულმა საკითხმა უშედეგოდ ჩაიარა.

მშენებლობის პროექტი საბოლოოდ ორ ძირითად მიზანს ისახავდა: აეგოთ ევროპული ტექნიკის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით თეატრი, რომელიც საზოგადოების მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა და ამავე დროს — მოხერხებული, კეთილმოწყობილი საკლუბო შენობა. თანამედროვეთა შეფასებით, არქიტექტორებმა ორივე მიზანს მიაღწიეს.

1901 წლის 6 თებერვალს თეატრის საზეიმო გახსნას ადგილობრივმა გაზეთებმა ვრცელი წერილები უძღვნეს. მათ შორის, გაზეთმა „კავკაზმა“ მთლიანად მიმოიხილა და დაწვრილებით აღწერა ახალი სათეატრო შენობის ყოველი კუთხე-კუნჭული. ჩვენ მასზე ვრცლად აღარ შევჩერდებით, რადგან განახლებული თეატრის ნახვა დღეს ყველას შეუძლია. ამიტომ იმდროინდელი შენობის მხოლოდ მნიშვნელოვან მხარეს შევეხებით.

გაზ. „კავკაზი“ განსაკუთრებით მაყურებელთა დარბაზს აქებდა, რომელიც „როკოკოს“ სტილში იყო შესრულებული. იგი თავისი პარტერით, ლოჟებით, ბენუარით და იარუსებით სულ 810 კაცს იტევდა. „სალებავთა წყნარი ტონები თვალისათვის ფრიად სასიამოვნოა. საერთო სტილს ლოჟების ოქროსფერი გადასაკრავი კარგად ეხმება არაფერია მყვირალა და ფერთა სრული ჰარმონიის დამრღვევი. როცა ამ თეატრში შედიხარ სული ნათდება, ხარობს და სიამოვნებს... გარშემო ყველგან სივრცე და სიმყუდროვე იგრძნობა. მთელს თეატრში არ არის არცერთი ადგილი, საიდანაც სცენა კარგად არ ჩანდეს. ამ მხრივ, როგორც პირველი რიგის სავარძელი, ისე ზემოთა იარუსის ბოლო სკამი, სავსებით ერთნაირია“ — წერდა გაზეთი. ცხადია, დარბაზის მთავარი ღირსება ის იყო, რომ ყველა ადგილიდან სცენა კარგად ჩანდა. ეს არქიტექტორთა და მშენებელთა დიდ დამსახურებას მიეწერება, რომელთაც დარბაზს ოდნავ გაგანიერებული ნალის ფორმა მისცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეულ სავარძელთან შეიძლებოდა შლიაპისა და ბინოკლის მოთავსება.

თეატრის განსაკუთრებული ღირსება იყო, იმ დროისათვის უჩვეულო, მბრუნავი სცენა. იგი, შესვენების გარეშე, დეკორაციების სწრაფად შეცვლისა და ანტრაქტების შემცირების საშუალებას იძლეოდა. ერთ-ერთი საგაზეთო სტატიის ავტორი აცხადებდა: „რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მთელს რუსეთში დღემდე ასეთი სცენით მხოლოდ ერთი თეატრი არსებობს — ეს არის მოსკოვის მცირე თეატრი, ესე იგი ჩვენი... თეატრი ამ მხრივ რიგით მეორე იქნება“. იმ დროისათვის კარგად იყო გადაწყვეტილი კულისების ტექნიკური მხარე, რაც დეკორაციების მოძრაობას აადვილებდა. გამოყენებული დეკორაციები საგანგებო მოწყობილობით სცენის ქვეშ, პირდაპირ საწყობში ეშვებოდა. სცენას ათასორასი ნათურა ანათებდა. გარდა ამისა, შუქების განსაკუთრებული ეფექტისათვის, საგანგებო გახათება იყო მოწყობილი. ელექტროგაყვანილობა, რომელიც შუკერტის ფირმამ შეასრულა, მრავალფეროვნებითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა. თავის დროზე, მას დიდი მოწონება ჰქონდა არა მარტო ტექნიკური, არამედ თითოეული დარბაზისა თუ ოთახის სტილისათვის განათების შერჩევის მდიდრული და მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულების გამო.

მარმარილოს კიბეები და მოსაცდელი „მოდერნის“ სტილის ორნამენტთა ნაირფეროვნებითა და ზღაპრული ფერებით ბრწყინავდა. უნდა შევნიშნოთ, რომ თეატრის შენობის ცალკეული დარბაზები და ოთახები, დერეფნები თუ მოსაცდელები ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მხატვრული სტილით იყო გაფორმებული: დიდი საკონცერტო დარბაზი ლუდოვიკო XV სტილში იყო გადაწყვეტილი, მცირე დარბაზი — დირექტორიის ეპოქის სტილში, მის გვერდით სასტუმრო ოთახი — მოდერნის, მარცხნივ მცირე დარბაზი — გერმანული რენესანსისა. ხოლო ქალთა სასტუმრო ოთახი დეკადენტურ სტილში იყო შესრულებული. რენესანსის სტილის სასადილო, სარკეებიანი

ოთახი, ხალხთა მასის უსასრულობის შთაბეჭდილებას ქმნიდა. თითოეულ იარუსზე ცალ-ცალკე იყო ქალთა და მამაკაცთა ფოიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახიობთა კლუბში ასასვლელად სათადარიგო კიბეები იყო, რომელიც შემდგომ ამწევი მანქანით (ჩანს, ლიფტი იგულისხმება) უნდა შეეცვალათ. კლუბის წევრებისათვის აქ იყო ვრცელი სამკითხველო დარბაზი, აღმოსავლური სტილის სასტუმრო ოთახები, დიდი სასადილო, საბილიარდო, ჭადრაკის, ნარდის და სხვა გასართობი ოთახები. დიდი და კარგად მოწყობილი სამზარეულო სურსათ-სანოვაგის შესანახი მრავალი სათავსით და უზარმაზარი საყინულეთი, საკულინარიო სკოლის უახლესი მოთხოვნების დონეზე ამარაგებდა რესტორანსა და სასაუზმეს.

თეატრში დაცული იყო ხანძრის შემთხვევაში უსაფრთხოების წესები. მაყურებელთა დარბაზს ექვსი ღია გასასვლელი ჰქონდა. ჩატარებული ცდის მიხედვით, სავსე დარბაზი ერთნახევარ წუთში იცლებოდა. ყველა კუთხეში ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობა იყო. მარტო სცენაზე ექვსი სახანძრო ონკანი იდგა. აქვე იყო საწვიმარი დანადგარი, რომელსაც სწრაფად შეეძლო მთელი სცენის დატბორვა. გარდა ამისა, ჰქონდათ ორთქლის სათადარიგო ტუმბო.

შენობაში ცალკე იყო სამანქანო, გამთბობი, სავენტილაციო და გასანათებელი განყოფილებები. ორთქლის მანქანების გარდა, იმ დროისათვის ყურადღებას იქცევდა აკუმულატორი. იგი ისე იყო გათვლილი, რომ ერთი საათის განმავლობაში შეეძლოთ ოთხი ათასი ნათურის განათება. ორთქლის ქვაბებში ნადუღი რომ არ მოგროვილიყო, ამისათვის არსებობდა წყლის გამწმენდი ბაკები, რომელთა მეშვეობით წყლის შემადგენლობა ქიმიურად იცვლებოდა. სამანქანო განყოფილებაში ორთქლის ქვაბები მაზუთზე მუშაობდა, რაც თეატრის გარშემო მიდამოს აჭუჭყიანებდა. ამის შესახებ გაზ. „კავკაზი“ თბილისის ქრონიკაში შემდეგ ცნობას აქვეყნებდა: „მილიდან გამომავალი სქელი კვამლი და ჭვარტლი, რომელიც ქარხნის მილს გვაგონებს, მოღრუბლულ ამინდში ეფინება გოლოვინის პროსპექტს და მიმდებარე ქუჩებს, ჭვარტლავს სახლებს და მცხოვრებთ ფანჯრის გაღებისა და აივანზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევს“. ასეთი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ავტორი რჩევასაც იძლეოდა.

თეატრს ჰქონდა კარგად მოწყობილი, ძალზე რთული სავენტილაციო სისტემა იგი შედგებოდა მიმღები კამერისაგან, სადაც სუფთა ჰაერი ეზოდან, ოთხი საჟენის სიმაღლიდან შედიოდა. იგი ან თბებოდა, ან პირდაპირ შედიოდა ელექტრო ვენტილატორების საშუალებით შენობის სარდაფის ქვეშ მოწყობილ განმანაწილებელ სათავსებში. აქედან ჰაერი მთელ შენობაში ნაწილდებოდა.

1901 წ. 8 თებერვალს თეატრმა სეზონი გახსნა. ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის აღსანიშნავად წარმოადგინეს გრიბოედოვის სპექტაკლი „ვაი ჭკუისაგან“.

---

**ლიტერატურა:** თ. გერსამია, ძველი თბილისი, 1984, Г. Хуцишвили, Тбилиси через века и годы, 1981.

„ივერია“, 1987, № 266; „ცნობის ფურცელი“, 1898, № 545, № 674. 1900, 1069 № 1315, „კვალი“. 1901, № 6, «Тифлисский листок» 1898, № 173, 219, № 254. «Кавказ» 1901, № 35, 36, 37, 38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარ ხუბულაშვილი

## ბუდაპეშტის გამოფენაზე

1986 წლის სექტემბერში მოეწყო რიგით 84-ე საერთაშორისო ბაზრობა. გამოფენაზე მსოფლიოს 35 ქვეყანამ წარმოადგინა ფართო მოხმარების საქონელი. საბჭოთა ექსპოზიციაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. საქართველოს თემატიკურ განყოფილებას დათმობილი ჰქონდა 500 კვმ ფართობი. ექსპონატები, თემატური მასალა, ვიდეოფილმები აცნობდნენ დამთვალიერებელს რესპუბლიკის მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის დარგში. გამოფენის გახსნისას და შემდეგაც არაერთხელ აღინიშნა, რომ ექსპოზიცია, როგორც შინაარსობრივად, ასევე მხატვრული გაფორმებითაც მიმზიდველი და დახვეწილი იყო და გამოირჩეოდა მკვეთრი ეროვნული ხასიათით. ამ ხასიათის შექმნას ხელი შეუწყო საინტერესოდ წარმოდგენილმა ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ. საქართველოს ეთნოგრაფიული თავისებურებანი, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, უნდა წარმოგვედგინა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხალხური რეწვის განყოფილებასაც. ჩვენ დავალებული გვქონდა გამოფენაზე პრაქტიკულად გვეჩვენებინა ხალხური რეწვის ერთი რომელიმე დარგი. არჩევანი შევაჩერეთ ქსოვილების დაჩითვის ტექნიკაზე. ხელოსნობის ეს დარგი საქართველოში XX ს. დასაწყისამდე ფუნქციონირებდა და დღეისათვის ჩვენამდე, მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილმა მოჩითულმა ნიმუშებმა მოაღწია. ტექნოლოგიური პროცესი კი აღუწერელი და უცნობი იყო. განყოფილებაში, დავით ციციშვილის ხელმძღვანელობით, აღვადგინეთ ქსოვილების მოჩითვის ძველებური ხერხები, დავამზადეთ მოსაჩითი ყალიბები. ლაბორატორიაში გამოფენის ექსპოზიციისათვის მოვჩითეთ სუფრისა და ბოხჩის ტიპის და საკაბე ქსოვილის ნიმუშები. დავამზადეთ ორი ლურჯი სუფრა. ქსოვილების დაჩითვის ჩვენს მიერ აღდგენილი ტექნიკა, ძველებურად, კვლავ ხელით შრომაზეა დაფუძნებული. ეს კი ოსტატს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნებისა და მეტი მრავალფეროვნების მიღწევის საშუალებას აძლევს. დამთვალიერებელი ამას კარგად ხედავდა, როგორც ექსპოზიციიდან, ასევე ჩვენი პრაქტიკული საქმიანობითაც. შთაბეჭდილებების წიგნში გაკეთებული ჩანაწერებიდან და პრესაში გამოქვეყნებული მასალებიდანაც კარგად ჩანს, რომ გამოფენის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ყველაზე ხალხმრავალი კუთხე, სწორედ ქართული ხალხური რეწვის კუთხე იყო. სტუმრების უმრავლესობა გამოთქვამდა სურვილს, თვითონაც მოესინჯა ძალები და დაჩითვის შემდეგ საკუთარი შემოქმედების ნიმუშები თან მიჰქონდა. მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, მომსვლელები ჩემთან აქტიურ კონტაქტს ამყარებდნენ. ყველას აინტერესებდა იმ უფერო გამჭვირვალე ხსნარის შემადგენლობის გაგება, რომელიც თეთრი ფერის ქსოვილზე მოხვედრისას ფერს იცვლიდა და შავ ანაბეჭდს ტოვებდა. იმის გაგება, რომ ყველა ეს ყალიბი (ადამიანის ხელით გაკეთებული საჩითავი), ხოლო ტექნოლოგიური პროცესი ძველი რეცეპტებით, ე. ი. მხოლოდ ბუნებრივი საღებავი საშუალებების გამოყენებით ხდება, ერთიორად აღვივებდა მათ ინტერესს და იწვევდა აღტაცების და მადლიერების გრძნობას. ხელობის პოპულარობამ იქამდე მიაღწია, რომ მე იძულებული გავხდი გამოფენაზე სამუშაოდ წაღებული ქსოვილი პატარ-პატარა ნაჭრებად დამექუცმაცებინა და ამით ნაწილობრივ მაინც დამეკმაყოფილებინა მოთხოვნილება ამ უჩვეულო სუვენირზე. გამოფენაზე მოსულ ოფიციალურ და საპატიო სტუმრებსაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მათ თვალწინ შექმნილი საჩუქარი. იყო შემთხვევა, როდესაც უსაჩუქროდ დარჩენილმა დამთვალიერებელმა, გამოფენის დირექციას მიაკითხა თხოვნით ექსპოზიციიდან ერთი, თუნდაც ყველაზე პატარა ნიმუშის მისაღებად.

ჩვენთვის სასიამოვნო იყო, რომ ბუდაპეშტის საერთაშორისო ბაზრობაზე მონაწილე არცერთ სხვა ქვეყანას მსგავსი რამ არ წარმოუდგენია. ეს ხალხური რეწვის განყოფილების საქმიანობის პირველი გასვლა იყო საერთაშორისო ასპარეზზე. პირველი გასვლა და პირველი დიდი წარმატება. ბუდაპეშტის საერთაშორისო ბაზრობის ადმინისტრაციამ საქართველოს სსრ თემატური განყოფილება, გამოფენის წარმატებით მომზადებისა და ჩატარებისათვის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა. გვიხარია, რომ მცირე წვლილი ამ საქმეში ჩვენც მიგვიძღვის.

სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ, გამოფენაზე საინტერესო მუშაობისა და მრავალფეროვნული საბჭოთა ხელოვნების აქტიური პროპაგანდისათვის, ამხ. ო. ს. ხუბულაშვილს, გამოფენის სხვა ოთხ თანამშრომელთან ერთად მადლობა გამოუცხადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ლუკავა

# ვიზრუნოთ კულტურის ძეგლებისათვის

რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვას. ისტორიის ძეგლებისა და კულტურულ ღირებულებათა დაცვა ხომ თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური მოვალეობაა. ძეგლები ჩვენი სახელოვანი წარსულის უტყუარი მემატიანე, ჩვენი წინაპრების ნააზრალ-ნაფიქრალისა და შემოქმედების მეისტორიენი არიან, ამიტომ მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, დაინტერესებული უნდა იყოს ამ საგანძურთა დაცვით, მოვლა-პატრონობით.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებისადმი ყურადღება განსაკუთრებულადაა გამახვილებული საქართველოში. ამ მხრივ ჩვენს ერს ბევრი რამ აქვს საამაყო, მათ შორის, საქვეყნოდ განთქმული ტაძრები, ეკლესიები, ციხე-კოშკები. ისტორიისა და კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობაზე, მათ შეკეთებასა და რესტავრაციის საკითხებზე მუშაობს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება. თუ რამდენად დიდ და ეროვნულ საქმეს აკეთებს ეს საზოგადოება, ამის ნათელი დასტურია ჩვენი დედაქალაქი, მრავალჭირგამოვლილი უძველესი კოლორიტული ქალაქი — თბილისი, რომლის ძველი უბნებისა და ისტორიული ადგილების აღდგენა ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს ღონისძიება პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ხორციელდება. ქალაქის რესტავრირებული ძველი უბნები ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს. თბილისი საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრების, თითოეული ქართველის სიამაყეს წარმოადგენს. ჩვენ, ყველა უნდა ვიყოთ დაინტერესებული ამ კეთილშობილური საქმით.

მთელს ჩვენს რესპუბლიკაში რეგიონების მიხედვით ტარდება რაიონის, სოფლის, უბნის სახიკეთო ღონისძიებები. სწორედ ეს ამოძრავებთ დღეს წალენჯიხის რაიონის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, მის პირველად ორგანიზაციებსა და ძეგლის მოყვარულებს, რომლებიც გულმოდგინედ ეკიდებიან კულტურის ძეგლების დაცვის საქმეს და სისტემატურად ახორციელებენ ღონისძიებებს ამ მიმართულებით.

სწორედ ამის შედეგია, რომ რაიონში არსებული სხვადასხვა სახეობის 23-ზე მეტი ძეგლი მზრუნველობითაა გარემოცული. წალენჯიხის წმინდა მაცხოვრის ტაძარი კულტურის კერადაა გამოყენებული. ამ ბოლო წლებში აქ გაიხსნა მრავალპროფილიანი სახალხო უნივერსიტეტი, რომელიც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ძეგლის ტერიტორია, მოვლილი და კეთილმოწყობილია. ასევე ყურადღების ცენტრშია სხვა ძეგლებიც, რომლებიც შედარებით, მოშორებულია დასახლებას, მართალია, ზოგიერთ სოფელში არის ინტერესი და მისი შედეგებიც, მაგრამ მთელ რიგ სოფლებში ენთუზიაზმი ერთგვარად შენელდა, რაც არასასურველი მოვლენაა. იმისათვის, რომ ეს ყურადღება იყოს მუდმივი, სისტემატურად, ყოველი წლის ოქტომბრის თვეში, რაიონში ეწყობა მასობრივი ტრადიციული ღონისძიება — ძეგლთა დაცვის ორკვირეული, რომელშიც ჩაბმულია ძეგლთა დაცვის 60-მდე პირველადი ორგანიზაცია.

ამ დროს ძირითადად გათვალისწინებულია ძეგლების ტერიტორიის, მისასვლელი ბილიკებისა და გზების გაწმენდა-დასუფთავება, სანიტარული პირობების შექმნა, შესაძლებლობის ფარგლებში, ძეგლზე მცირე მასშტაბის სამუშაოების ჩატარება (შეკეთება), ტერიტორიის გამწვანება. აქვე ხდება ახალგაზრდობის შეკრება, ძეგლის ისტორიის შესწავლის მიზნით ექსკურსიების მოწყობა, ანოტაციების წაკითხვა და სხვ. 1986 წ. 15-30 ოქტომბერი ძეგლთა დაცვის ორკვირეულად იყო გამოცხადებული. ამ ღონისძიებაში გულმოდგინეობა გამოიჩინეს ქალაქის პირველმა საშუალო სკოლამ, ობუჯის, ჯგალის, ჯვარის, მელანის, ჰალეს, ფახულანის საშუალო სკოლებმა. ახალგაზრდობის მხარდამხარ ამ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ ხანდაზმულები, ძეგლის მოყვარულები. ძეგლების ქომაგებს შორის უნდა აღინიშნოს გ. გოგუა, ჟ. კაკაჩია, დ. მორგოშია, ა. შანავა, გ. სალია, გ. ნარსია, დ. მაჰარაშვილი, რ. ფიფია, გ. შონია, ბ. შონია და სხვები.

ორკვირეულის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის საზოგადოების რაისაბჭოს დაწესებული აქვს პრიზები, ფასიანი საჩუქრები, როგორც პირველადი ორგანიზაციებისათვის, ასევე აქტივისტებისათვის. ამ კეთილშობილურ საქმეში თავისი წვლილი შეაქვთ მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების პირველად ორგანიზაციებს. მაგ. ჩქვალერის კომკავშირის სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯგალის საშ. სკოლის მოსწავლეები სკურის ციხე-კოშკის ტერიტორიის დასუფთავების დროს.

Учащиеся Джгальской средней школы во время уборки территории скурской крепости.

კოლმეურნეობამ (თავ-რე რევაზ ჭანტურია) თავისი სახსრებით შეაკეთა სოფელში არსებული XVIII საუკუნის „ლეშამუგეს" ეკლესია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს აქ ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ რეაგირების გარეშე არ დარჩება არც ერთი კეთილი საქმე.

შედეგები ბევრგან სასიკეთოა, მაგრამ სამწუხაროდ არის ფაქტები, როცა ყველგან მთელი გულისყურით არ უვლიან ძეგლებს. ასე მაგ. წლების მანძილზე უყურადღებოდაა მიტოვებული სოფელ საჩინოს" კუხეშის" ეკლესია, მაშინ, როდესაც იგი უმნიშვნელო შეკეთებას მოითხოვს. ამასთან, საყურადღებოა ერთი გარემოებაც — დაბა ჯვარის ტერიტორიაზე, ჯვარზენის უბანში, ყოფილა ე. წ. „ტრიკონქის" სტილის ეკლესია, რომლის ნანგრევებიც ამ 20-25 წლის წინათ უნახავს კულტურის ძეგლების დიდ მოამაგეს, პროფ. პარმენ ზაქარაიას. დღეს ის ნანგრევებიც აღარ არსებობს. ამჟამად, მიღებულია ადგილობრივი საზოგადოების მიერ ზომები, რათა შეკეთდეს და პირვანდელი სახით აღდგეს ეს ეკლესია.

საზოგადოებას სკურში და მაცხოვრის ეკლესიაზე აქვს ხალხური, ყოფისა და ხუროთმოძღვრების ძველი ყოფის ნივთების მუზეუმ-გამოფენა. აქვეა მოწინავე მეფი ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებების მიერ მოწყობილი მუშაობის პროცესში გადაღებული, ფოტო სტენდი. ეს გამოფენაც გამდიდრებას, ახალ ექსპონირებას მოითხოვს. საჭიროა ამ მუზეუმებისათვის მშვენიერი საინტერესო შენობისათვის, აგრეთვე მეტად კეთილმოწყობილ პიონერთა და მოსწავლეთა სახლისათვის შევაგროვოთ ნივთები, რომლებიც თითქმის ყველა ძველებურ ოჯახში არის შემორჩენილი.

## ᲙᲕᲐᲚᲘ Ნ. [illegible]ᲚᲘ

(ამაგდარის გახსენება)



პირველი ტაძარი, კაცხის „მაცხოვარი“ იყო, მშობლიური ჭიათურის რაიონში რომ აღადგინა, შემდეგ თიღვას მონასტერი — სამხრეთ ოსეთში, მოქვისა და ბესლეთის ხიდები აფხაზეთში, ყიხწვისის გადარჩეხილი ახგელოზი, სამწევრისი და ბევრი სხვა ძეგლი ჩვენი ერის წარსულისა, რომლებსაც მისი ზრუნვა და ყურადღება არ მოჰკლებია.

ძნელი იყო მუშაობა არჩეული გზის დასაწყისში...

განსაკუთრებით უჭირდათ შემდეგაც — დიდი სამამულო ომის დამთავრების პირველ წლებში: ტრანსპორტისა და მუშახელის ნაკლებობის, მცირე სახსრებისა და უგზოობის პირობებში, მაგრამ მან ღირსეულად ატარა ბოლომდე ის ტვირთი, რაც ცხოვრებამ დააკისრა.

თითოეულ ძეგლთან, წარსულის თითოეულ ნაშთთან მას უშუალო შეხება უხდებოდა, ამდენად, უფრო მეტად შეიგრძნობდა და სწვდებოდა მათს შინაარსსა და მნიშვნელობას.

გზები ტაძრებისაკენ — სამშობლოს წარსულისაკენ მიმავალ გზებს ჰგავდა. ბევრჯერ შეუბიჯებია ალბათ, ფიქრებით, გარდასულ დღეთა ლაბირინთებში, უომია და უბრძოლია, ბევრი შერკინება გადაუტანია და გაუმარჯვია, რადგან ციხე და ტაძარი გადაურჩენია; ბალახმოდებული, წაშლილი ბილიკები ათასგზის გადაუტკეპნია, მუხლი არ ჩაუხრია ვიდრე წინ შესასრულებელი საქმე ეძახდა.

იგი იმ მეციხოვნეთა მოდგმისა იყო, კაგლახად მამულის ციხე-სიმაგრის ზღურბლზე ვინმეს ნაბიჯს რომ არ გადაადგმევინებდა. იცოდა, ძნელბედობას გადარჩეხილი ციხე-ტაძრები ვეღარც ისეთი შეუვალნი იყვნენ, როგორც უწინ — ზოგიერთი ხელმრუდი თანამედროვისაგან, საუკუნეგამოვლილ კედლებზე დატოვებული „ავტოგრაფებით“ რომ სურთ საკუთარი სახელის უკვდავყოფა. იგი უნერგავდა ასეთ ადამიანებს იმის შეგნებას, რომ საკუთარი უკვდავყოფა მხოლოდ ერის უკვდავყოფით შეიძლება, ხოლო ერი უკვდავია, თუ მისი კულტურა, მისი წარსული სათანადოდაა დაცული და მოვლილი.

მან კარგად იცოდა რა საქმეს ემსახურებოდა და ამიტომაც ხანდაზმულობის დროსაც მსუბუქად დააბიჯებდა მამულის მიწაზე, საქართველოს მთასა და ბარში.

ძ. ხარაიძემ — ჩვეულებრივმა, რიგითმა წარმომადგენელმა ჩვენი ეროვნული კულტურის მოამაგეთა მრავალრიცხოვანი არმიისა — ნათელ კვალად დაგვიტოვა აღდგენილი ძეგლები.

Ს. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ, Ე. ᲛᲣᲯᲘᲠᲘ, Ზ. ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

# АННОТАЦИИ

К. ДЖАПАРИДЗЕ, М. БУЧУКУРИ

## О РЕСТАВРАЦИИ И КОНСЕРВАЦИИ РОСПИСИ «МАЦХВАРИШИ»

В статье описывается процесс работы реставраторов над росписью церкви села Мацхвариши в Латали (Сванетия).

Замечательный памятник грузинской монументальной живописи XII века дошел до нас в исключительно тяжелом состоянии. Многочисленные пожарища, поврежденная кровля, через которую в течение веков просачивалась вода, основательно повредили роспись, а в отдельных местах полностью ее уничтожили.

Реставраторам, благодаря скрупулезной работе, удалось в отдельных случаях укрепить контур и очистить закопченную поверхность, а при копировании путем изготовления красок по пигментам, полученным в результате лабораторного анализа, были восстановлены первоначальные цвета, максимально приближенные к оригиналу.

Оставленные для контраста неочищенные фрагменты дают впечатляющее представление о проделаной работе.

Реставраторам церкви «Мацхвариши» за проделанную работу Московской аттестационной комиссией были присуждены высокие категории.

М. МГАЛОБЛИШВИЛИ, Г. МАРДЖАНИШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ СВЕДЕНИЯ О ДВОРЦЕ В ГАРИКУЛА

Памятник грузинской культуры, дворец т. н. «Маршлиант Сасахле» в Гарикула близ села Ахалкалаки Каспского р-на был построен в середине XIX века потомком Георгия Саакадзе маршалом Александром Давидовичем Тархан-Моурави.

Дворец является интереснейшим сооружением той эпохи, синтезировав в себе традиции европейской и восточной культур.

Н. МАМАИАШВИЛИ

## ГОРОД ЧЕРЕМИ

Благодаря археологическим раскопкам в селе Черемн и его окрестностях удалось установить, что уже в III—IV вв. здесь существовало поселение городского типа.

Известный по письменным источникам город Череми, основанный Вахтангом Горгасалом во второй половине V в., расположен в 5 км.. к западу от современного села. На территории Черемской цитедели, защищенной крепостными стенами, обнаружен дворцовый комплекс. Здесь же находился кафедральный собор. Раскопками исследованы замок и дворец, которые по археологическим материалам датируются V в.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Б. МЧЕДЛИШВИЛИ

## ЦУНДА

«Картлис цховреба» сообщает, что посланцы императора Константина I в Грузию, священники и строители церквей, которыми руководил епископ Иоанн, заложили фундамент церкви в Цунда. Это прямое указание о деяниях Иоанна, безсомнения, было известно и состовителям хроник, и переписчикам летописей, и обществу, и само собой, заказчику Кумурдских надписей.

Вахушти Батонишвили церковь Цунда отождествляет с церковью в Кумурдо и отмечает, что она (Кумурдо) построена строителями Константина. Об идентичности этих церквей указывал и акад. Н. Бердзенишвлии. Отсюда логичный вывод: известный памятник Кумурдо и есть Цунда, которую построили в IV веке, а пространная над южным входом Кумурдо, которая извещает, что фундамент церкви заложил епископ Иоанн, и перемычка над входом (баларави) которую положил нетко Сакоцари, излагают о деятельности двух лиц различных эпох. В далеком прошлом (IV в.), фундамент заложил или построил церковь епископ Иоанн, а Сакоцари в X веке лишь перемычку. Для одной и той же церкви, даже при существенных переделках, не принято отмечать о заложении фундамента повторно. В X веке фундамент можно было сносить.

И. МИРИДЖАНАШВИЛИ

## ЦЕРКОВЬ «СВ. БОГОРОДИЦЫ» В СЕЛ. ДУМЕИЛА

В селении Думеила, Аспиндзского р-на, находится зальная церковь, архитектура которой характеризуется как архаическими, так и элементами переходного периода грузинского зодчества. Церковь примечательна росписью, которая находится в конхе алтарной абсиды.

А. ТОПУРИА

## БЕРИДЖВАРСКАЯ СТЕЛА

Стела случайно обнаружена летом 1985 г. в окрестностях с. Китриули у развалин Бериджварской церкви. Стела привлекает внимание интересными рельефами и надписями, исполненными на «Асомтаврули».

В настоящее время от первоначальных изображений сохранилось пять композиций. На двух композициях изображены сцены: «Крещение» и «Распятие», а на остальных — пять фигур святых.

Позднее стелу применили как навершие окна церкви, вследствии чего часть композиций повреждена, а некоторые утрачены полностью. На грани, которая являлась навершием окна изображены архангелы, рельефный орнамент и надписи исполнены на «Асомтаврули».

Исходя из иконографического и художественно-стилистического, а также сравнительного анализа стела вероятно выполнена в конце VI или начале VII вв. Последующее применение стелы, как навершие окна, думаем, можно датировать X—XI вв.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

А. БОХОЧАДЗЕ, А. ЗАНГУРИ

## НЕКРОПОЛЬ С. ДЗВЕЛИ КАНДА

Настакисская археологическая экспедиция в 1983—1985 гг. работала в связи с Социалистической новостройкой, при реконструкции главной шоссейной дороги Грузии на участке Натахтари, Хашури, Кутаиси, Цхакая, в окрестностях с. Дзвели Канда-Оками.

На территории с. Дзвели Канда был открыт многослойный памятник. Раскопано 61 погребения и 1 курган. Выявлены грунтовые погребения с земляной, каменной и щебневой насыпью. Погребальные камеры перекрыты. В погребениях выявлен многочисленный погребальный инвентарь: глиняные сосуды, бронзовые кинжалы и булавки, бусы из разного материала. Во всех погребениях выявлены остатки тризни.

Винодавильни, раскопанные на территории некрополя датируются XI—XII вв., большая часть погребения относится к раннему периоду позднебронзовой эпохи (XIV—XII вв до н. э.); Курган является памятником среднебронзовой эпохи, а остатки Куро-Аракской культуры датируются концом IV тысячелетия.

Н. ЧУБИНИШВИЛИ

## К ИЗУЧЕНИЮ МОГИЛЬНИКОВ ЦЕНТРАЛЬНОЙ КОЛХИДЫ ЭПОХИ РАННЕГО ЖЕЛЕЗА

В статье изложены итоги работы колхидской археологической экспедиции Центра археологических исследований Института Истории, Археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили, проведенной на могильниках центральной Колхиды эпохи раннего железа.

Судя по выявленным памятникам, им присущи специфические черты, что выражается в устройстве могильников, обряде захоронения, во вторичности захоронения мелкофрагментарных костей покойника. Могильники вышеназванного периода состоят из следующих компонентов: ритуальных площадок, коллективных погребальных ям, а также ям для захоронения костей. Как видно, коллективные погребальные ямы являлись семейным или родовым погребением с огромным количеством погребального инвентаря.

Судя по анализу последнего, к периоду раннего железа в древней Колхиде металлургия и земледелие достигли высокого развития.

В. ВИНОГРАДОВ, Д. ЧАХКИЕВ

## МАТЕРИАЛЬНЫЙ СЛЕД ГРУЗИНСКИХ ВПЕЧАТЛЕНИЙ В ЧЕЧНЕ

В 1984 г. на разрушающемся могильнике XV—XVII вв. у чеченского селения Майртуп (Шалинский район) был поднят каменный «оселок» с выгравированным «сложным рисунком, центральная часть которого

представляет собой схематичное изображение верхней части типично грузинского крестово-купольного христианского храма. Находка эта уникальна и может иметь свое объяснение в обстоятельствах эпохи середины XVI—XVII вв., когда в очередной раз резко активизировались вайнахо-грузинские связи, что привело к посещению Грузии довольно многочисленными представителями верхушечной прослойки вайнахов и лиц, сопровождавших их. Один из чеченцев и мог попытаться выразить свои грузинские впечатления при помощи рисунка, выполненного графически на подходящем для этого предмете его личного воинского убранства.

С. ДЖАПАРИДЗЕ

## УНИКАЛЬНЫЕ ПАМЯТНИКИ ПРИРОДЫ

Автор рассматривает три объекта природы: Кацхский столп, окаменелый лес на Годердзском перевале и Бетлемскую пещеру.

В статье приведены интересные данные, характеризующие названные памятники в историческом аспекте. В результате анализа данных источников, а также художественных произведений классиков грузинской литературы, автору удается определить последовательную связь между реальностью и фантазией.

Статья богата иллюстрированным материалом разных времен, что позволяет наглядно проследить за изменениями вокруг рассматриваемых автором памятников.

О. КИЗИКЕЛАШВИЛИ

## НЕКОТОРЫЕ ДАННЫЕ О МЫСЕ ПИЦУНДА И ЕЕ СОСНОВОЙ РОЩЕ

Грузия поражает богатством своего растительного мира и если мыс Пицунда в мире известен под названием жемчужины Черноморского побережья, то это благодаря несравненной красоте сосновой рощи и большому курортологическому значению.

Большой Питиунт (Питиус, Питиунт, Бичвинта) ныне Пицунда, упоминается в греческих, римских, грузинских и русских источниках, по которым в Пицунде в VII — VI веках до нашей эры, существовал город в сосняке, откуда произошло и название этого места.

Сосна пицундская реликт третичного периода, а ее роща на мысе Пицунда является уникальным памятником природы. Сосна пицундская внесена в Красную Книгу СССР, охране и возпроизводству которой уделяется большое внимание.

М. МИРИАНАШВИЛИ, К. МУШКУДИАНИ

## ЗДАНИЕ ТЕАТРА ИМ. Ш. РУСТАВЕЛИ

В статье изучена история строительства государственного академического театра им. Ш. Руставели, предпосылки строительства, роль местного капитала в финансирований, подбор проэкта, длительность и ход строительства, церемониал торжественного открытия театра 6-го февраля 1901 г. Описан особенно внутренний вид здания — зрительный и концертный зал, клуб, вестибюль, фойэ и пр., исполненные в различ-

ном художественном стиле. В работе так же рассмотрены вопросы освещения, отопления, вентиляции, устройства кулис и сцены, решенные по последней технике данного периода.

О. ХУБУЛАШВИЛИ

### НА БУДАПЕШТСКОЙ ВЫСТАВКЕ

В статье сотрудник отдела народных промыслов делится своими впечатлениями с традиционной 84-ой всемирной выставки товаров широкого потребления в ВНР, которая проходила в Будапеште в сентябре 1986 г.

Ш. ЛУКАВА

### ПАМЯТНИКАМ КУЛЬТУРЫ — БОЛЬШЕ ВНИМАНИЯ

Автор статьи — председатель Цаленджихского районного совета общества охраны памятников истории и культуры Грузии знакомит читателей с деятельностью районного совета.

---

M. BUCHUKURI, K. JAPARIDZE

### TO THE RESTORATION AND CONSERVATION OF MATSKHVARISHI PAINTING

The article gives a description of a process of restoration of the painting in the church of the vil. Matskhvarishi in Latali (Svaneti).

The restorers managed to fix the outline, clean the sooty surface and while making copies, to restore the original colour, maximally close to the original by means of picturing the colours according to the pigments, got in the result of the laboratory analysis.

N. MGALOBLISHVILI, G. MARJANISHVILI

### SOME NOTES ON THE CASTLE IN GARIKULA

The monument of Georgian culture, the so called «Marshliant Sasakhle» in Garikula, near the vil. Akhalkalaki, Kaspi region, was built in the mid. 19th c. by the descendant of George Saakadze, marshal Alexander Tarkhan-Mouravi.

The castle is the most interesting construction of the epoch, having synthesized in itself the traditions of europian and eastern cultures.

N. MAMAIASHVILI

### CHEREMI CITY

The author speaks of the archaeological investigation of the vil. Cheremi and its outskirts, revealing a settlement of the city type, dating to the 3d–4th cc. Cheremi city, founded in the second half of the 5th c. by Vakhtang Gorgasali is located 5 km. to the west of the present village. A palace complex, dating to the 5th c. was unearthed on the territory of Cheremi citadel, containing a caste and a palace. A cathedral church was also located here.

## B. MCHEDLISHVILI

ეროვნული ბიბლიოთეკა

### TSUNDA

Based on the data of «Kartlis Tskhovreba», telling about the erection of Tsunda church by the archbishop John and the builders, sent to Georgia by the emperor Konstantine I in the 4th c., the author proposes the identification of Tsunda church with the well-known monument of georgian architecture, Kumurdo church, the proposition being confirmed by the viewpoints of Vakhushti Batonishvili and acad. N. Berdzenishvili. According to the new identification of Isunda church, the author gives a new explanation to the vast buildig inscription above the southern door of Kumurdo church, proposing, that the building of the lintel by a Sakotsari is to be ascribed to the 10th c., when the old foundation of the chruch was renewed.

## I. MIRIJANASHVILI

### CHURCH OF THE VIRGIN IN THE VIL. DUMEILA

An aisless vaulted church is located in the vil. Dumeila, Aspindza region. Its architecture is characterized by the archaic elements, as well as those of the transitional period of medieval georgian architecture.

The church is noteworthy for its painting, preserved in the apse conch.

## A. TOPURIA

### BERIJVARI STELE

The article tells of a stele, found in summer 1985 in the outskirts of the vil. Kitriuli, near the ruins of Berijvari church. It is interesting for its reliefs, depicting Baptism and Crucifixtion, as well as five figures of the saints and inscription, made in asomtavruli.

Later the stele was used as a window termination, resulting in the partial damage of the compositions and complete destruction of several scenes.

Based on the iconographic, stylistic and comparative analysis of the stele, the author dates it to the late 6th or early 7th cc., considering that the posterior use of the stele as a window termination is to be ascribed to the 10th–11th cc.

## A. BOKHOCHADZE, A. ZANGURI

### NECROPOLIS OF THE VIL. DZVELI KANDA

The article tells of a multilayer monument, unearthed by nastakisi archaeological expedition in the vil. Dzveli Kanda.

The latest layer with marani is dated to the 11th–12th cc. A. D. The earliest layer consists of the settlement remnants of the earliest stage of Mtkvari-Arax culture. A tumulus belongs to the end of the mid. bronze period, while the burial grounds with earth, stone and road metal embankment are ascribed to the early stage of late bronze period, dating to the second half of the 2d mil. B. C.

## N. CHUBINISHVILI

### TO THE SURVEY OF THE BURIAL GROUNDS OF CENTRAL KOLCHIDA OF EARLY IRON EPOCH

The article states the results of the work of kolkhid archaeological expedition, revealing specific traits of the burial grounds in central Kolkhida of

early iron epoch. The burial grounds contain the following components: ritual squares, collective burial pits, being the family sepulchres with numerous burial stock, as well as pits for burying bones. Based on the analysis of the burial stock the author concludes, that metallurgy and agriculture achieved high level in ancient Kolkhida in early iron epoch.

V. VINCGRADOV, D. CHAKHKIEV

### MATERIAL TRACE OF GEORGIAN IMPRESSIONS IN CHECHNE

The article tells of the stone «touchstone» with complicated engraved design, central part of which shows a shematic sketch of a typical georgian cruciform-domed church. The object was discovered in 1934 in a damaged burial ground, dating to the 15th–17th cc. near the chechen vil. Mairtyp (Shalin region).

The authors give an explanation to this unique find, concerning the activization of vainakh-georgian relations in the 16th–17th cc., resulting in a visit to Georgia of numerous representatives of vainakh dignitaries and their attendants.

The authors propose, that one of the chechens could express his georgian impressions by means of the design on his armour.

S. JAPARIDZE

### UNIQUE MONUMENTS OF NATURE

The author deals with three monuments of nature; Katskhi pier, petrified wood on Goderdzi pass and Betlemi cave.

The article gives interesting data, characterising the monuments in the historical aspect. Based on the analysis of the historical sources, as well as works of classical georgian literature, the author defines a successive relation between the reality and fantasy.

The article is richly illustrated by the material of different periods, permitting to trace the alterations around the monuments, discussed by the author.

O. KISIKELASHVILI

### SOME NOTES ON PITSUNDA CAPE AND ITS PINE-TREE GROVE

The author speaks of Pitstunda pine-tree grove and its graet significance. Great Pitiunt (Pitius, Pitiunt, Bichvinta), Pitsunda nowadays, is mentioned in greeck, roman, georgian and russian sources, according to which there existed a city in Pitsunda in the 7th–6th cc. B. C., located in the pine-tree wood, the fact giving the name to the city istelf.

Pitsunda pine-tree is a relict of the tertiary period, its grove on the cape being a unique monument of nature. It is inlisted in the Red Book of the USSR, its protection and repreduction being payed great attention.

M. MIRIANASHVILI, K. MUSHKUDIANI

### SH. RUSTAVELI THEATRE BUILDING

The article tells of the erection of Sh. Rustaveli State Academic Theatre, prerequisits of the construction, of the part, played by the local capital in ist financing, selection of the project, ceremony of its solemn openinig on Fefruary 6, 1901.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

O. KHUBULASHVILI

## ON BUDAPEST EXHIBITION

The author, collaborator of the departement of folk crafts tells of his impressions of the traditional 84th world exhibition of the consumers' goods in HFR, which was held in Budapest in 1986.

ინგლისური ტექსტები შეადგინა მარინე ყენიამ.

**«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»**

**(Друзья памятников культуры)**

Сборник семьдесят седьмой

(на грузинском языке)

**Выходит на общественных началах**

**გარეკანზე** — მაცხვარიშის მოხატულობა, „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციის ფრაგმენტი.

**На обложке**: Роспись Мацхвариши, фрагмент композиции «входа в Иерусалим».

გადაეცა წარმოებას 24. 03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 09. 87 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5,0, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 5. ანაწყობის ზომა 7×11,5, ქაღალდის ზომა 70×108 1/16,

უე 08788 ტირაჟი 3.000 შეკვ. 792

**ფასი 1 მან.**

რედაქციის მისამართი: შავთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

**Адрес редакции**: ул. Шавтели № 5/7; тел. 93-56-14.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14.
**Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии.**
**Тбилиси, ул. Ленина, 14.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

O. KHUBULASHVILI

**ON BUDAPEST EXHIBITION**

The author, collaborator of the departement of folk crafts tells of his impressions of the traditional 84th world exhibition of the consumers' goods in HFR, which was held in Budapest in 1986.

ინგლისური ტექსტები შეადგინა მარინე ყენიამ.

**«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»**

**(Друзья памятников культуры)**

Сборник семьдесят седьмой

(на грузинском языке)

**Выходит на общественных началах**

**გარეკანზე** — მაცხვარიშის მოხატულობა, „იერუსალიმში შესვლის" კომპოზიციის ფრაგმენტი.

**На обложке:** Роспись Мацхвариши, фрагмент композиции «входа в Иерусалим».

გადაეცა წარმოებას 24. 03. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 09. 87 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5,0, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 5. ანაწყობის ზომა 7×11,5, ქაღალდის ზომა 70×108 1/16,

უე 08788 ტირაჟი 3.000 შეკვ. 792

**ფასი 1 მან.**

რედაქციის მისამართი: შავთელის ქ. № 5/7, ტელ. 93-56-14.

**Адрес редакции:** ул. Шавтели № 5/7; тел. 93-56-14.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი
დროშის ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის, 14.
**Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии.**
**Тбилиси, ул. Ленина, 14.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა